თორნიკე ალაშვილი

# ადაპტაციური თერაპია– –ჰომეოპათია

თბილისი
ტრადიციული მედიცინის
საქართველოს ლიგა
1997 წ.

ჰომეოპათიამ მედიცინის ისტორიაში პირველად დაიწყო ექსპერიმენტის სისტემატური გამოყენება წამლების თვისებების შესწავლის მიზნით. მანვე აღმოაჩინა ზოგადი თერაპიული კანონი, დაიწყო წამლების ერთ სისტემაში მოყვანა, შეიმუშავა წამლების დამზადების სრულიად ახალი ფორმა, შექმნა ქრონიკული დაავადებების ერთიანი თეორია. მიუხედავად ამისა, ფართო სამედიცინო საზოგადოება საქართველოში ჯერჯერობით კარგად არ იცნობს მედიცინის ამ მიმართულებას. დღეს უკვე იქმნება ნორმატიული დოკუმენტაცია ჰომეოპათიური მკურნალობის ფართოდ დანერგვის მიზნით. დაგეგმილია სამედიცინო უნივერსიტეტსა და ინსტიტუტებში ჰომეოპათიის საფუძვლების სწავლება, ექიმთა პოსტდიპლომური დახელოვნება ჯანდაცვის სამინისტროს ტრადიციული დეპარტამენტის ხელმძღვანელობით.

წიგნი ფართო მკითხველისათვისაც იქნება საინტერესო.

სააქციო საზოგადოება „ფარნავაზი"
რობაქიძის გამზ. № 7
შეკვ. № 207. ტირ. 4000

© თ. ალაშვილი

# წინასიტყვაობა

1996 წელი მთელს მსოფლიოში აღინიშნებოდა, როგორც ჰომეოპათიის საიუბილეო წელი. ორი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ქრისტიან ფრიდრიხ სამუელ ჰანემანმა გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც პირველად წამოაყენა კონცეფცია მკურნალობის ამ სრულიად ახალი მიმართულების შესახებ.

რთული, მაგრამ ნაყოფიერი გზა განვლო ჰომეოპათიამ ორასი წლის განმავლობაში. ეს გზა არ ყოფილა ყვავილებით მოფენილი. ჰომეოპათიას მუდამ თან სდევდა უნდობლობა და ირონია. ამავე დროს შეუძლებელი იყო შეუმჩნეველი დარჩენილიყო მკურნალობის
ამ სისტემის საოცარი პრაქტიკული შედეგები.

ჰომეოპათია საკმაოდ გავრცელებულია გერმანიაში, ინგლისში, ამერიკაში, ავსტრიაში, ესპანეთში, ნორვეგიასა და მრავალ სხვა ქვეყანაში. ეწყობა საერთაშორისო ჰომეოპათიური ფორუმები და კონგრესები. გამოიცემა პერიოდული სამედიცინო ლიტერატურა ჰომეოპათიური საზოგადოებების და კავშირების მიერ. გერმანიაში და რიგ სხვა ქვეყნებში ფუნქციონირებს ჰომეოპათიური სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტები.

ჰომეოპათია მომავლის მედიცინაა. მისი მეშვეობით საშუალება გვეძლევა ვუმკურნალოთ ავადმყოფს და არა დაავადებას. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ მკურნალობის ამ სისტემას პრაქტიკულად არ გააჩნია გვერდითი მოვლენები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პედიატრიულ პრაქტიკაში. დადგა დრო, რომ ქართველი ექიმები გაეცნონ ჰომეოპათიის საფუძვლებს.
ვფიქრობთ, მკურნალობის ეს მიმართულება საინტერესო

იქნება იმ მეცნიერებისთვისაც, რომელნიც დაინტერესებულნი არიან ადამიანის და ბუნების არა მხოლოდ ვიწრო, ნაწყვეტ – ნაწყვეტი შესწავლით.

„ადაპტაციური თერაპია – ჰომეოპათია“ გზას უკაფავს ქართულენოვან ჰომეოპათიურ ლიტერატურას. წიგნის ავტორია თბილისის N13 მოზრდილთა პოლიკლინიკის ჰომეოპათიის და ტრადიციული მედიცინის კაბინეტის გამგე, ტრადიციული მედიცინის საქართველოს ლიგის პრეზიდენტი, ექიმი–ჰომეოპათი, ირიდოლოგი და რეფლექსოთერაპევტი თორნიკე ალაშვილი. წიგნში წარმოდგენილია ჰანემანის და ჰომეოპათიის ისტორია, კანონები და ძირითადი პრინციპები, საინტერესო შემთხვევები ჰომეოპათიური პრაქტიკიდან. მკურნალობის ამ სისტემის მეცნიერული დასაბუთების მიზნით ავტორი განიხილავს „ბიოჰოლოგრაფიულ მოდელს“.
აქ მკითხველი დაინახავს ბიოლოგიის და მედიცინის ზოგადი თეორიული საკითხების სრულიად ახალ ინტერპრეტაციას.

წიგნის დანართში მოცემულია პაის და დიდრე გრანჟორჟის სტატიის თარგმანი, რომელიც განიხილავს ჰომეოპათიური ანამნეზისათვის საჭირო ძირითად კითხვებს და აგრეთვე შესაბამის რუბრიკებს კენტის რეპერტორიუმიდან. რიგი რუბრიკებიდან მოყვანილია ძირითადი პრეპარატები მათთვის, ვისაც რეპორტორიუმი არ გააჩნია.

დამწყები სპეციალისტებისათვის, ისევე როგორც ფართო მოსახლეობისათვის საინტერესო იქნება გაეცნონ ჰომეოპათიის პრაქტიკულ ნაწილსაც, რის საშუალებასაც იძლევა რემის „ჰომეოპათიური ანბანი“. ეს მცირე მოცულობის, მაგრამ საჭირო და სასარგებლო წიგნია, რომელიც გერმანიაში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

მეცხრამეტე საუკუნის ჰომეოპათიური ჟურნალების რედაქციები გადავსებული იყო დამწყები ჰომეოპათების წერილებით მთელი მსოფლიოდან, სადაც ისინი დახმარებას ითხოვდნენ. მაშინდელი ჰომეოპათიური ლიტერატურა მეტად რთული და უზარმაზარი იყო.

ჰანემანის „*Materia medica pura*", ჰერინგის ათტომეული „მატერია მედიკას წამყვანი სიმპტომები", ალენის თერთმეტი ტომი „სუფთა მატერია მედიკის ენციკლოპედია", კლარკის ცნობარი, ფარინგტონის ჰომეოპათიური წამლების ფარმაკოდინამიკა – მშვენიერი მეცნიერული შრომებია, მაგრამ ისინი ძალიან ძნელი აღსაქმელია დამწყებთათვის. რემის „ანბანი", კიოლერის სახელმძღვანელო, ნეშის „წამყვანი სიმპტომები" – სწორედ ისეთი წიგნებია, რომლებიც გზას უხსნის დებიუტანტებს ამ მეცნიერების ათვისებისაკენ.

ვსარგებლობ შემთხვევით და ქართველი ჰომეოპათების სახელით მადლობას მოვახსენებ ბატონ პაატა ნაცვლიშვილს, ესპანეთიდან საერთაშორისო ჰომეოპათიური მასალების და მათთან ერთად რემის ამ პატარა წიგნის ჩამოტანისათვის.

კონვექნცის

რუსთავის N2 სამკურნალო დიაგნოსტიკური
ცენტრის პედიატრი, ტრადიციული მედიცინის
საქართველოს ლიგის პრეზიდიუმის წევრი
ლია სირაძე

„როგორც მეთოდი და როგორც თეორია, ანალიზი საყოველთაოდაა გაბატონებული. გადააქცია რა ნამსხვრევების გროვად, მან დაამხო ცოცხალ სხეულთა საოცარი ფორმები, რის შედეგადაც სრულიად არ მიახლოვებია ფორმის თეორიას, მთლიანობის თეორიას.

კაუზალიზმმა თავის ამოცანად დაისახა უთვალავ ქმნილებათა, ორგანოთა და მათ ნაწილთა დაშლა შემადგენელ ნაწილებად, რათა აქედან გამომდინარე მოეპოვებინა დაქუცმაცებულ ცოდნათა უზარმაზარი რაოდენობა, მაგრამ ანგარიში ვერ გაუწია იმ გარემოებას, რომ მხოლოდ ანალიზით მთელი ფორმის შეცნობას ვერ მიაღწევდა".

მარტინ ჰაიდენჰეინი

# შესავალი

— *რა არის ჰომეოპათია?*

— ჰომეოპათია - ადაპტაციური (მარეგულირებელი) თერაპიაა, რომლის მიზანია მკაცრად ინდივიდუალურად შერჩეული წამლებით და ორგანიზმის რეაქციის გათვალისწინებით თვითრეგულაციის პროცესებზე ზემოქმედება (*Gerhard Kohler* - ის განმარტება). წამლების ინდივიდუალურად შერჩევა ხდება მსგავსების კანონის მიხედვით - „წამლისმიერი დაავადების სურათი" მაქსიმალურად მსგავსი უნდა იყოს დაავადების (დაავადებების) სურათისა, რომელიც უნდა განიკურნოს. იმას, თუ რა მოქმედებას (დარღვევებს, გადახრებს ჰომეოსტაზში) იწვევს ყოველი წამალი ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმში,

ეწოდება წამლის პათოგენეზი და გამოიყენება წამლის ჩვენებად.

ორასწლიანმა პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ჰომეოპათია მწვავე და ქრონიკული დაავადებების (უფრო სწორად – ავადმყოფების) რადიკალური განკურნების და აქტიური პროფილაქტიკის ხელოვნება და მეცნიერებაა. ის ახალი მიმართულებას ქმნის თერაპიაში, საფუძველს უყრის XXI საუკუნის ერთიან, გააზრებულ და ჰუმანურ მედიცინას.

– თუ ჰომეოპათია მეცნიერებაა, რა არის მისი შესწავლის საგანი? რით განსხვავდება ის თანამედროვე აკადემიური მედიცინისაგან და მისი შესწავლის საგნისაგან?

– თანამედროვე აკადემიური მედიცინა განვითარდა იმ მიღწევების საფუძველზე, რომლებიც მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა და რევოლუციამ მოიტანა. ცელულარული თეორია, მიკროორგანიზმების სამყაროს აღმოჩენა, მაკრო და მიკრო, ასევე ულტრამიკროსკოპიული ანატომიის განვითარება. ფიზიოლოგიის, გენეტიკის, ბიოქიმიის, ბიოფიზიკის, მათ შორის ნეიროფიზიოლოგიის, ენდოკრინოლოგიის განვითარება, პეპტიდების აღმოჩენა და სხვა მრავალი, მყარ საფუძველს უყრიდა ტექნიკური მედიცინის განვითარებას. უამრავი კერძო მიმართულება მედიცინაში: იმუნოლოგია, სამედიცინო გენეტიკა, პათანატომია და სხვა ვიწრო სპეციალიზაცია(სულ: 340-მდე!), რა თქმა უნდა, განპირობებულია ადამიანის ბუნების სირთულით და მისი პათოლოგიის ფორმების მრავალფეროვნებით. მაგრამ, ცხადია ისიც, რომ ყოველ დანაწილებას, ადრე თუ გვიან, სინთეზიც უნდა მოჰყვებოდეს. ინტეგრალური მედიცინა – დღევანდელი დღის მოთხოვნილებაა.

არავისათვის საწყენი არ უნდა იყოს იმ ფაქტის კონსტატირება, რომ ჰომეოპათია წინ უსწრებს ტექნიკური მედიცინის დაბადებას და განვითარებას, ახდენს მისი მონაცემების ინტეგრირებას, ვინაიდან ეყრდნობა ზოგად თერაპიულ კანონზომიერებებს. თუ ზოგადი სწორია, კერძოს განვითარება მას ვერასოდეს ვერ უარყოფს, მხოლოდ დააზუსტებს.

ფარმაკოლოგია დაკავებულია ძირითადად წამლის ისეთი თვისებების შესწავლით, რომლებიც მათი ბიოლოგიურ ობიექტებზე გამოცდისას დაუყონებლივ და თანაც ერთგვაროვნად ვლინდება. ჰომეოპათია სწავლობს სრულიად განსხვავებულ საკითხს: როგორ რეაგირებს კონკრეტული ინდივიდი წამალზე და თან სხვადასხვა საწყისი მდგომარეობის დროს?

ვინაიდან ყოველი ჩვენთაგანი უნიკალური ინდივიდია და ამასთანავე ყოველი ინდივიდი რეაგირებს წამალზე, როგორც ერთიანი და განუყოფელი ქმნილება, ცხადია, უნდა ვიცოდეთ წამლის არა მარტო ძირითადი, „ერთგვაროვანი“ თვისებები, არამედ მასზე ინდივიდუალური რეაგირების საკითხებიც.

წამალზე ინდივიდუალური მგრძნობელობა დიდ პოპულაციაში ვეებერთელა საზღვრებში მერყეობს. შეფარდება ამ საზღვრებს შორის ხშირად ათასს და ასობით ათასს აღწევს. თანამედროვე მედიცინა კი წამლის დოზებს მხოლოდ ათის ფარგლებში თუ ცვლის ინდივიდუალური დანიშვნისას. ნუთუ შეიძლება თერაპიული დოზის განსაზღვრა სასიკვდილოს მეორედის ან მესამედის ფარგლებში, მაშინ როდესაც ზოგიერთი პიროვნება შესაძლოა სხვებზე 10.000 ჯერ, ან უფრო მეტჯერ მგრძნობიარე აღმოჩნდეს ამავე წამლის მიმართ?!

მსგავსების კანონიდან გამომდინარე ჰომეოპათიას შეუძლია წამალზე ზედმეტი მგრძნობელობის პროგნოზირება. ეს მაშინ არის მოსალოდნელი, როდესაც

ადამიანის კონსტიტუციით თუ ავადმყოფობით განპირობებული მდგომარეობა მსგავსია იმისა, როგორიც შეუძლია გამოიწვიოს წამალმა ჯანმრთელებზე გამოცდისას.

წამალზე მეორადი, ადაპტაციური რეაქციის ფარმაკოდინამიკის შესწავლა ჰომეოპათიის კიდევ ერთი ძირითადი ამოცანაა.

ჰომეოპათია იყენებს წამალზე მეორად რეაქციას, ვინაიდან ის არ არის ისეთი უხეში, ცალმხრივი და მოკლე, როგორც პირველადი. მისი ხანგრძლივობა არ არის მნიშვნელოვნად დამოკიდებული ფარმაკოკინეტიკაზე, წამლის დოზაზე. დოზის და ფარმაკოკინეტიკის თითქმის ნულამდე დაყვანით ჰომეოპათია აღწევს საოცრად ფართო და ხანგრძლივ ფარმაკოლოგიურ ეფექტს, ვინაიდან იყენებს წამლის მგრძნობიარე ავადმყოფის სამკურნალოდ.

– მაშინ გამოდის, რომ ერთი და იგივე წამლის თანამედროვე მედიცინასა და ჰომეოპათიაში სრულიად განსხვავებული გამოყენება უნდა ჰქონდეს?

– რა თქმა უნდა. წამალზე პირველადი და მეორადი რეაქციები პოლარულად განსხვავებულია ერთმანეთისაგან. სათანადოდ – მათი ჩვენებებიც ოფიციალურ მედიცინასა და ჰომეოპათიაში.

მაგალითად, ფარმაკოლოგია იყენებს ბელადონას და მის ალკალოიდს ატროპინს, მათი მ-ქოლინობლოკატორული თვისებებიდან გამომდინარე. ის ხსნის სპაზმებს, ანთებებს, ალერგიებს და სხვა პათოლოგიურ პროცესებს, მაგრამ ისეთ პაციენტებში, რომლებშიც, პირიქით, სიმპატიკური ნერვული სისტემის აქტიურობა ჭარბობს.

***Belladonna*** – ს ტიპის ადამიანია, უპირველეს ყოვლისა, ეგზალტირებული, ბრწყინვალე, ულამაზესი,

მხიარული ახალგაზრდა ქალი, ფართო გუგებით, სუფთა კანით, წითელი, ლაქლაქა ლოყებით.

*Belladonna*-ს ტიპის ბავშვი არის ოხილი, ტანადი, დიდი თავით, ზოგჯერ რბილი, გამობერილი ტუჩებით და კისრის დასიებული ლიმფური ჯირკვლებით. ჩვეულებრივ ისინი ცისფერთვალება, ქერა ბავშვები არიან და ინტელექტუალურ განვითარებაში უსწრებენ თავიანთ თანატოლებს.

მოზრდილებში *Belladonna* - ს კიდევ რამოდენიმე ტიპი არსებობს. მაგალითად, ჩასუქებული და წითური, ფლეგმატური მამაკაცები – ე.წ. „შინგამოჩეკილი ფილოსოფოსები“, რომლებიც ხშირად ბრწყინვალე გონებრივ მონაცემებს ავლენენ.

ამ პიროვნებებისათვის წამყვანი კლინიკური თავისებურებებია: პერიფერიული სიწითლე, მწვავე, მფეთქავი ტკივილი, უეცარი დაწყებით და სწრაფი გავრცელებით, სახის სიწითლე, ოფლიანობა ხელფეხის გაციებასთან ერთად, ძლიერი აღგზნებები და გუგების გაფართოება.

აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ *Belladonna* ნაჩვენებია მწვავე, სწრაფად პროგრესირებადი დაავადებების დროს. მხოლოდ კლინიკური ჩვენებები არ არის ჰომეოპათიაში წამყვანი, უპირატესობა ეძლევა წამლის პერსონოტროპულ მოქმედებას და ინდივიდუალურ სიმპტომატიკას.

– რით განსხვავდება ჰომეოპათია ფიტოთერაპიისაგან ან ანტროპოსოფიული მედიცინისაგან?

– ჰომეოპათია, ისევე, როგორც ფიტოთერაპია და ანტროპოსოფიული მედიცინა სამკურნალო საშუალებების დასამზადებლად იყენებს ბუნებრივ მცენარეულ და ცხოველურ ნედლეულს, მინერალებს, მეტალებს. განსხვავდება იმით, რომ ხმარობს წამლებს მინიმალური

დონით და მკაცრად ინდივიდუალურად, ყველა სპეციფიური ორგანოტროპიული და პერსონოტროპიული მოქმედების შესწავლის და გამოყენების გზით.

– ჰომეოპათია მთელ მსოფლიოში საკმაოდ გავრცელებულია და თანდათანობით სულ უფრო დიდი პოპულარობით სარგებლობს. როგორ გესახებათ მისი მომავალი საქართველოში?

– საქართველოში არსებობდა ჰომეოპათიური აფთიაქი. მოღვაწეობდა რამოდენიმე ექიმი – ჰომეოპათი, რომელთა შორის დავასახელებდი გორგასლიძეს, ონანოვს, ბერგს. ჰომეოპათიით დაინტერესებული ექიმების დეფიციტით არაექიმებიც წარმატებით სარგებლობდნენ.

უახლოეს მომავალში ეს მდგომარეობა მნიშვნელოვნად უნდა შეიცვალოს. საქართველოში მრავალი ნიჭიერი, ყურადღებიანი და შრომისმოყვარე ექიმია, რომელთაც გააჩნიათ ორიგინალური აზროვნების უნარი, გაბედულობა და რიგი სხვა თვისებები, აუცილებელი კარგი ჰომეოპათისათვის.

ჩვენი ქვეყანა მდიდარია აგრეთვე კურორტოლოგიური სამკურნალო ფაქტორებით: სუფთა ჰაერით, წყლით, მაგნიტური ქვიშით და ა.შ; უძველესი ტრადიციული მედიცინით. თუ მოხდება ყოველივე ამის შერწყმა, უახლოეს მომავალში საქართველოში გაიხსნება უმაღლესი დონის, საერთაშორისო მნიშვნელობის სამკურნალო – პროფილაქტიკური ცენტრები.

# სამუელ ჰანემანი და მსგავსების კანონი

„ჰანემანმა გვასწავლა წამლების ენა და დაავადებების ენა. მან გააერთიანა ისინი დიალოგში, რომელსაც ავადმყოფის მკურნალობა ჰქვია.“

ჰერმან ჰესე.

ჰომეოპათიის საფუძველი ჩაუყარა პიროვნებამ, რომლის სახელიც მომავალში კაცობრიობის ისტორიის ისეთი გიგანტების გვერდით დადგება, როგორიცაა : აინშტაინი, ნიუტონი, ჰიპოკრატე. მსგავსად ამ ადამიანებისა, მან აღმოჩენებით კარდინალურად შეცვალა ჩვენი წარმოდგენა არა მარტო ჯანმრთელობასა და დაავადებაზე, არამედ ბუნებაზე მთლიანად.

ამიტომაც ღირს გავიხსენოთ მისი ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტები, მივყვეთ მისი აზრების ევოლუციას, რაც დაგვეხმარება ჰომეოპათიის ძირითადი პრინციპების აღქმაში.

1810 წელს, გერმანიის ერთ–ერთ პატარა ქალაქში გამოიცა წიგნი „საექიმო ხელოვნების ორგანონი“, რომლის ავტორი, სამუელ ჰანემანი, ცნობილი იყო როგორც უდიდესი ექიმი და სამედიცინო ლიტერატურის ავტორი. მისმა ახალმა ნაშრომმა მკითხველთა დაინტერესება გამოიწვია, მაგრამ წიგნის გაცნობის შემდგომ ევროპის სამედიცინო საზოგადოებამ აღშფოთება გამოხატა, რადგან მათ სთავაზობდნენ მედიცინის სრულიად ახალ სისტემას, პრინციპულად განსხვავებულს იმდროინდელი, ტრადიციული მედიცინისაგან.

ჰანემანმა თავის სისტემას უწოდა ჰომეოპათია- ბერძნული სიტყვების საფუძველზე – *homeos* – „მსგავსი“ და *patos* – დაავადება“. დანარჩენ მედიცინას ჰანემანმა

ალოპათია უწოდა ( *Allo* - განსხვავებული, საწი-ნააღმდეგო). განისაზღვრა ჰომეოპათიის პრინციპი – „მსგავსი მსგავსით იკურნება" – „*Similia similibus curantur*". ახალ წიგნში ჰანემანმა განაზოგადა რა თავისი 20 წლიანი მოღვაწეობის შედეგები, მოგვცა ჰომეოპათიის კანონების და პრინციპების განსაზღვრება.

ჰანემანი არაორდინალური და ერუდირებული პიროვნება იყო. უნივერსიტეტში ის ბევრს მუშაობდა, თარგმნიდა ლიტერატურას მედიცინის და ქიმიის დარგში. საექიმო დიპლომის მიღების შემდეგ გამოაქვეყნა ნაშრომების სერია ფარმაკოლოგიის და ქიმიის შესახებ. მისი „სააფთიაქო ცნობარი" მაშინდელ დროში აღიარებული სახელმძღვანელო იყო. იგი მონაწილეობას ღებულობდა გერმანიის ფარმაკოპეის სტანდარტიზაციის განხორციელებაში.

მიუხედავად კარგი რეპუტაციისა, ჰანემანმა სამედიცინო პრაქტიკა მალე შეწყვიტა. ის უკმაყოფილო იყო მკურნალობის იმდროინდელი მეთოდებით. არსებობის წყაროდ წიგნების თარგმნა გაიხადა, განუწყვეტლივ იკვლევდა ჯანმრთელობის და დაავადების საკითხებს. ამ პერიოდშივე აღმოაჩინა თერაპიის ფუნდამენტური კანონი– თარგმნიდა რა პროფესორ კულენის „*Materia Medica*"–ს, მისი ყურადღება მიიპყრო ერთმა დეტალმა; ავტორი აღწერდა მალარიის დროს ქინაქინის ქერქის სამკურნალოდ გამოყენების ფაქტს, აღნიშნავდა წამლის მწარე გემოს და ამას უკავშირებდა კუჭის ენერგიის მომატებას. ჰანემანმა გადაწყვიტა ქინაქინის თავის თავზე გამოცდა. ასეთი ქმედება უპრეცედენტო იყო მედიცინაში. დღესაც არაა მიკვლეული სხვა შემთხვევა – ჰანემანზე ადრე, რომ ექიმს, ჯანმრთელად მყოფს, გამოეცადოს წამალი თავის თავზე. ამ ექსპერიმენტმა მედიცინაში დასაბამი მისცა ახალ ერას.

დაიწყო რა ქინაქინის მიღება, ჰანემანს მალევე განუვითარდა პერიოდული ციებ-ცხელების სიმპტომები. ჰანემანი გაოცებული იყო: „როგორ მოხდა რომ წამალმა გამოიწვია ციებ-ცხელება მაშინ, როდესაც სრულიად ჯანმრთელად ვგრძნობდი თავს? იგივე წამალი მკურნალობს ციებ-ცხელებას დაავადებულებში. ხომ არ არის აქ დამალული სამკურნალო მოქმედების არსი?" ამ ვარაუდის შემდგომი შემოწმების მიზნით ჰანემანმა გააგრძელა თავის თავზე სხვა წამლების გამოცდა.

დაკვირვებების შედეგად გამოაშკარავდა ბუნების შემდეგი მოვლენა: ნივთიერება, რომელიც ჯანმრთელ ადამიანში იწვევს გარკვეული ავადმყოფობის მსგავს სიმპტომებს, იგივეს კურნავს დაავადებულში. ამ აღმოჩენამ მიიზიდა ჰანემანისაკენ ექიმთა მნიშვნელოვანი რიცხვი. მათ უკვე ორგანიზებულად დაიწყეს ექსპერიმენტირება – თავის თავზე ცდიდნენ სხვადასხვა წამლების მოქმედებას. ცდები გაგრძელდა ექვსი წლის განმავლობაში. ყველა დაკვირვება დაწვრილებით გაანალიზდა და დაფიქსირდა.

იმ პერიოდში ბევრი გამოჩენილი ექიმი ითხოვდა ფარმაკოპეის ახალ საწყისებზე გადასვლას. ექიმთა მიერ გამოწერილი რეცეპტები რთული და დაუსაბუთებელი იყო, ემპირიკა კი – ფანტასტიკასთან გადახლართული. არ არსებობდა სისტემა და არც მისი მსგავსი სხვა რამ. ამიტომაც გასაგებია ჰანემანის მიმდევართა ენთუზიაზმი გამოეცადათ ასობით პრეპარატი, რათა შეექმნათ წამალთმცოდნეობა, რომელიც დაეფუძნებოდა გარკვეულ პრინციპებზე დამყარებულ კონცეფციას. შემდგომში, როდესაც ექსპერიმენტი მედიცინაში ფართოდ დამკვიდრდა, ჰომეოპათია – ეს თავდადება, არ იქნა სათანადოდ შეფასებული. ამ პერიოდში ჰანემანი, რომელიც ფლობდა ლათინურ, ბერძნულ, არაბულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებს, რომლისთვისაც მისაწვდომი იყო უმ-

დიდრესი სამედიცინო ბიბლიოთეკა ადგენს ჩანაწერების ფართო ნაკრებს შემთხვევითი მოწამვლების შესახებ, იმის მიხედვით რაც კი აღუწერიათ სხვადასხვა ქვეყნის ექიმებს მრავალი საუკუნის განმავლობაში. ჰანემანის და მისი მიმდევრების მიერ დაფიქსირებულმა სიმპტომოკომპლექსებმა, ასევე ტოქსიკოლოგიის მონაცემებმა ტომები შეადგინა.

მალე ჰანემანმა და მისმა კოლეგებმა აღმოაჩინეს, რომ ეს სიმპტომოკომპლექსები მსგავსი იყო იმ დაავადებებისა, რომელთა წინაშეც უძლური გახლდათ მათი თანამედროვე მედიცინა. გადაწყვიტეს, გამოეყენებინათ ეს წამლები იმ პაციენტთა სამკურნალოდ, რომელთაც აღმოუჩნდნენ მსგავსი სიმპტომები.

და ამის შედეგად გაოცებული დარჩნენ "განუკურნებელი" დაავადებათა ჰომეოპათიური პრინციპით მიღწეული განკურნებით.

ჰანემანი სამედიცინო პრაქტიკას დაუბრუნდა ჰომეოპათად. ის დაწვრილებით იწერდა ყოველი ავადმყოფის ფიზიკურ და ფსიქიკურ სიმპტომებს, ადარებდა ჯანმრთელებზე გამოცდისას მიღებულ სიმპტომოკომპლექსებს და ტოქსიკოლოგიის მონაცემებს. საბოლოოდ ზუსტდებოდა ყოველი წამლის "პათოგენეზი" – ასე უწოდა ჰანემანმა წამლისმიერი დაავადების სურათს.

ჰომეოპათიური პრინციპი, რომელიც დღეს ცნობილია როგორც მსგავსების კანონი, ჰანემანმა ჩამოაყალიბა "ორგანონის" შესავალში: "რომ უმკურნალო სწორად, უსაფრთხოდ, სწრაფად და სანდოდ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეარჩიე ისეთი წამალი, რომელსაც შეუძლია ჯანმრთელებში გამოიწვიოს მდგომარეობა მსგავსი იმისა, რომელიც უნდა განიკურნოს."

ჰანემანმა შეიცნო და განმარტა "მსგავსების" კანონი. ამავე დროს ციტირებას უკეთებს სხვა ავტორებსაც, რომელნიც ამ ფუნდამენტალური კანონის

არსებობას ვარაუდობდნენ და მიანიშნებდნენ მასზედ. მაგალითად, ჰიპოკრატე არაერთხელ მოიხსენიებდა თავის წიგნში მკურნალობის ორ მეთოდს: "მსგავსით" და "საწინააღმდეგოთი".

ბეტარდინგი წერდა, რომ სინამაქის ფოთოლი მკურნალობს მუცლის ქვალს იმიტომ, რომ იწვევს მას ჯანმრთელებში. სხვა ავტორი, ბულდუკი, ამბობდა ბევრად ადრე ჰანემანამდე, რომ რევანდი მკურნალობს ფაღარათს თავისი გამხსნელი თვისებების გამო. სტალი აღნიშნავდა: "მცდარია მედიცინაში დამკვიდრებული საწინააღმდეგოთი მკურნალობის წესი. დაავადებები ქრებიან იმ წამლებით, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ მსგავსი დაზიანება."

XVII საუკუნის გამოჩენილი ექიმი პარაცელსი, არა მარტო ხვდებოდა მსგავსების კანონის არსებობას, არამედ პრაქტიკულად ეყრდნობოდა, ფართოდ იყენებდა მას ბევრი, განსაკუთრებით კი შხამიანი წამლების გამოყენებისას. მას ეკუთვნის გამონათქვამები: "ყოველი შხამი ერთდროულად წამალია", "რასაც წამლავს შხამი, იგივეს მკურნალობს მცირე დოზით გამოყენებისას", "დაავადების დასახელება არაა ჩვენება წამლისათვის, მსგავსი უნდა შედარდეს მსგავსთან და ეს მსგავსება ავლენს განკურნების საოცარ შესაძლებლობებს."

## ჰომეოპათიის ძირითადი პრინციპები

ჰომეოპათიას ოთხი ძირითადი პრინციპი გააჩნია:

1. წამლების ჯანმრთელ ადამიანებზე გამოცდა;
2. ინდივიდუალური მიდგომა ავადმყოფის მკურნალობისას;
3. წამლის მინიმალური დოზით გამოყენება;
4. წამლების პოტენცირების წესით დამზადება.

ჩვენ უკვე ავღნიშნეთ, რომ წამლების ჯანმრთელ დამიანებზე გამოცდის პრინციპი ჰომეოპათიის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია. გარდა ამისა, ჰომეოპათია ეყრდნობა ტოქსიკოლოგიის მონაცემებს და წამლებით ავადმყოფთა მკურნალობისას მიღებულ შედეგებს.

ინდივიდუალური მკურნალობის პრინციპი გამომდინარეობს მსგავსების კანონიდან.

წამლების პერსონოტროპული მოქმედების გამოვლენა ჰანემანის მოძღვრების კიდევ ერთი ბრწყინვალე მიღწევაა. ჰომეოპათია მკურნალობს ავადმყოფს მთლიანობაში და არა ცალკეულ დაავადებას. იგი ავლენს მედიცინაში ვიწრო სპეციალიზაციის სუსტ მხარეებს, როდესაც ავადმყოფს მკურნალობენ ნაწილნაწილ, ორგანოების მიხედვით, მისი ობიექტური და სუბიექტური რეაქციების ერთიანობაზე დაკვირვების და გათვალისწინების გარეშე, ამიტომ თერაპიაში ინდივიდუალური მიდგომის პრინციპის დამკვიდრება და განვითარება მომავალში პერსპექტიული ამოცანაა.

მინიმალური დოზის პრინციპი წარმოიშვა იმ გარემოების გამო, რომ ჰომეოპათიური წესით მკურნალობისას წამლები იწვევენ ავადმყოფის მდგომარეობის პირველად გამწვავებას. ამ გამწვავების თავიდან აცილების ან მინიმუმამდე დაყვანის მიზნით ჰანემანი და მისი

მიმდევრები იძულებულნი იყვნენ, რომ დაეწყოთ წამლის დოზების შემცირება. აღმოჩნდა, რომ რაც უფრო მცირეა წამლის დოზა, მით უფრო უკეთესია მკურნალობით მიღწეული შედეგი.

წამლების დოზის შემცირებას ჰანემანი მათი გაზავებით აღწევდა. ჯერ ის 1:9, შემდეგ კი 1:99 პროპორციებით რამოდენიმეჯერ აზავებდა წამალს სპირტით. თუ დოზა მაინც დიდი აღმოჩნდებოდა, ეს პროცესი გრძელდებოდა. ჰანემანი დააკვირდა, რომ მრავალჯერადი გაზავების შემდეგაც წამალი ინარჩუნებდა თავის სამკურნალო თვისებებს, თუკი ყოველი გაზავების შემდგომ ხსნარი ინტენსიურად – 10–30 ჯერ იქნებოდა შენჯღრეული, იგი ღებულობდა საკმაოდ მაღალ გაზავებებს, როდესაც ფიზიკის და ქიმიის ყველა დღეისათვის ცნობილი კანონის მიხედვით საწყისი ნივთიერებიდან თითქმის არავითარი მოლეკულა აღარ უნდა დარჩენილიყო და აღმოაჩინა, რომ სამკურნალო ძალა წამალის დაკარგვის მაგიერ, მკვეთრად ემატებოდა. ამ პროცესს შემდგომში "პოტენცირება", ანუ "დინამიზაცია" ეწოდა.

არის ასეთი მიმართულებები მედიცინაში, რომლებიც აღიარებენ მსგავსების კანონს, ან პოტენცირების პრინციპს, მაგრამ უარს ამბობენ იმ უდიდეს ექსპერიმენტულ ნაწილზე, რომელიც ჰომეოპათიის პირველი პრინციპიდან გამომდინარეობს და სწორედ ამიტომ ვერ იცავენ ინდივიდუალური მკურნალობის მოთხოვნებს. მაგალითად, ხშირად ჰომეოპათიას ნატუროპათიასთან, ან ანტროპოსოფიულ მედიცინასთან აიგივებენ, მაშინ როდესაც ჰომეოპათია – მათგან სრულიად განსხვავებული მეცნიერებაა.

# ქრონიკული დაავადებების ფორმები

ჰანემანი მრავალწლიანი სამედიცინო პრაქტიკის დროს დარწმუნდა, რომ მწვავე დაავადებები სწრაფად და საბოლოოდ იკურნებოდა ახალი მეთოდით. როგი შემთხვევების დროს კი, მიუხედავად სწორად შერჩეული წამლისა და მიღწეული დადებითი შედეგისა, გარკვეული ხნის შემდეგ დაავადება ან კვლავ ბრუნდებოდა, ან ფორმას ' იცვლიდა. ჰანემანი თორმეტი წლის განმავლობაში მუშაობდა ქრონიკული დაავადებების პრობლემაზე. მას აწუხებდა საკითხი, თუ რატომ ხდება მათი განვითარება? რატომ ქრება მწვავე დაავადებები უკვალოდ, ქრონიკული დაავადებების დროს კი ორგანიზმს არ შეუძლია აღიდგინოს ჯანმრთელობა სტაბილურად და მკურნალობაც ზოგჯერ საკმაოდ პრობლემურია? რატომ არის, რომ ქრონიკული დაავადებები ფარულად, ნელა იწყება, თანდათანობით ვითარდება და საბოლოოდ უფრო დამანგრეველია ორგანიზმისათვის? ამდენ "რატომ"-ს ჰანემანის ნათელი, მაძიებელი გონება უპასუხოდ ვერ დატოვებდა. მან გააანალიზა კოლოსალური მასალა, შეისწავლა მრავალი ოჯახის დაავადების გენიოლოგია. მკურნალობის დროს ეძიებდა სხვადასხვა სნეულებათა შორის კავშირებს და ამის შედეგად საბოლოოდ ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრებები, კონცეფცია, რომელიც დღეს ცნობილია, როგორც "მიაზმების" თეორია, ჰანემანის ქრონიკული დაავადებების თეორია.

ჰანემანი დააკვირდა იმ გარემოებას, რომ ქრონიკული დაავადებების დროს, ორგანიზმს არ გააჩნია თვითგანკურნების ტენდენცია. ვითარების შენარჩუნებას ხელს უწყობს რაღაც ნიადაგი, რომელსაც მან "მიაზმი" უწოდა. უნდა აღინიშნოს, რომ "მიაზმის" ქვეშ ის აგრეთვე

ორგანიზმის "დაბინძურებასაც" გულისხმობდა, რომელიც გადაეცემა თაობიდან თაობას.

მიაზმი განაპირობებს ადამიანის მიდრეკილებას ანუ მზაობას ამა თუ იმ ფორმის დაავადების მიმართ.

ჰანემანმა აღმოაჩინა ბევრი პათოლოგიის კავშირი ადრე გადატანილ კანის ქავილიან გამონაყართან (მუნი და სხვები). როდესაც ექიმი ნიშნავდა ჰომეოპათიურ წამალს, რომელსაც პათოგენეზში გააჩნდა ისეთივე ფორმის კანის ქავილი, როგორც ავადმყოფს წარსულში ჰქონდა, ხდებოდა ქავილის დროებითი განახლება, მაგრამ ამას მოჰყვებოდა შინაგან ორგანოებში პათოლოგიური პროცესის უკან დახევა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჰანემანს ჰყავდა უამრავი მოწაფე. ბევრი სტუდენტი და ექიმი ჩამოდიოდა მასთან სხვადასხვა ქვეყნიდან. მაგრამ წარმატებამ მას დაუნდობელი მტრებიც უმრავლა. ერთ–ერთმა მათგანმა, დიდმა ლაიპციგელმა გამომცემელმა დაიწყო ისეთი პიროვნების ძებნა, რომელიც დაწერდა წიგნს ჰანემანის საწინააღმდეგოდ. მან იპოვა კიდეც ექიმი, რომელმაც თავის მხრივ, დავალება გადაბარა მოწაფეს, კონსტანტინ ჰერინგს. ჰერინგმა დაიწყო ჰომეოპათიის შესწავლა და მისი მადისკრედიტირებელი ინფორმაციის შეგროვება, მაგრამ მალე დარწმუნდა ახალი სწავლების სისწორეში და თვითონ გახდა მისი გულწრფელი მომხრე.

დღეისათვის ჰერინგის თორმეტტომიანი ნაშრომი – *Materia medica* – ერთ–ერთი საფუძვლიანი ჰომეო-პათიური სახელმძღვანელოა.

ამ უდიდესმა პიროვნებამ ჩამოაყალიბა წამალზე რეაქციის შეფასების წესები. რაც დღეს ჰერინგის კანონის სახელითაა ცნობილი:

“მკურნალობა სწორად მიმდინარეობს მაშინ, თუ ავადმყოფის სიმპტომები ქრება ქვემოთ ჩამოთვლილი სამიდან ერთ–ერთი მიმართულებით:

– შიგნიდან გარეთ;
– ზევიდან ქვევით;
– უფრო გვიან წარმოშობილი სიმპტომებიდან ადრინდელისაკენ (წარმოშობის საპირისპირო მიმართულებით).“

ჰერინგის კანონიდან გამომდინარეობს, რომ კანზე მიმდინარე პათოლოგიურმა პროცესმა უფრო გვიან უნდა გაიაროს, ვიდრე ორგანიზმის შინაგანმა დარღვევებმა. ეს ეხება არა მარტო პათოგენეტიკურად ერთმანეთთან დაკავშირებულ შინაგან და გარეგან პროცესებს, არამედ განსხვავებულ ნოზოლოგიებსაც, თუ ისინი ერთმანეთის თანმხლებნი არიან.

კანზე გამონაყარის ადგილობრივი საშუალებებით “დათრგუნვის“ და “ჩაბრუნების“ შედეგად “მიზეზი“ მძიმდება, რაც პროცესის ქრონიკულად გარდაქმნას და რეციდივირებას უწყობს ხელს. თუ ყოველი შემდგომი გამწვავება ისევ ითრგუნება, პათოლოგიური პროცესები ფორმას იცვლიან, „მეტამორფოზებს“ განიცდიან. მაგა–ლითად: მუნის დროს ქავილის დათრგუნვამ შეიძლება ბრონქიალური ასთმა გამოიწვიოს, ასთმის არასწორმა მკურნალობამ – ქრონიკული ჰეპატიტი და ასე შემდეგ. ავადმყოფი ამ შემთხვევაში ჯერ ერთ სპეციალისტს მიმართავს, შემდეგ მეორეს და მესამეს. ყოველი თავისას თითქოს და მკურნალობს, მაგრამ ავადმყოფის საერთო მდგომარეობა მძიმდება, პროგნოზი უარესდება.

იმ ფუნდამენტალურ მიზეზს, რომელიც ქრონი–კული დაავადებების უდიდეს ნაწილს საფუძვლად უდევს, ჰანემანმა „ფსორა“ დაარქვა (*Psora*). ქავილიან გამონაყართან დაკავშირებული პროცესების მსგავსად,

ყველა „ფსორიულ" გამოვლინებას ის განიხილავდა, როგორც ღრმად ჩადებულ დეფექტს, დაბინძურებას, უკმარისობას. მას საწინააღმდეგოს პრინციპით მკურნალობა მხოლოდ აძლიერებს.

საუკუნეების განმავლობაში ავადმყოფების მხოლოდ ცალკეული გამოვლინებები ითრგუნებოდა და ბედნიერი შემთხვევითობის წყალობით, ზოგჯერ ტარდებოდა სწორი მკურნალობა. ყოველივე ამის გამო უძველესი დროიდან მოყოლებული იზრდებოდა ჩასახული „ფსორა" და ეს ამრავლებდა ქრონიკული დაავადებების რიცხვს.

*Psora* - ფუნქციონალური სისუსტეა, ჰიპოტროფია, ჰიპოტონია. მისი პრინციპია - დ ე ფ ი ც ი ტ ი.

დეფიციტის მდგომარეობა განპირობებულია ნივთიერებათა ცვლის პროცესში მინერალების შეთვისების დარღვევით. მრავალი ავტორი, მათ შორის *A. Voegeli* და *J.Merger* განმარტავს „ფსორას" - როგორც „ორგანიზმის საშენებლო მინერალების ასიმილაციის კონსტიტუციონალურ დარღვევას".

მაგალითად *J.Merger* (1951) წერდა: „*Magnesium* - კონსტიტუცია როგორც წესი, ოჯახური არსებობს. ის უნდა ვივარაუდოთ ისეთ ავადმყოფებში, რომელთაც საოცარი შედეგი აქვთ *Magnesium carbonicum* - ით მკურნალობისას. მათ სისხლის ნათესავებში იმდენად ბევრია ამ წამლით განკურნება, რომ მე ვემხრობი მოსაზრებას *Magnesium* - კონსტიტუციის მემკვიდრეობით გადაცემის შესახებ."

ფსორიულ სამკურნალო საშუალებებს შორის ბევრია უპირველეს ყოვლისა მიკრო და მაკროელემენტები, რომელთაც ორგანიზმი ძირითად საშენებლო მასალად ან კატალიზატორებად იყენებს: *Sulfur*,

*Calcium, Kalium, Natrium, Magnesium, Silicium, Borium, Cuprum, Zincum,* აზოტი, ნახშირბადი, მათი ნაერთები, მჟავები და რიგი სხვა. მცენარეული ანტიფსორიული საშუალებებია: *Lycopodium, Mesereum, Sarsaparilla,* ნოზოდი: *Psorium.*

<u>„ფსორის“ კარდინალური ნიშნები</u>: ფერმკრთალი სახე, დაწითლებული ტუჩები, კანზე გამონაყარი, ქავილი, სიმშრალე, სიმხურვალე, წვა მტევნებსა და ქუსლებში. კანის, ფილტვების კონგესცია. თავის ტკივილი (შუბლის და საფეთქლების არეში). ლიმფური ჯირკვლების დასივება, ავადმყოფობისას – ოფლიანობა, რომელიც შვებას აძლევს. მდგომარეობა უმჯობესდება წოლისას, მოსვენებული მდგომარეობის დროს, ტკივილი – სითბოში, ფსიქიური სიმპტომები – სომატიური დაავადებების მომატებისას, მდგომარეობის გაუარესებას იწვევს ფეხზე დგომა, მოძრაობა, დარდი, შიში, ხმაური და ძლიერი სუნები.

ფსიქოლოგიურად დამახასიათებელია შიშები, ემოციურობა, მგრძნობიარობა. ფსორიული პაციენტი ეგოისტურია, დაღვრემილი და პირქუში. ყოველთვის რაღაცას უჩივის, წუწუნებს. გაბრაზებისას – ტირის. იოლად იღლება, ხშირად გონებას კარგავს.

ფსორიული მიაზმის დროს ორგანიზმში ჭარბობს ფუნქციონალური, ფსიქიური და ენდოკრინული დარღვევები. ნეიროვეგეტატიური დისჰარმონია. კანი, ლორწოვანი გარსები და ლიმფური ჯირკვლები მძაფრად რეაგირებენ. „ფსორა“ მიზეზია ისეთი დაავადებებისა, როგორიცაა რაქიტი, ანემია, ანაციდური გასტრიტი, ჰიპოტონია, ექსუდატიურ-კატარალური და ლიმფოჰიპოპლასტიური დიათეზისა და სხვა.

რეკევეგერის თეორიის მიხედვით ფსორიული მიაზმის დროს ორგანიზმი თავისუფლდება ტოქსი-

ნებისაგან მათი კანზე გამოტანით (ქავილი), პათოლოგიური გამონადენის სახით (ნახველი, სურდო, თეთრადშლა, პიორეა და სხვა) და აგრეთვე ლიმფურ ჯირკვლებსა და კვანძებში ჩალაგებით („ლიმფატიზმი“).

ჰანემანი ყოველთვის ხაზს უსვამდა ვენერიულ და არავენერიულ სნეულებათა შორის არსებულ მნიშვნელოვან განსხვავებას. გონორეის მსგავსად მიმდინარე პათოლოგიური პროცესების ნიადაგი მან ახალ მიაზმად გამოჰყო და უწოდა მას „სიკოზი“ (*Sycose*). გონორეისათვის მეორე სტადიაში დამახასიათებელია კონდილომები და სხვა ჰიპერპლასტიური პროცესები.

*Sycose* - გაძლიერებული რეაქციაა. ჰუმორალური პროცესები იწვევს შლაკების (წიდას) დალექვას და ქსოვილების გაზრდას. ჰიპერტროფია, ჰიპერტონია. პრინციპი – სიჭარბე.

სიკოზიანი პაციენტების ნათესავებს ხშირად აღმოუჩნდებათ ნივთიერებათა ცვლის დარღვევა: პოდაგრა, რევმატიული დაავადებები, თირკმელებსა და ნაღვლის ბუშტში კენჭების წარმოქმნა, ათეროსკლეროზი და აგრეთვე ალერგიული დაავადებები, მეჭეჭები, კონდილომები.

ძირითადი ანტისიკოზური წამლებია: ***Thuja, Natrium sulfuricum, Acidum nitricum, Lycopodium, Berberis, Medorchinum.***

„სიკოზის“ კარდინალური ნიშნები: დახორკლილი, ფორთოხლის ქერქის მაგვარი, ცხიმიანი, მოყვითალო ან მონაცრისფრო ფერის კანი; ბევრი ხალი და მეჭეჭი ტანზე. მდგომარეობის გაუარესება ნესტიან ადგილებსა და ტენიან ამინდში.

ფსიქიკის მხრივ დამახასიათებელია მოშლილობანი: გაღიზიანებადობა, აღგზნებადობა, შინაგანი დაძაბულობა და განცდათა სიმძაფრე. ავადმყოფი – ცოცხალი, ენერგიული ადამიანია, მაგრამ საქმეებით და ცხოვრებით გადაღლილი. ღამე – ძილი ერღვევა, დილაობით – გაბრაზებული და გაღიზიანებული იღვიძებს (როგორც *Nux vomica* ტიპი). ზოგჯერ ავლენს ეჭვიანობას ან სუიციდალურ აზრებს, თუმცა ეს სიფილინური მიაზმისათვის არის დამახასიათებელი.

სიკოზს გარდა ზემოაღნიშნული დაავადებებისა შარდმჟავა და რევმო-არტრიტული დიათეზები შეესაბამება. ამ მიაზმის დროს ტოქსინები ლაგდება ფუნქციონალურად ნაკლებად დატვირთულ ქსოვილებში, უჯრედშუა სივრცეებსა და იქ, სადაც სისხლის მიწოდება შეზღუდულია (კენჭები, პოდაგრული კვანძები და ა.შ.). „სიკოზი" – ყველაზე ხშირი ნიადაგია ალერგიული დაავადებებისა. ამ დროს ორგანიზმი ცდილობს გაძლიერებულად გამოყაროს ის ტოქსინები, რომლებიც ავსებენ ორგანიზმს და მნიშვნელოვნად ზღუდავენ მის სიცოცხლისუნარიანობას.

თუ ორგანიზმს ტოქსინებისაგან განთავისუფლების ჩამოთვლილი გზები ჩაკეტილი ან არასაკმარისი აქვს, ტოქსინები უჯრედშუა სივრციდან უჯრედში გადადიან და ბირთვებამდე აღწევენ, რასაც უჯრედების სიკვდილი მოყვება. ეს ჰანემანის მესამე მიაზმის დაწყებაზე მეტყველებს. მას „სიფილინუმი" ეწოდება, რადგანაც მისი წარმოშობა დაკავშირებულია ათაშანგის შთამომავლობით გადატანასთან. ათაშანგი უქმნის ნიადაგს დესტრუქციული პროცესების მიმართ მიდრეკილებას.

*Syphilinii* - მიაზმის პრინციპია: ალტერაცია, დესტრუქცია.

ასეთი რეაქცია გვხვდება ღრმა დაწირქების, დაწყლუ-ლების, დისტროფიის, ფისტულების და სეკვესტრების წარმოქმნის დროს.

ამ მიაზმის კარდინალური ნიშნებია: ქსოვილების ელასტიურობის დაკარგვა. პაციენტი მოხუცად გამოიყუ-რება, დანაოჭებული კანი აქვს. ძვლების ტკივილი, განსაკუთრებით ღამით. ძლიერი ოფლიანობა, ასევე ღამით, რომელიც არ აძლევს პაციენტს არავითარ შვებას. გაძლიერებული წყურვილი. მოკლე ხანში წონაში მნიშვნელოვანი დაკლება. სუნიანი მომწვანო - მოყვითალო გამონადენი („სიკოზის" დროს - იგივე ფერის გამონადენია, მხოლოდ უსუნო). მდგომარეობის გაუარესება სიცხეში, ცეცხლთან ახლოს ყოფნისას.

ფსიქოლოგიურად დამახასიათებელია აგრესია, აუტოაგრესია, წესრიგის პედანტიური მოთხოვნილება, პარანოიალური მანიები და ეჭვები, სუიციდალური აზრები. ავადმყოფი - ჯიუტი, ეჭვიანი პიროვნებაა, რომელსაც დიდი (*Aurum*) ან დაქვეითებული (*Mercurius*) ინტელექტი გააჩნია. ასეთი ადამიანები ხშირად რევოლუციონერები ხდებიან, ვინაიდან განდიდების მანიასთან ერთად მათ „ნგრევის" ინსტინქტიც გააჩნიათ. „ნგრევის" ინსტინქტი წესრიგის გაძლიერებული მოთხოვნიდან გამომდინარეობს (*Argen*), მათ არ მოსწონთ არსებული წესრიგი და ჰგონიათ, რომ თვითონ ბევრად უკეთესს დაამყარებენ (ვლადიმერ ულიანოვი „სიფილინიური" ხასიათის ტიპიური მაგალითია).

სიფილინიური მიაზმი იკურნება წამლებით: ***Aurum, Mercurius, Argen, Acidum nitricum, Jod, Syphilinium*** და სხვებით.

ჰანემანის სამ მიაზმს შემდგომში დაემატა მეოთხე

– *Tuberculinii.* ის ფაქტიურად კომბინირებული ***Psora*** და ***Syphilinii*** - ა.

ამ მაზმის <u>კარდინალური ნიშნებია:</u> რბილი, თხელი ძვლები, ასტენიური აღნაგობა (***Psora***-ს დროს ხშირად ჰიპერსტენიურია, ***Sycose***-ს დროს – ათლეტური და ***Syphilinii***-ს დროს – კახექსიური, დისპლაზიური). მგრძნობელობა უმცირესი სიცივის მიმართ, თუმცა სიცხესაც ვერ იტანს. ხშირი გაცივება და ყელის ინფექციები. მნიშვნელოვანი ოფლიანობა.

ხასიათით ***Tuberculinii***-ს ტიპის პაციენტები ძალიზედ მოძრავნი, მოუსვენარნი, ჯიუტნი და მშიშრები არიან. მათთვის დამახასიათებელია მელანქოლიური ინტრავერსია და დეპრესია. დიდხანს ვერ ძლებიან ერთ საქმეს, ოჯახს, სახლს, ქალაქს. უყვართ მოგზაურობა. ვიტულკასი აღნიშნავს: „(ტუბერკულინუმის ტიპის პიროვნება როგორც ორი მხრიდან ანთებული სანთელი – ისე წვავს თავის ცხოვრებას".

ამ მიაზმის წამლებია: ***Phosphor, Natrium muriaticum, Stannum, Tuberculinium.***

თუ ***Siphilinii*** კომბინირებულია ***Sycose***-სთან (ან სამივე მიაზმის კომბინაციაა), ნიადაგი იქმნება ავთვისებიანი სიმსივნეებისათვის. რეკევეგერის თეორიის თანახმად სიმსივნეები – ორგანიზმის დაცვითი რეაქციაა. ისინი „წვავენ" ტოქსინებს და ამით ანთავისუფლებენ ორგანიზმს, როდესაც ***Siphilinii*** უკვე დაწყებულია. კეთილთვისებიანი სიმსივნეებისათვის ნიადაგი წარმოიშვება ***Psora***-ს და ***Sycos***-ის კომბინაციის დროს.

როდესაც ორი ან სამი მიაზმი ერთდროულად გვხვდება, უნდა განვაცალკევოთ ყოველი მათგანის სიმპტომოკომპლექსი და სათანადო წამლებით ფენა – ფენა, თანმიმდევრობით მოვხსნათ ისინი. ერთდროულად მათი მკურნალობა შეუძლებელია. პირველად მკურ-

ნალობას საჭიროებს ის მიაზმი, რომელიც ბოლოს წარმოიქმნა.

ვიტულკასი წერს, რომ დღეს ჩვენ კიდევ უფრო ძნელი ამოცანის წინაშე ვდგავართ, ვიდრე ჰანემანი და მისი მოწაფეები. თანამედროვე ჰომეოპათიურ პრაქტიკაში ვხვდებით ადამიანის ორგანიზმზე მრავალგვარი მავნე და ხელის შემშლელი ფაქტორის ზეგავლენას, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემა და ქმნის კონსტიტუციონალურ მიდრეკილებას. მიაზმების ერთ-ერთ მძლავრ წყაროს წარმოადგენს აცრები, ძლიერი დამთრგუნველი ზემოქმედების მედიკამენტები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება ალოპათიურ მედიცინაში. ისინი ზოგჯერ იწვევს ღრმა იმუნოლოგიურ დარღვევებს, რომელთა გადალახვა ორგანიზმს ძალიან უჭირს. ამ იატროგენული მიაზმებიდან ყველაზე ხშირია ანტიბიოტიკებით, კორტიკოსტეროიდებით, აცრებით გამოწვეული მიაზმები.

დღეს ჰომეოპათიურ პრაქტიკაში ხშირად გვხვდებიან ავადმყოფები, რომლებიც იტანჯებიან ხუთი ან ექვსი მიაზმური „ფენით“. ჰომეოპათიისათვის ასეთი ავადმყოფის მკურნალობა – მისი შესაძლებლობების მძიმე და არასახარბიელო გამოცდაა.

ექიმი ყველა ეტაპზე უშეცდომო დანიშნულებასაც რომ ნიშნავდეს, მაინც ძალზედ ძნელდება მიაზმების ფენა – ფენა მოხსნა. ზოგჯერ ამისათვის დიდი მოთმინება და წლობით გულდასმითი მუშაობაა საჭირო.

ამგვარად, ჰანემანმა დასახა ქრონიკული დაავადებების რადიკალური მკურნალობის გზა. არ შეიძლება ითქვას, რომ „მიაზმების“ თეორიამ საბოლოო, სრულყოფილი ფორმა მიიღო. მისი გაანალიზება და შემდგომი განვითარება დღესაც გრძელდება.

# ძველი ტრადიციული სამედიცინო სისტემები და „მიაზმების“ თეორია.

ჩინური მედიცინის მიხედვით ადამიანი (მიკროკოსმოსი) ბუნების (მაკროკოსმოსი) ერთ-ერთი შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. „მიკროკოსმოსი“ სარკეა „მაკროკოსმოსის“. ადამიანში, ისევე როგორც ბუნებაში, ყველაფერი განიცდის ციკლურ ცვლილებებს, რასაც ორი ურთიერთ საწინააღმდეგო ძალის „ინის“ და „იანის“ ჭიდილი და პაექრობა განაპირობებს. „ინი“ ქალური საწყისია — პასიური, გრილი, ბნელი, მაგრამ დიდი, მასიური და ამიტომ ქვევით მიისწრაფის. „იანი“ კი მამაკაცური საწყისია — მხურვალე, აქტიური, ნათელი, მჩატე და ზევით მიისწრაფის. „ინი“ ზრდისა და აღმშენებლობის ძალაა, რომელსაც სივრცეში გაფართოების ტენდენცია აქვს. „იანი“ დამშლელი ძალაა, ფორმის მიმცემი, რომელიც ზღუდავს სივრცეში გაფართოების ტენდენციას და ფორმას ანიჭებს ყოველ ბიოლოგიურ სუბსტრაქტს. „ინი“ ცდილობს შეანელოს ორგანიზმის გარემოზე რეაგირება, გაზარდოს ასიმილაციური პროცესები (წონაში მატება), „იანი“ კი პირიქით — ამძაფრებს ორგანიზმის რეაქტიულობას, აძლიერებს დისიმილაციურ პროცესებს. მაშასადამე „ინის“ სიმპტომოკომპლექსი გლუკოკორტიკოსტეროიდების მოქმედების ანალოგიურია, მაშინ როდესაც „იანის“ სიმპტომოკომპლექსი — კატექოლამინების.

ჩინური მედიცინის მიხედვით „ინის“ მატარებელი ორგანოებია ღვიძლი, გული, თირკმლები, ელენთა, პანკრეასი, ფილტვები. „იანის“ მატარებელია — ნაღვლის ბუშტი, შარდის ბუშტი, კუჭი, სქელი და წვრილი ნაწლავები.

„ინ" სინდრომს მიეკუთვნება, მაგალითად, სიფერმკრთალე, ხელ-ფეხის გაციება, ნელი, სუსტი მაჯისცემა, დაბალი წნევა, კუჭის შეკრულობა და ა.შ. „იან" სინდრომს მიეკუთვნება: ლოყების სიწითლე, ძლიერი კონგრესია, მაღალი სიცხე, ჰიპერტენზია და ა.შ.

ჩინური ფილოსოფიის მიხედვით ბუნების ხუთი ელემენტი შეესაბამება ციკლური ცვლილებების სხვადასხვა ფაზებს. პირველი — მიწა, საყოველთაო საწყისი და გამაერთიანებელი ელემენტია. მისი ადგილია ციკლის ცენტრში (ნახ. 1). დანარჩენი ოთხი ელემენტი გამოხატავს მაქსიმალურ, მინიმალურ აქტიურობას და ორ გარდამავალ მდგომარეობას მათ შორის. (ნახ.1)




ნახ. 1

„წყალი" („დიდი ინი") — ყველაზე ცივი, პასიური და მძიმეა. ის აძლევს ორგანიზმს სტაბილურობას. „ცეცხლი" („დიდი იანი") — მხურვალე, აქტიური ელემენტია. „ხე" („მცირე იანი") - აღმავლობის, განვითარების სიმბოლოა (როგორც დილა ანუ

გაზაფხული); „რკინა“ („მცირე ინი“) კი — უკუგანვითარების, აქტიურობის დაცემის ელემენტია (საღამო, შემოდგომა).

ჩინური მედიცინა ძირითად ოთხ სიმპტომოკომპლექსს ანიხილავს: „დიდი ინი“, „მცირე იანი“, „დიდი იანი“, „მცირე იანი“. ოთხივე ზემოთ აღნიშნულ ციკლის ფაზებს შეესაბამება.

ჰუმორული თეორია ადამიანის ორგანიზმში ანალოგიურად გამოყოფს ორ უკიდურეს და ორ გარდამავალ მდგომარეობას. მაქსიმალურ აქტიურობას შეესაბამება ელემენტი: „ცეცხლი“ და ჰუმორი: „ყვითელი ნაღველი“ („ზაფრა“). მინიმალურ აქტიურობას — „წყალი“ და „ლორწო“ („ლიმფა“, „ბალღამი“). აღმავლობას მინიმალურიდან მაქსიმალურისაკენ — „ჰაერი“ და „სისხლი“. მეორე გარდამავალ მდგომარეობას, მაქსიმალურიდან მინიმალურისაკენ — „მიწა“ და „შავი ნაღველი“ („სევდა“). „შავი ნაღვლის“ ქვეშ იგულისხმება გადამწვარი ბიოლოგიური სითხეები: ვენოზური სისხლი (მერაბ ჯანელიძე, 1989 წ.), გამუქებული ნაღველი და ბალღამი.

ყოველ ამ ელემენტს და ჰუმორს ოთხი ძირითადი თვისება გააჩნია, რომელთა მიხედვით ხდება ადამიანის კონსტიტუციების, სიმპტომოკომპლექსების და წამლების დახარისხება. ეს ძირითადი თვისებებია: მხურვალე, გრილი, ნოტიო და ხმელი (ნახ. 2).




ნახ. 2

ჰუმორებს შორის ორგანიზმში წონასწორობა არსებობს. თუ ეს წონასწორობა სხვადასხვა მიზეზებით დარღვეული იქნება ადამიანი ავად ხდება. მკურნალობის მიზანია აღდგეს დარღვეული წონასწორობა, რაც ხელს შეუწყობს გამოჯანმრთელებას. ამისათვის საჭიროა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დადგინდეს რა მიმართულებით არის გადახრა გაწონასწორებულ საშუალო მდგომარეობიდან, როგორი არის ავადმყოფის კონსტიტუცია, ანუ საწყისი მდგომარეობა. შემდეგ ძველი მედიცინა ითვალისწინებდა წამლის ბუნებას, რომელსაც წინასწარ სწავლობდა. ცნობილი იყო როგორი გემოს წამლები ან საჭმელები ახურებს ორგანიზმს და როგორი აგრილებს. წამლები წონასწორობის აღსადგენად გამოიყენებოდა, როგორც „საწინააღმდეგოს“ ასევე „მსგავსების“ პრინციპითაც.

მაგალითად, ალოე, მხურვალე და ხმელი მესამე ხარისხში, თავისი ბუნებით, ახურებს და აშრობს ორგანიზმს, როდესაც ის „ბალღმით“ არის შებყრობილი, მაგრამ, ამასთანავე კარაბადინში წერია იმის შესახებაც,

რომ ის კარგად აქარვებს ყვითელ ნაღველსაც, ასევე მხურვალეს და ხმელს ბუნებით. ესე იგი მსგავსი მკურნალობს მსგავს!

ჰიპოკრატეც ასევე აღნიშნავდა, რომ ორი სახის წამალს შეუძლია კარგად განკურნოს დაავადება. პირველი — ეს ისეთი წამლებია, რომელთა მოქმედება იგივე მიმართულებითაა წარმართული, როგორც დაავადების დროს არის გადახრა. მეორე — წამლებია, რომელთა მოქმედება საწინააღმდეგოა დაავადების სიმპტომებისა. სამწუხაროდ, ჰიპოკრატე მეორე ჯგუფის წამლებს აძლევდა უპირატესობას. მეორე უდიდესმა ექიმმა ჰალენმა საერთოდ მედიცინის ლოზუნგად შემოიღო მტკიცება: *"Contraria contrarium curantur"* („საწინააღმდეგო იკურნება საწინააღმდეგოთი“), რითაც მედიცინის განვითარება მთელ მსოფლიოში ორი ათასი წლით ჩიხში შეიყვანა.

რა იყო მანამდე ? უძველესი ინდური და ჩინური მედიცინა გვიჩვენებს, რომ არა ის, რასაც ანტიპათიური მედიცინა აკეთებს. შუმერული და ეგვიპტური მედიცინის პრინციპები შესწავლას და გაანალიზებას მოითხოვს. ქართული მედიცინაც ერთ-ერთი უძველესთაგანია. ის შუმერულიდან ღებულობს საწყისებს. ბატონი რამაზ შენგელია აღნიშნავს, რომ ქართული მედიცინა უძველეს დროიდან იყენებდა შხამებს სამკურნალოდ. მაგალითად, მედეამ იცოდა მრავალი შხამის არა მარტო მომწამვლელი ძალა, არამედ მათი სასიკეთო თვისებებიც, ქართველი მეფეები ღებულობდნენ მცირე დოზით შხამებს, რათა გამოემუშავებინათ მათ მიმართ იმუნიტეტი.

თვით ჰიპოკრატე სცდილობდა კოლხური მედიცინის საიდუმლოებების გამოვლენას, მაგრამ, მწუხარებით აღნიშნავს რომ მას არაფერი არ გაანდვეს. ჰიპოკრატეს დროს არსებობდა სახელგანთქმული კნიდოსის სკოლა,

რომელიც ეგვიპტეს და ბაბილონის სამედიცინო ტრადიციების გამგრძელებლად იყო ცნობილი. თუ ჰიპოკრატეს კოსის სკოლა ხალხის ფართო მოსახლეობას მკურნალობდა, დიაგნოსტიკის და მკურნალობის მარტივ მეთოდებს იყენებდა, სრულიად სხვანაირად იდგა საკითხი კნიდოსის სკოლაში. მისი ექიმები იყვნენ ბევრად მაღალი რანგით და მკურნალობდნენ უფრო სერიოზულ პრობლემებს. კნიდოსის სკოლა განიხილავდა თავისებურ სიმპტომების კომპლექსებს, არ იფარგლებოდა მხოლოდ კონკრეტული დაავადებებით, მკურნალობდა პიროვნებას.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უძველესი მედიცინა იყენებდა ძირითადად სინდრომოლოგიურ დიაგნოსტიკას, შემდეგ მისი ადგილი დაიკავა ნოზოლოგიურმა. ჯერ ნოზოლოგიური ერთეულები გამოყოფილი იყო ანატომიური პრინციპით, შემდეგ აგრეთვე ეთიოლოგიურით, და ბოლოს ფუნქციონალურით. ამჟამად სულ უფრო ხშირად ვხვდებით შერეულ ფუნქციონალურ — ეთიოლოგიურ — პათანატომიურ ნოზოლოგიურ და აგრეთვე სინდრომოლოგიურ დიაგნოზებს. თანამედროვე სინდრომები (ვეგეტოდისტონია, დეპრესიული — ობსესიური სინდრომი და ა.შ.) არ მოიცავენ ავადმყოფის მთლიან მდგომარეობას და მითუმეტეს, ძველი ტრადიციული მედიცინის და ჰომეოპათიის სინდრომებიდან განსხვავებით სრულიად არ ითვალისწინებენ პიროვნებას.

ამ თავში ჩვენ შეგნებულად გამოვტოვეთ ტიბეტის და ინდური აიურვედული მედიცინის სინდრომების განხილვა, რათა კიდევ უფრო არ გაგვერთულებია ისედაც ძალზედ რთული მასალა. მოკლედ გვინდა ავღნიშნოთ ჩვენი ანალიზის შედეგები. ამ სამედიცინო სისტემებში აღწერილი სამი ძირითადი სინდრომი და ადამიანის კონსტიტუციონალური ტიპი არ ეწინააღმდეგება ოთხ სინდრომს და კონსტიტუციას ჰუმორულ თეორიაში და ჩინურ მედიცინაში. უბრალოდ ამ სამიდან ორი უკიდურესი

ფორმაა და ერთი გარდამავალი. მეორე გარდამავალი ფორმაც ინდურ და ტიბეტის მედიცინაში არსებობს, მხოლოდ როგორც შერეული სინდრომი ან ტიპი („კაპხა—პიტტა“, იხ. ნახ.2).

ამ თავში ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებინა, რომ „მიაზმების“ თეორია, მიუხედავად იმისა, რომ სრულყოფილი, დამთავრებული ფორმით ჯერჯერობით არ არის, კავშირშია ძველი ტრადიციული სამედიცინო სისტემებთან. მათი ერთობლივი შემდგომი განხილვა და შესწავლა ბევრის მომტანია.

ჰომეოპათიური მკურნალობა შეიძლება შეივსოს ინდივიდუალურად შერჩეული დიეტით ქართული ან ტიბეტის მედიცინიდან, ვარჯიშებით და ასე შემდეგ. რაც მთავარია, იმედი გვაქვს, რომ ზოგიერთი სპეციალისტი მაინც მივა იმ აზრამდე, რომ არც ჰუმორული თეორიის, არც „მიაზმების“ ისტორიაზე მიბარება არ შეიძლებოდა. ტრადიციული მედიცინის შესწავლა და აღორძინება უნდა დაიწყოს არა პრაქტიკული რეცეპტებიდან, მეთოდებით და საშუალებებიდან, არამედ თეორიული საფუძვლებიდან.

## ადამიანის ბიოჰოლოგრაფიული მოდელი

ჰომეოპათიური მკურნალობის მეცნიერული დასაბუთება დაკავშირებულია ადამიანის შესახებ ცოდნის მნიშვნელოვან გაფართოებასა და გაღრმავებასთან. იგულისხმება ცოდნის არა მარტო რაოდენობრივად ზრდა, როგორც ეს მეცნიერთა უმრავლესობას წარმოუდგენია, არამედ ხარისხობრივი გადაწყობა.

ადამიანის და ბუნების შესახებ XIX-XX საუკუნეებში შექმნილი წარმოდგენა არ შეიძლება ჩაითვალოს სრულყოფილად. მაგალითად, კვანტური

მექანიკა ალბათობის თეორიაზეა აგებული. ფიზიკაში რჩება ბევრი აუხსნელი პარადოქსი; მედიცინაში აუხსნელია ჰომეოპათიური დარგი სხვა ადაპტაციური თერაპიის მეთოდები, მათ შორის — ფსიქოთერაპიაც; ბიოლოგია ჯერ კიდევ ვერ ხსნის, თუ როგორ ვითარდება ერთუჯრედოვანი საწყისი ფორმიდან ადამიანის ურთულესი სივრცული ორგანიზაცია. რა მართავს ემბრიოგენეზს, მორფოგენეზს, რეპარაციას? საკმარისი არ არის ვამტკიცოთ, რომ ყველაფერი გენებშია ჩაწერილი. გენი — არქიტექტურული პროექტია; ცილები, ცხიმები, მიკროელემენტები და ა.შ. — საშენებლო მასალა. მშენებელი კი ვინ არის? ნუთუ სახლის ასაშენებლად მხოლოდ პროექტი და მასალაა საჭირო?

შეიძლება თვითრეგულირებადი და თვითორგანიზებადი სისტემა სივრცული ორგანიზაციის მთლიანი კონტროლის და რეგულაციის გარეშე არსებობდეს? ეს ბიოლოგიის ჯერჯერობით აუხსნელი პრობლემაა. მის ამოხსნასთან ბევრად არის დაკავშირებული ჰომეოპათიის მეცნიერული დასაბუთება, ვინაიდან ჰომეოპათია ზემოქმედებს მთლიანობაზე, რომელიც უდაოდ არსებობს, მაგრამ თანაც ვითომც არ არსებობს, რადგან მეცნიერებაში არ არის შემუშავებული თეორია მთლიანობის კონტროლის შესახებ.

რა სამწუხაროა, როდესაც ქილერების და მაგების უდიდესი კრიტიკოსი ვოლკენშტეინი თავის ბიოფიზიკის სახელმძღვანელოში ემბრიოგენეზის და მორფოგენეზის რეგულაციის საკითხებზე საუბრისას შეგნებულად გაურბის ყველა არსებული თეორიის განხილვას. ის მოიხსენიებს მხოლოდ ქიმიური გრადიენტების მოდელს და გაკვრითაც კი არ ეხება ბიოფიზიკოს გურვიჩის თეორიას.

პროფესორი გურვიჩი ჯერ კიდევ 1922 წლის მივიდა იმ აზრამდე, რომ მიტოგენეზის დროს უჯრედს გამოსხივება გააჩნია. მან თავისი ჰიპოთეზა

ექსპერიმენტულად დაამტკიცა. შემდგომში შექმნა მათემატიკური მოდელი ემბრიონალური ველისა. 1944 წლის მეცნიერმა გააერთიანა „მიტოგენეტური გამოსხივების“ და „ემბრიონალური ველის“ თეორიები ერთიან „ბიოლოგიური ველის“ თეორიაში.

ადამიანის „ბიოჰოლოგრაფიული“ მოდელი არის გურვიჩის თეორიების გაგრძელება. ის აერთიანებს ამ თეორიებს ამერიკელი ფსიქოფიზიოლოგების პრიბრამის და ვესტლაიკის „ნეიროჰოლოგრაფიულ“ მოდელთან.

„ნეიროჰოლოგრაფიული“ მოდელი ამტკიცებს, რომ ადამიანის აზროვნება, მახსოვრობა და სხვა ფსიქოლოგიური მოვლენები ხორციელდება არა თავის ტვინის სტრუქტურის დონეზე, არამედ ველის დონეზე, რომელიც ტვინთან ჰოლოგრაფიულ დამოკიდებულებაშია. „ნეიროჰოლოგრაფიული“ მოდელი დღესისათვის ერთადერთია ფსიქოფიზიოლოგიური მოდელებიდან, რომელიც მათემატიკურად არის დასაბუთებული.

ჰოლოგრაფიას, როგორც ფიზიკურ მოვლენას ბიოლოგიურ და სამედიცინო აზროვნებაში ჯერ სათანადო ადგილი არ მოეპოვებია. ფიზიკურ–მათემატიკური თვალსაზრისით ის მხოლოდ ბოლო ორი ათეული წელიწადში იქნა კარგად შესწავლილი. ჰოლოგრაფიული სურათის გადაღება ხდება ფოტოფირზე, რომელზეც აღიბეჭდება ორი მონოქრომატული გამოსხივების გადაკვეთით მიღებული ინტერფერენციული სურათი. ერთი გამოსხივება მოდის სინათლის წყაროდან, მეორე კი ალიტყორცნება გადასაღები ობიექტიდან. ფირის გამომჟღავნების შემდგომ მის უკან განათებისას მოჩანს ობიექტის სივრცული გამოსახულება. ჰოლოგრაფიული პროცესის მთავარი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ თუ ფირს დავჭრით და მის ერთ–ერთ ჩამოჭრილ ნაწილს დავაშუქებთ სინათლეს, ობიექტი მაინც მთლიანად გამოჩნდება. რაც მცირეა ფოტოფირის ნაწილი, მით უფრო

არამკაფიო იქნება მის უკან გამოსახულება, მაგრამ გადაღებული ობიექტის დანაწილება არ ხდება, ამ მოვლენას ეწოდება ჰოლოგრაფიული განაწილება. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ყოველ ნაწილში არის ინფორმაცია მთლიანობაზე, ისევე, როგორც მთლიანობაში არის ინფორმაცია ყოველ ნაწილზე. ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ვ. პუშკინი აღნიშნავს, რომ ჰოლოგრაფიული განაწილება კარგად ხსნის წინააღმდეგობას პავლოვის „ლოკალიზაციონიზმის“ და ლეშლის „განაწილების“ პრინციპებს შორის ნეიროფიზიოლოგიაში. ფუნქცია თავის ტვინში ერთდროულად, როგორც ლოკალიზებულია, ასევე განაწილებულია. ჰოლოგრაფიული განაწილება ტვინის ფუნქციების პლასტიკურ თვისებათა ახსნის კარგ საშუალებას იძლევა. და ბოლოს, ინფორმაციის ჰოლოგრაფიული ჩაწერა ყველაზე უფრო ტევადია იმათ შორის, რაც კი ჯერჯერობით ცნობილია ფიზიკაში. გასაკვირი იქნებოდა, რომ ბიოლოგიური სისტემები ამ მოვლენას არ იყენებდნენ.

ჰოლოგრაფიული სტრუქტურულველოვანი დამოკიდებულებები არა მარტო თავის ტვინის ფუნქციონირებაში მონაწილეობს – ჩვენ ვუყურებთ ამ მოვლენის მკაფიო ანაბეჭდებს ადამიანის მთელ ორგანიზმში. მაგალითად, ჩინური აკუპუნქტურული წერტილები, ირიდოდიაგნოსტიკა, აურიკულოდიაგნოსტიკა და სხვები. ორგანიზმის მთლიანობა, თავისი ნაწილებით წარმოდგენილია თვალის ფერადოვან გარსზე, ყურის ნიჟარაზე, ხელის და ფეხის ფერადოვან გულებზე, ენაზე და სხეულის მრავალ სხვა ადგილზე. რას ნიშნავს ეს, თუ არა ჰოლოგრაფიულ განაწილებას?

მაშასადამე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ორგანიზმი „ბიოჰოლოგრაფიული“ მექანიზმებით აკონტროლებს თავის მთლიანობას, მართავს მორფო-

გენეზის პროცესებს, ბიორიტმებს და რა თქმა უნდა, ალბათ, ქსოვილების პათოლოგიურ გარდაქმნასაც. მთლიანი კონტროლის განხორციელება ცოცხალი ორგანიზმებისათვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. როგორც ჩანს ჯანმრთელობის და ავადმყოფობის საკითხები უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია ორგანიზმის მიერ თავის თავზე, როგორც სივრცულ მთლიანობაზე ერთიანი კონტროლის განხორციელებასთან.

„ბიოჰოლოგრაფიული“ მოდელიდან გამომდინარეობს ჯანმრთელობის, დაავადების და ადაპტაციის განმარტებები.

ჯანმრთელობა არის ორგანიზმის დინამიური წონასწორობითი მდგომარეობა, როდესაც ის თავის თავში სრულფასოვნად ახორციელებს მთლიან კონტროლს.

დაავადება — მთლიანი კონტროლის დაკარგვაზე ორგანიზმის თვითდაცვითი რეაქციაა.

ადაპტაცია — ორგანიზმის თვითდაცვითი რეაქციაა, მიმართული მთლიანი კონტროლის შენარჩუნებაზე.

თუ გარეშე, ან შინაგანი ფაქტორების გამო ირღვევა ორგანიზმში მთლიანი კონტროლი, ადაპტაციას ცვლის დაავადება (ასევე თვითდაცვითი რეაქცია), მიმართული მთლიანი კონტროლის აღდგენისაკენ. ამ მიზნის მისაღწევად ორგანიზმმა შეიძლება თვითონვე განწირის სხეულის ნაწილი, რათა დარჩენილ ჯანსაღ ნაწილებში ერთიანი კონტროლი განახორციელოს. თუ მიაღწია მიზანს, ქსოვილების პათოლოგიური გარდაქმნა (პათოგენეზი) წყდება, დარღვეული ფუნქციის აღდგენის მიზნით კომპენსატორული პროცესები გრძელდება, მიიღწევა გამოჯანმრთელება. იმ შემთხვევაში, თუ ერთიანი კონტროლის აღდგენა ვერ ხდება, პათოგენეზი ღრმა სტრუქტურულ ცვლილებებს იწვევს და კომპენსა-ტორული ძალები ვერ ასწრებენ დარღვეულ ფუნქ-

ციებზე დროულ რეაქციას. პათოლოგიური პროცესები ქრონიკული ხასიათის ღებულობენ, ხოლო ქრონიკული დაავადებების დროს მთლიანი კონტროლის აღდგენის პროცესი ბლოკირებულია, ამის გამო ქსოვილების პათოლოგიური გარდაქმნა არ ჩერდება, თუმცა მიმდინარეობს ნაკლებ ინტენსიურად. კომპენსატორული პროცესების რეზერვები თითქმის ამოწურულია და ალტერნატიული პროცესებს ხშირად ვერ უსწრებენ წინ.

სავარაუდოა, რომ მაღალპოტენცირებული ჰომეოპათიური პრეპარატები ცვლიან დაავადებული ორგანიზმის ჰოლოგრაფიულ, მთლიან ფორმას, ავსებენ მის დეფექტებს, რითაც მიიღწევა ფიზიკურ და ჰოლოგრაფიულ ფორმებს შორის შესაბამისობის აღდგენა. შედეგად, ორგანიზმი უფრო სწრაფად იბრუნებს ერთიან კონტროლს, ესე იგი აჩერებს ქსოვილების პათოლოგიურ გარდაქმნას და იწყებს აღდგენას.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ქართული ენის საოცარი სიბრძნე. სიტყვა „ჯანმრთელობა“ შედგება ორი ნაწილისაგან – „ჯანი“ და „მრთელი“ (მთელი). ესე იგი, ქართველი კაცის აზროვნება პრეისტორიულ ხანაში მისულია იმ აზრამდე, რომ ადამიანის სიჯანსაღე მთელი მისი ორგანიზმის, როგორც მთლიანობის, სიმრთელესთანაა დაკავშირებული და სრულიად უნდა მოიცავდეს სხეულს. და ეს მიხვედრა აისახა ენის ქმნადობისას მის ლექსიკონში.

## ჰომეოპათიის პრაქტიკული შესაძლებლობები

ყოველმა ექიმმა უნდა გაიზიაროს ჰერინგის კრედო: „არაფერი არ მივიღოთ ისე, თუ არ გავსინჯავთ და არაფერი არ უარვყოთ გასინჯვის გარეშე“.

ჰომეოპათია პრაქტიკისაგან დამოუკიდებლად არ არსებობს. სამკურნალო პრაქტიკაში ვლინდება მთელი მისი ძალა, სიზუსტე და სილამაზე. სტატისტიკით შეიძლება ყველაფერს შემატო უფრო მეტი სიმშვენიერე და დამაჯერებლობა. წარმოიდგინეთ, როდესაც რენტგენოლოგი უყურებს პილორისტენოზით დაავადებული ბავშვის უკვე ნორმალურ სურათს, რომელიც ჰომეოპათიური მკურნალობის შემდეგაა მიღებული, ადარებს ძველს და ამბობს, რომ მედიცინაში მსგავსი არ არსებობს — ამის უარყოფა ძნელია.

როდესაც პირველად გავეცანი ჰომეოპათიის დებულებებს მეც დამეუფლა აზრი, რომ ეს შეცდომაა, ვიფიქრე, მცირე დოზის წამლებს კიდეც რომ რაღაც ზემოქმედების ძალა ჰქონდეთ, მათი პრაქტიკული გამოყენება ბევრად შეზღუდული იქნებოდა და ა.შ. გავიდა წლები, დავამთავრე თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი და ვმუშაობდი რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ხალხური მედიცინის კაბინეტის გამგედ. მე და ჩემს კოლეგებს გაგვაჩნდა გარკვეული პრაქტიკა ინდივიდუალური ფიტოთერაპიის და ჩინური მედიცინის დარგში, როცა კვლავ მომიწია შეხვედრამ ჰომეოპათიასთან. უკვე დავინტერესდი და გავიარე სათანადო კურსები მოსკოვში რუსეთი — გერმანიის ე.წ. „ინტერმედის“ ბაზაზე. რამოდენიმე თვეში შევუდექი ჰომეოპათიურ პრაქტიკას. მოგითხრობთ პირველი მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევის შესახებ.

## ანაციდური გასტრიტი

1989 წლიდან ფიტოთერაპიით ვმკურნალობდი კაბინეტის მედდის დეიდას, რომელსაც 6 წლის განმავლობაში აწუხებდა ანაციდური გასტრიტი, მძიმე ფორმის რკინადეფიციტური ანემია, ნეიროცირკულატორული დისტონია. ავადმყოფი უჩიოდა ძლიერ სისუსტეს, თავბრუსხვევებს, მუცლის შებერვებს, ყაბზობას, ნევრალგიურ ტკივილებს. ფიტოთერაპია კლინიკურად შედეგიანი იყო, მხოლოდ კუჭის წვენის მჟავიანობა სტიმულაციის შემდეგ კვლავ ნულოვანი რჩებოდა და წამლის გათავებისას ავადმყოფის მდგომარეობა მალევე უარესდებოდა. გადავწყვიტე მკურნალობა ჰომეოპათიური პრეპარატებით გამეგრძელებინა. 1990 წლის აგვისტოში ინდივიდუალური ჩივილების გათვალისწინებით ავადმყოფს დავენიშნა *Ferrum metalicum C 30.* ორ კვირაში მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა, ერთ თვეში მკვეთრად გაიფართოვა კვების რაციონი, სტაბილურად მოეხსნა სისუსტე, დაბალი წნევა, ანემია. კუჭის მჟავიანობამ მნიშვნელოვნად აიწია.

მაშასადამე, ჰომეოპათიამ აჯობა ფიტოთერაპიას და მიოთუმეტეს ჩანაცვლებით მკურნალობას. თუ მანამდე ავადმყოფი 6 წლის განმავლობაში კილოგრამობით რკინის პრეპარატებს, აციდინპეპსინს, ფესტალს და სხვა წამლებს სვამდა, ვიტამინებს იკეთებდა და მდგომარეობა თანდათან სულ უფრო მძიმდებოდა, 3–5 გრამი ჰომეოპათიური რკინის მიღების შემდგომ, ორი–სამი წლის განმავლობაში, პირველი თვიდანვე ყოველმხრივ ჯანმრთელად გრძნობდა თავს.

ეს შემთხვევა აღსანიშნავია იმითაც, რომ ავადმყოფს ჰქონდა იდიოსინკრაზია ინტრავენურ რკინის პრეპარატებზე. ეს ჩემთვის მხოლოდ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ჰომეოპათიურმა რკინამ შედეგი გამოიღო. ღრმად დამაფიქრა კენტის სიტყვებმა: „იდიოსინკრაზია რომ არ ყოფილიყო, ჰომეოპათია არ იარსებებდათ". შემდგომში არაერთი შემთხვევა გვქონია ანაციდური

გასტრიტის ჰომეოპათიური საშუალებებით განკურნების და სურათის რადიკალურად შეცვლისა, რამაც წარმოდგენა შეგვიცვალა ამ დაავადების მიმართ.

## პეპტიური წყლული

კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებით ასობით ავადმყოფი გვყავს ნამკურნალები ფიტოთერაპიითა და ჰომეოპათიით. ამ უკანასკნელით მკურნალობამ ბევრად უფრო სტაბილური შედეგები მოგვცა. ინკურნება არა მარტო პეპტიური წყლული, არამედ ყველა მასთან დაკავშირებული დაავადება (ნევროზები, ქოლეცისტიტები, კოლიტები და სხვა) და ხშირად მისი გართულებებიც.

1993 წელს მოგვმართა 57 წლის ქალბატონმა, რომელიც უჩიოდა თითქმის ყოველდღიურ გულის რევას და ეპიგასტრიუმის არეში ტკივილებს. კლინიკური გამოკვლევებით დადგენილი იქნა თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, II ხარისხის პილოროსტენოზი, გარდა ამისა, ავადმყოფი იყო ძალზედ მცივანა, მშიშარა (უარს ამბობდა ოპერაციაზე, ვერ იტანდა სინათლეს, ხმაურს), მორცხვი. პაციენტს იოლად უჩირქდებოდა და დიდხანს არ უხორცდებოდა პატარა ჭრილობები. კუჭის ტკივილი უწყნარდებოდა ჭამის შემდეგ, მაგრამ შემდგომ ეწყებოდა საშინელი შებერვა, სიმძიმე კუჭის არეში. აღნიშნავდა მნიშვნელოვან გაუმჯობესებას ღებინების შემდეგ.

ავადმყოფს დაენიშნა *Silicea C200*, დამატებით გამოყენებული იქნა აგრეთვე *Lycopodium C30, Coloncitis C6, Brjonia C6, Anacardium C30.* ორი კვირის შემდეგ ავადმყოფი აღნიშნავდა ტკივილების მნიშვნელოვან შემცირებას, შეუწყდა ღებინება. ერთი თვის განმავლობაში

მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი გახდა. შემდეგ მას პეპტიური წყლულის გამწვავება, ან პილოროსტენოზის დეკომპენსაციის ნიშნები არ გამეორებია.

ჰომეოპათიაში ბევრია პეპტიური წყლულის სხვადასხვა ფორმის და ამ დაავადების გართულებების სამკურნალო საშუალებები.

განსაკუთრებით ხშირად ვიყენებთ კონსტიტუციონალურ პრეპარატებს, როგორიცაა *Nux vomica*, *Lycopodium*, *Natrium muriaticum*, *Ignatia*, *Anacardium*, *Arnica*, *Argentum nitricum*, *Arsenicum album*, *Phosphor* და სხვები.

## ეპილეფსია

არსებობს დაავადებები, რომელთა სახელის გაგონებაზეც კი ბევრი ადამიანი ცუდად ხდება. ასეთია, მაგალითად სიმსივნე, ეპილეფსია, შიზოფრენია და სხვები. მედიცინაც ხშირად ფარხმალს ყრის მათ წინაშე. ზოგჯერ შესაძლებელია მხოლოდ დროებითი გაუმჯობესების მიღწევა. პაციენტებს ეუფლებათ უსასოობის შეგრძნება, ხედავენ რა მკურნალობის უშედეგობას.

რა თქმა უნდა ეპილეფსიის ჰომეოპათიური მკურნალობა არ არის იოლი ამოცანა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში შესაძლებელია რადიკალური განკურნება, ან ხანგრძლივი რემისიის მიღწევა.

ჰომეოპათს უადვილდება პრეპარატის შერჩევა, თუ გამოკვეთილია ეტიოლოგიური მომენტი. მაგალითად, *Opium* მკურნალობს შიშის შემდგომ გამოვლენილ კრუნჩხვებს. *Arnica* და *Cicuta* — თავის ტრავმის შედეგად შექმნილ ეპილეფსიას, *Bufo* — როდესაც ეპი-მოვლენები გვხვდება სექსუალურ გადახრებთან ერთად.

არის რიგი პრეპარატები, რომელიც გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სექსუალური დაუკმაყოფილებლობის ნიადაგზე ხდება გულყრების დაწყება. *Silicea* ავლენს ეპილეფსიის კავშირს მთვარის კალენდართან.

[illegible] წელს მოგვმართა 12 წლის გოგონას დედამ. 5 წლის ასაკიდან ბავშვს აწუხებდა გულყრები. წლების განმავლობაში ღებულობდა ტეგრეტოლს, მაგრამ მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელი რჩებოდა. ნევროპათოლოგის მიერ დამატებით დაენიშნა დეპაკინი.

ბავშვს დაეწყო თავის ტკივილი და ღებინება. აღნიშნული ჩივილების გამო ეს უკანასკნელი პრეპარატი მკურნალობიდან მოიხსნა. დედამ გადაწყვიტა მიემართა ხალხური მედიცინის კაბინეტისთვის დამატებითი მკურნალობის ჩატარების მიზნით. დანიშნული იქნა *Calcium phosphoricum C30, Barita carbonica C30, Cuprum arsenicosum C 6.*

შემდგომში გამოყენებული იქნა ასევე *Silicea C200.* მდგომარეობა უმჯობესდებოდა. განსაკუთრებით კარგად, მაგრამ დროებით მოქმედებდა *Cuprum arsenicosum.* მკურნალობის დროს გამახვილებული იქნა ყურადღება იმაზე, რომ ბავშვს არ ეხსნება ძლიერი ყაბზობა, (7—6 დღეში ერთხელ კუჭის მოქმედება) და რიგი სხვა ჩივილებისა. ფიტოთერაპიამაც ამ მხრივ შედეგი ვერ გამოიღო. 7—8 თვის შემდეგ გოგონას მოეხსნა ტეგრეტოლი და გამოვლინდა გენერალიზებული გულყრები. კონსულტაციის დროს თავიდან დეტალურად განვიხილეთ ავადმყოფის ჩივილები და დაინიშნა *Opium C30,* რომელმაც შეწყვიტა გულყრები და შემდგომი 5 წლის განმავლობაში აღარ აღინიშნება ჩივილები ნერვული სისტემის მხრივ, მოეხსნა ყაბზობა და სხვა თანმხლები ჩივილები.

*Opium*–ზე მიგვითითა იმ გარემოებამ, რომ 5 წლის ასაკში კრუნჩხვები დაეწყო შიშის ნიადაგზე, რომელიც ბავშვმა განიცადა ავარიის დროს. ამ პრეპარატზე მიგვითითებდა აგრეთვე ძლიერი ატონიური

კოლიტი, დღისით ძილის მოთხოვნილება და სომნამბულიზმი.

## ბრონქიალური ასთმა

1991 წელს, 14 წლის გოგონას დედა იყო მიღებაზე განმეორებითი ვიზიტით. დედამ გვითხრა, რომ ერთი წლის წინ გოგონას ჩაუტარდა ჩვენს მიერ დანიშნული მკურნალობის ორკვირიანი კურსი, რის შედეგადაც მას შეუწყდა ასთმური შეტევა. მთელი წლის განმავლობაში არ დასჭირვებია წამლები და არც ჩვეული ალერგიული რინიტი განმეორებულა. რამდენიმე დღის წინ კი აღენიშნა ხმაურიანი, გაძნელებული სუნთქვა, რის გამოც მომართეს ჩვენს კაბინეტს. გადავშალეთ ისტორია, დანიშნული იყო *Kalium jodatum C6* და *Carbo vegetabelis C30.* პაციენტს ალერგიული რინიტი და ბრონქიალური ასთმა აწუხებდა 3 წლის ასაკიდან.

აუსკულტაციით გამოვლინდა მსტვენავი ხასიათის ხიხინი. მივეცით იქვე, კაბინეტში *Kalium jodatum C30,* ენაზე დასადებად და საწუწნად, 2 ბურთულა. 1 წუთის შემდეგ ხიხინი შემცირდა, ხოლო 5 წუთის შემდეგ კი სრულიად მოიხსნა. განმეორებითი მკურნალობის კურსის ჩატარება არ წარმოადგენდა აუცილებლობას, მიეცა მხოლოდ *Kali jodatum C30,* რათა მიეღო მხოლოდ სუნთქვის გაძნელების დროს, თუკი ეგი განახლდებოდა. მაგრამ ასეთი საჭიროება მეტად აღარ წარმოქმნილა.

მიღწეული შედეგით, რა თქმა უნდა, მეც კმაყოფილი დავრჩი. ფიტოთერაპიის მეშვეობით, ასეთი ავადმყოფების მდგომარეობის სტაბილური გაუმჯობესების მხოლოდ ერთეული შემთხვევები იყო. ანალოგიური შედეგისათვის ჰომეოთერაპიით შემდგომში ხშირად მოგვიღწევია. თან ადგილი არ ჰქონია ავადმყოფობის

პირველად გამწვავებას, რაც ხშირად სდევს ფიტოთერაპიით მკურნალობას.

ყველაზე ძნელად განსაკურნავი არიან ავადმყოფები, რომელთაც სამკურნალოდ პრედნიზოლონი ქონდათ გამოყენებული.

კორტიკოსტეროიდები ამუხრუჭებენ ორგანიზმში ადაპტაციურ პროცესებს. წარმოიდგინეთ შემდეგი, როდესაც ომის დროს არმია იარაღს ყრის. მართალია, მტერზე დანებება ყველაზე მოკლე გზაა მშვიდობის დასამყარებლად, მაგრამ ამის შემდგომ გამარჯვებაზე ფიქრი ძნელდება. სუპრესიული თერაპია და ჰომეოპათია ; თითქმის შეუთავსებელი, ერთმანეთის გამომრიცხავი მეთოდებია. ჰომეოპათია ცდილობს მიაღწიოს ავადმყოფის რადიკალურ განკურნებას მისივე ორგანიზმის რეზერვების ხარჯვით, სუპრესიული მკურნალობისას კი ითრგუნება ორგანიზმის დაცვითი რეაქციები, რაც დროებით აჩქარებს ავადმყოფობის გამოვლენას. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში მედიცინა ეცდება ავადმყოფის მკურნალობას უპირველეს ყოვლისა ადაპტაციური მეთოდებით. მომდევნო რიგში იქნება მაკომპენსირებელი ანუ მასტიმულირებელი წამლები (შარდმდენები, ნაღვლმდენები და ა.შ.), შემდეგ ჩანაცვლებითი მოქმედების წამლები (რკინა, კუჭის წვენი, ფერმენტები და სხვა).

სუპრესიული მკუნალობის მეთოდები და საშუალებები მხოლოდ ურგენტულ თერაპიაში თუა დასაშვები (როდესაც სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება და ავადმყოფის გადასარჩენად სხვა გამოსავალი არ არსებობს).

## ვირუსული ჰეპატიტი

მწვავე ვირუსული ჰეპატიტის რამოდენიმე ფორმა არსებობს. მათი დიაგნოზირება ჩვენს კლინიკაში ვერ

ხდება სრულყოფილად, სპეციფიური მკურნალობა კი პრაქტიკულად არ არსებობს. პირიქით, ზოგიერთი პრეპარატი, რომელიც ამ დაავადების დროს რიგ შემთხვევაში ინიშნება, კარგა ხანია სხვა ქვეყნებში აღარ გამოიყენება გვერდითი მოვლენების გამო. მაგალითად, მწვავე ვირუსული ჰეპატიტის დროს არ შეიძლება მეტად ან ნაკლებად ძლიერი ნაღვლმდენი წამლების გამოყენება (მათ შორის მცენარეული ნაყენის სახითაც). არ შეიძლება ესენციალეს დანიშვნაც სანამ არ გაივლის მწვავე ფაზა და არც შემდეგ, თუ კი არის სანაღვლე გზების და ნაღვლის ბუშტის ანთება, ლითიაზი ან სპაზმები.

1995 წლის 12 მარტს კონსულტაციის მიზნით კოლეგამ მიმიწვია თავის ნათესავ ბავშვთან ინფექციურ საავადმყოფოში. 7 წლის ბიჭს 40 დღის განმავლობაში ჰქონდა მძიმე ფორმის სიყვითლე.

ინფექციურ საავადმყოფოში მდგომარეობის გაუმჯობესების გარეშე თვეზე მეტი ხნის განმავლობაში იწვა. ამბულატორიულ რუქაში წინათაც აღნიშნული იყო ღვიძლის გადიდება. კლინიკაში დაისვა დიაგნოზი: *B* ჰეპატიტი დელტა — ინფექცია, ქრონიკული ჰეპატიტი. ინდივიდუალური სიმპტომების გათვალისწინებით დაენიშნა *Berberis D3, Apris C6, Mercurius dulcec 6, Lycopedium C30.* პირველი წამალი საერთოდ გამოცდილია ამ დაავადების დროს და ხშირად იხმარება, მეორე — ამცირებს შეშუპებას, მესამე — იწვევს ჩირქის დრენირებას სანაღვლე გზებიდან, და ბოლოს *Lycopodium*-ი ამ შემთხვევაში იყო კონსტიტუციონალური პრეპარატი, შეესაბამებოდა აღრინდელ ქრონიკულ პროცესს. ავადმყოფის მდგომარეობა 2—3 დღეში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, გამოსწორდა ექოსკოპიური და ლაბორატორიული მონაცემები. დაავადების გადატანიდან სამი თვის განმავლობაში მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი რჩებოდა. შემდეგ დროებით აღენიშნა ღვიძლის გადიდება და

ღვიძლის ფუნქციების დარღვევა, რაც ჩატარებული მკურნალობის შედეგად (*Lycopodium, cardus marianus*) მალევე მოწესრიგდა.

არაერთხელ გვქონია შემთხვევა, რომ თუ მკურნალობა იწყება ვირუსული ჰეპატიტის გამოვლენის პირველსავე დღეებში, ჰეპატიტის ნიშნები იხსნება 1—2 დღეში. მაგალითად, თანამშრომლის ქალიშვილს ვმკურნალობდი ამ დაავადების გამო. დედამ უმცროს ქალიშვილსაც რომ შეამჩნია შარდის გამუქება მაშინვე დაუწყო იმ წამლების მიცემა, რასაც მის დას აძლევდა. შარდის გამუქებამ ნახევარ დღეში გაიარა და შემდგომში ჰეპატიტის ნიშნები არ განვითარებულა.

## ნაღვლ–კენჭოვანი დაავადება

თირკმელკენჭოვანი დაავადების დროს შემთხვევათა უმრავლესობაში მიიღწევა კარგი სამკურნალო შედეგები, ნაღველ–კენჭოვანი დაავადების მკურნალობა კი უფრო პრობლემურია.

ჩვენთან მკურნალობდა დაახლოებით ორასი ავადმყოფი. უმრავლესს შემთხვევაში ნაღვლის კენჭების დაშლა არ ხდება. თუმცა აღსანიშნავია, რომ იხსნება ტკივილი, ინკურნება ღვიძლის ანთება, უმჯობესდება საჭმლის მონელების პროცესები. რიგ შემთხვევებში კი ექოსკოპიურად დაფიქსირდა კენჭების გაქრობაც.

ყველაზე საინტერესოდ წარიმართა ერთი ქალბატონის მკურნალობა, რომელსაც ნაღველ–კენჭოვანი დაავადების 25 წლიანი „სტაჟი“ ჰქონდა. მომართვისას მას აწუხებდა ტკივილი, ღებინება და ძლიერი სისუსტე, ოფლიანობა. მწვავე მოვლენები მოიხსნა თანდათანობით *Tarturas emeticus C6* და *Colocintis C3* გამოყენებით, შემდეგ მკურნალობა გაგრძელდა *Mercurius dulces C6*–ით დაროდესაც თვეების განმავლობაში

მდგომარეობა სტაბილური იყო თანმიმდევრობით დავნიშნეთ *China C30, Chelidonium C200, Taraxacum D3* და სხვა კენჭების დამშლელი წამლები. რვა თვის შემდეგ ექოსკოპიურად აღინიშნა ნაღვლის კონკრემენტების მნიშვნელოვანი შემცირება (თუ ადრე მრავლობითი კონკრემენტები ავსებდნენ ნაღვლის ბუშტის 2/3 ნაწილზე, იმ დროისთვის აღინიშნებოდა ნახევარზე).

1 წლის შემდგომ კონკრემენტები იკავებდნენ ნაღვლის ბუშტის 1/3-ს. კიდევ 1,5 წლის გავლის შემდგომ ექოსკოპიურად აღინიშნებოდა მხოლოდ ერთეული კონკრემენტები. 2 თვის შემდგომ კი ნაღვლის ბუშტში კონკრემენტები აღარ იყო. ეს ქალბატონი ნაღვლკენჭოვანი დაავადებით იყო ავად 25 წლის განმავლობაში. ამ ხნის მანძილზე გამოსცადა მკურნალობის ყველა მეთოდი, მათ შორის 5 წლის განმავლობაში მკურნალობდა ფიტოთერაპევტთან, თუმცა უშედეგოდ.

განვიხილოთ მეორე შემთხვევა. კოლეგა ლაზერით მკურნალობდა კაცს, რომელსაც აღენიშნებოდა ღვიძლის გადიდება. მთხოვა დამატებით დამენიშნა რაიმე.

დავნიშნე *Berberis D3, Merkurius dulces C6.* ორი დღის შემდგომ ღვიძლის ზომები შემცირდა. ავადმყოფი გაგზავნილი იქნა ექოსკოპიური კვლევისათვის. გამოჩნდა ნაღვლის ბუშტის მრავლობითი კონკრემენტები, რომლებიც ადრე ექოსკოპიურად ჰეპატომეგალიის გამო არ მოჩანდა.

ანალოგიურ შემთხვევას შევხვდი ამ ცოტა ხნის წინათ. მომაკითხა პაციენტმა, რომელსაც აღენიშნებოდა სიყვითლე და შეტევითი ხასიათის ტკივილი ეპიგასტრიუმის არეში.

გასინჯვის შემდეგ ეჭვი მივიტანეთ მექანიკურ სიყვითლეზე და ნაღვლის კოლიკაზე. *Colocintis C6* ერთმა დოზამ 2 წუთში მოხსნა ტკივილი. ამ წამლის ფონზე დავნიშნე *Lycopodium 30* და *Mercurius dulces C30.*

ორ დღეში სიყვითლემ მნიშვნელოვნად იკლო. განავლისა და შარდის ფერი მოწესრიგდა. თუმცა ექოსკოპიურად ნაღველკენჭოვანი დაავადება არ დადგინდა, ეს დიაგნოზი კლინიკურად ეჭვს არ იწვევს.

შემთხვევა III. ექსკოპიური კაბინეტიდან გამოგზავნილ იქნა ქალბატონი, რომელსაც აღმოაჩნდა 3მმ-ის კენჭი ნაღვლის სადინარში. აგრეთვე მარჯვენა თირკმელში 10-12მმ ზომის კონკრემენტი. ამასთანავე აწუხებდა ჰიპერტონული დაავადება, ორჯერ ჰქონდა გადატანილი ჰემორაგიული ინსულტი და ხშირად უვითარდებოდა პრეინსულტური მდგომარეობები. ინდივიდუალური სიმპტომატიკა და ინსულტი სურათი იყო *Lachesis*-ის ტიპის.

ვინაიდან ჩვენი გამოცდილებით *Lachesis*-ის სიმპტომოკომპლექსის უკან ხშირად იმალება *Arnica* და *Lycopodium*-ის სიმპტომოკომპლექსები, დაენიშნა ეს სამივე წამალი *C30* პოტენციით. გულისა და წნევის მდგომარეობა მალე მოწესრიგდა.

2 კვირაში ნაღვლის საერთო სადინარში კონკრემენტი ექსკოპიურად აღარ აღინიშნებოდა, ერთ თვეში დაიშალა თირკმლის კენჭებიც.

პაციენტის შვილიშვილს აწუხებდა ეპილეფსია. შეტევის წინ ბავშვი აღნიშნავდა მუცლის წვას. მუცლის წვის დროს ბებია ღებულობდა *Lycopodium*-ს, რომელიც მას ძალიან შველოდა და ამიტომ მან გადაწყვიტა იგივე წამალი შვილიშვილისთვისაც მიეცა. *Lycopodium*-მა მოხსნა არა მარტო მუცლის წვა, არამედ შეაჩერა ეპიშეტევების განვითარებაც. შემდგომში ბავშვის მკურნალობა უკვე წარიმართა ჩვენი მეთვალყურეობის ქვეშ.

ჩვენ ჩავატარეთ შედარებითი ანალიზი ჩანაცვლებით, მაკომპენსირებელი (მასტიმულირებელი), სუპრესიული (დამთრგუნავ) და მარეგულირებელი (ადაპტაციურ) მკურნალობის მეთოდებს შორის, რათა გამოგვევლინებინა განსხვავება:

1. მკურნალობის ამ მეთოდების დროს გამოყენებული წამლის დოზებში;
2. გვერდითი მოვლენების და გართულებების განვითარების შესაძლებლობებში;

3. რადიკალური ან სტაბილური შედეგის მიღწევის შესაძლებლობებში;
4. მკურნალობისას ინდივიდუალური მიდგომის აუცილებლობაში;
5. მკურნალობის პრინციპებში.

მკურნალობის ოთხი ეს ფორმა გამოყო კოლერმა თავის წიგნში (*Келер "Гомеопатия" м. 1989 г*). კლინიკური მასალის გაანალიზებით გამოვავლინეთ მკურნალობის მეთოდებს შორის არსებული დამოკიდებულება და გრადაცია.

ადაპტაციური თერაპია იყენებს უმცირეს, ზოგჯერ კი არამატერიალურ დოზებს. ადაპტაციურ თერაპიასთან შედარებით მეტი დოზა სამკურნალო ნივთიერებისა გამოიყენება მაკომპენსირებელი მეთოდით მკურნალობისას, კიდევ უფრო მეტი — ჩანაცვლებითი მეთოდით მკურნალობისას და მაქსიმალური — სუპრესიული მეთოდის გამოყენებისას.

მაგალითად, როდესაც პრედნიზოლონი გამოიყენება ორგანიზმში კორტიკოსტეროიდების უკმარისობისას (ჩანაცვლებითი თერაპია), მისი უფრო მცირე დოზაა საჭირო, ვიდრე ალერგიული ან აუტოიმუნური პროცესების სამკურნალოდ (სუპრესიული თერაპია).

ქალური ჰორმონები თუ გამოიყენება ქალის სასქესო ორგანოების ფუნქციის სტიმულაციის მიზნით, წამლის უფრო მცირე დოზაა საჭირო, აგრეთვე მკურნალობის კურსიც ხანმოკლეა, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზმში მათი უკმარისობაა და გამოიყენება ჩანაცვლებითი მკურნალობის მეთოდი. რაც შეეხება მკურნალობის გვერდით მოვლენებს და გართულებებს, იგი მინიმალური აქვს ადაპტაციური მკურნალობის მეთოდებს და მაქსიმალური — სუპრესიულს.

სტაბილური სამკურნალო შედეგი ადაპტაციური თერაპიის გამოყენებით უფრო მიიღწევა, ვიდრე სხვა მეთოდებით. მას მოსდევს მაკომპენსირებელი თერაპია. ჩანაცვლებითი და სუპრესიული თერაპია კი უფრო დროებით, პალიატიურ შედეგს იძლევა. ამ უკანასკნელი მეთოდების გამოყენებისას ხშირია წამლისმიერი დამოკიდებულების განვითარება. ამ მოვლენის არსი მდგომარეობს შემდეგში — მკურნალობის შეწყვეტისას ავადმყოფის მდგომარეობა სწრაფადვე უარესდება. ადაპტაციური თერაპიის დროს კი მკურნალობის დასაწყისშია მოსალოდნელი დაავადების პირველადი გამწვავება, წამლის მიღების შეწყვეტისას კი უმეტესად ვლინდება ძირითადი სამკურნალო შედეგი.

ადაპტაციური თერაპიის გამოყენებისას საჭიროა ინდივიდუალური მიდგომა, სუპრესიული თერაპია კი მაქსიმალურად შაბლონურია.

სუპრესიული თერაპია შეესაბამისება „საწინააღმდეგოთი“ მკურნალობის პრინციპს, ჩანაცვლებითი და მაკომპენსირებელი — ძირითადად „იგივეთი“ მკურნალობას („იზოთერაპია“). აქ შეიძლება გარკვეული პარალელის გავლება ვაქცინაციასთან, რომლისაც ხდება იმუნიტეტის სტიმულაცია.

ადაპტაციური თერაპია, როგორც ცნობილია, „მსგავსით“ მკურნალობის პრინციპს ემყარება.

ნათლად მოჩანს, რომ უპირატესობა ადაპტაციურ თერაპიას უნდა ეძლეოდეს. როდესაც ადაპტაციური თერაპიის გამოყენებით ავადმყოფის განკურნება ვერ ხერხდება, შეიძლება მაკომპენსირებელი თერაპიის გამოყენება. თუ ორივე ეს მეთოდი კონკრეტული პაციენტისთვის უეფექტოა, ვიყენებთ ჩანაცვლებით ან სუპრესიულ თერაპიას (ძირითადად ურგენტულ თერაპიაში).




1. ადაპტაციური თერაპია.
2. მაკომპენსირებელი თერაპია.
3. ჩანაცვლებითი თერაპია.
4. სუპრესიული თერაპია.

ნახ.3

ჩვენი აზრით ამბულატორიული მკურნალობისას წამყვანი უნდა იყოს ადაპტაციური და მაკომპენსირებელი მკურნალობა.

დღეს პოლიკლინიკაში მედიცინა იყენებს იმ მეთოდებს და საშუალებებს, რაც სტაციონარშია გამოცდილი და მოწოდებული. ეს პრინციპი უკმაყოფილებას იწვევს როგორც მოსახლეობაში, ისე ექიმებში.

პოლიკლინიკურ დონეზე მედიცინაში ბევრად უფრო ფართო და ძნელი ამოცანები დგას და არსებული ვაკუუმის შევსება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ მეცნიერული კვლევის ეპიცენტრი გადმოინაცვლებს პოლიკლინიკაში.

# როგორ შევისწავლოთ ჰომეოპათია?

მომავალში, როდესაც ჰომეოპათია ოფიციალურად იქნება დაკანონებული საქართველოში, და ეს მხოლოდ დროის ამბავია, გზა გაეხსნება სამკურნალო პრაქტიკაში მის ფართოდ დანერგვას, ის შევა ბევრი უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლის პროგრამაში, გაიხსნება სპეციალიზირებული კლინიკა-კაბინეტები, სადაც რეზიდენტურას და პრაქტიკას გაივლიან სტუდენტები და ექიმები. ტრადიციული მედიცინის საქართველოს ლიგა აქტიურად შეუწყობს ხელს ამ პროცესის რეალიზაციას.

ჰომეოპათიის შესწავლის უმთავრესი გზაა ლიტერატურის გაცნობა. რემის „ჰომეოპათიური ანბანი" ითარგმნა ქართულ ენაზე ტრადიციული მედიცინის ლიგის დავალებით, ვინაიდან ის უაღრესად სასარგებლო იქნება დამწყები ჰომეოპათებისთვის. უპირველეს ყოვლისა საჭიროა გავეცნოთ აგრეთვე კილერის ავტორობით გამოცემულ ჰომეოპათიის სახელმძღვანელოს.

არსებობს ძირითადად სამი ჯგუფის ჰომეოპათიური ლიტერატურა: პირველი — ზოგადი თეორიული საკითხები, მეორე — *Materia Medica*-ს, ანუ ჰომეოპათიურ ფარმაკოლოგიას შეეხება, მესამე კი — რეპერტორიუმები, ანუ კერძო ნაწილის ცნობარებია.

1995 წელს ნოვოსიბირსკში რუსულად ითარგმნა და გამოიცა უდიდესი ამერიკელი ჰომეოპათის ჯონ ტეილორ კენტის „ჰომეოპათიურ საშუალებათა რეპერტორიუმი". რეპერტორიუმის მიხედვით მკურნალობის შერჩევა — ურთულესი საქმეა და მას დიდი გამოცდილება სჭირდება. ხშირად დამწყები ჰომეოპათები თავიანთ პრაქტიკას იწყებენ რეპერტორიუმების გამოყენებით, რითაც მხოლოდ აფერხებენ პროფესიულ სრულყოფას, ვინაიდან

რეპერტორიუმის სწორედ გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ *Materia Medica*-ს ღრმა ცოდნით და მრავალწლიანი ჰომეოპათიური პრაქტიკის არსებობის შემთხვევაში.

ყველაფერი უნდა დავიწყოთ ანბანიდან. სამკურნალო პრაქტიკა შეგვიძლია დავიწყოთ წამლების წამყვანი სიმპტომების შერჩევის მიხედვით. ამ ეტაპზე სასარგებლოა ისეთი ლიტერატურა, როგორიცაა ნეშის „ჰომეოპათიური წამლების წამყვანი სიმპტომები", გრანჟორჟის „ჰომეოპათიური წამლების სული", ფარინგტონის „ჰომეოპათიური კლინიკური ფარმაკოლოგია", შარეტის, ვაკილოვას, პოპოვას წიგნები და სხვა ლიტერატურა. თანდათანობით უნდა გავაფართოოთ წარმოდგენა ყოველ ჰომეოპათიურ პრეპარატზე. საჭიროა შევისწავლოთ წამლის ორგანოტროპული მოქმედება, პერსონოტროპული მოქმედება, უცნაური, იშვიათი და წამყვანი სიმპტომები. შეიძლება ვერ დავიმახსოვროთ ყველა ინდივიდუალური სიმპტომი, მათიმეხსიერებაში აღდგენა ყოველთვის შეიძლება *Materia Medica*-ს ცნობარების მიხედვით, მაგრამ უმთავრესზე, მთლიანობაზე და მოქმედების სფეროზე წარმოდგენა უნდა გვქონდეს.

როგორ ფართოვდება ცოდნა ჰომეოპათიური პრეპარატების შესახებ? დავახასიათოთ მოკლედ რამოდენიმე წამალი და მივიღებთ აჩქვარ სიტყვიერ პორტრეტებს:

*Natrium muriaticum* — ღრმა ინტრავერტი, სევდით შეპყრობილი, უყვარს განმარტოება და ტირილი. ვერ იტანს, რომ ამშვიდებენ, წარსულის გახსენებისას გული უჩუყდება.

*Ignatia* — გოგონა, რომელიც გაუზიარებელი სიყვარულის გამო იტანჯება, ტირის, წყნარი სევდითაა აღვსილი.

*Pulsatilla* — ტირის ყველაფერზე, თავისი ჩივილების გადმოცემის დროსაც; ესაა ქალი, რომელიც მუდმივად დაწყნარებას მოითხოვს.

*Sepia* — დეპრესიული, მტირალა ქალი კლიმაქტერულ ასაკში, გულგრილი ქმრისა და საკუთარი შვილების მიმართ.

*Chamomilla* — ეგზალტირებული, აგრესიული ქალი, რომელიც ვერ იტანს უმნიშვნელო ტკივილსაც კი.

*Staphysagria* — ადამიანი, რომელიც, თუ ვინმეს რაიმე აწყენინა, ვერ მოისვენებს, სანამ ბოდიშს არ მოიხდის.

*Argentum nitricum* — ეშინია ყველაფრის: დაგვიანების, გამოცდის, სიმაღლის, ხიდის ქვეშ გავლის, მაღალი შენობების და ა.შ.

ასეთი სიტყვიერი პორტრეტები იოლად დასამახსოვრებელი კი არის, მაგრამ მათი პრაქტიკაში გამოყენებისათვის ეს ინფორმაცია საკმარისი არ გახლავთ, საჭიროა თითოეულ პრეპარატზე უფრო ფართო წარმოდგენა. მაგალითად:

*Natrium muriaticum* — გამხდარი, განსაკუთრებით კისრის არეში, ხშირად ძალზე ელეგანტური პიროვნებაა. თუ თანაუგრძნობენ, ან აწყენინებენ, შეიძლება ატირდეს, ან გაბრაზდეს, ან გაიქცეს და ჩაიკეტოს თავის ოთახში. ცდილობს არ იტიროს სხვათა წინაშე. ძალზედ მორცხვია. მაგალითად, მამაკაცებს უჭირთ საზოგადოებრივ საპირფარეშოში შარდვის დაწყება, ან თუ ვინმე, თუნდაც ახლობელი იმყოფება ახლოს.

მზეზე სტკივდებათ თავი. ზღვა ან არ უყვართ, ან პირიქით ძალზედ უყვართ; საერთო მდგომარეობა ხშირად ზღვაზე ყოფნისას მწვავდება. ეტანებიან მარილიან საჭმელებს. უსკდებათ ტუჩები. ბავშვობიდან აქვთ მიდრეკილება შეკრულობისაკენ. ეს წამალი ამგვარ პიროვნებებში კარგად მკურნალობს მარტოობის და ქურდების მიმართ შიშს, უხასიათობას და საერთოდ, ნევროზს, ტოქსიკურ ჩიყვს, თმების ცვენას, ანაციდურ და ჰიპოაციდურ გასტრიტს, ატონიურ კოლიტს, ჭინჭრის ციებას, ალერგიულ რინიტს, ბრონქიალურ ასთმას და რიგ სხვა დაავადებებს. ამასთან აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ დაავადებების მიმართ აქვს *Natrium muriaticum* –ის ტიპს მიდრეკილება.

ყოველი პრეპარატის ირგვლივ ჰომეოპათიაში უამრავი ინფორმაცია არსებობს, რომელთა ათვისება მხოლოდ მრავალწლიანი მუშაობის შედეგადაა შესაძლებელი. თანდათან ყოველ პრეპარატზე უნდა შეიქმნას ერთიანი ხატისებრი წარმოდგენა.

ზოგს მოსწონს სისტემატიზებული პათოგენეზები, როდესაც კლინიკა ცალკეა – ტიპი ცალკე. ინდივიდუალური სიმპტომები კი ორგანოების მიხედვითაა დალაგებული. მაგრამ ხშირად ლიტერატურაში პათოგენეზები აგებულია წამყვან იდეებზე. ინფორმაცია ჰომეოპათიური პრეპარატების ირგვლივ არაა მათემატიკური სისტემა. ვისაც სისტემატიზირების მოთხოვნილება გააჩნია, შეუძლია შეისწავლოს წამლები არა ანბანის, არამედ ჯგუფების მიხედვით. მინერალები — მენდელეევის პერიოდული სისტემის მიხედვით. ცხოველური პრეპარატებიც – ასევე თავისი კლასებისა და ჯგუფების მიხედვით თქვენ დაინახავთ თუ რა აქვთ საერთო მონათესავე წამლებს და რა განსხვავებული.

მაგალითად, ნატრიუმის ნაერთებს შორის საერთოა მზეზე მგრძნობელობა, ემოციურობა, მიდრეკილება მარილიანი საკვების მიმართ და რიგი სხვა. ტიპები კი ხშირად პოლარულად განსხვავდებიან. თუ *Natrium muriaticum* გამხდარია, აქვს კუჭის შეკრულობა, *Natrium carbonicum* — პირიქით, ჩაპუტკუნებულია, მრგვალი სახით, მას ისევე როგორც *Natrium sulfuricum*-ს კუჭის აშლისკენ აქვს მიდრეკილება, რაც ამ პრეპარატს მკვეთრად აქვს გამოხატული. თუ *Natrium muriaticum* —ტუბერკულინური კონსტიტუციისაა, *Natrium carbonicum* — ტიპიური „ფსორაა", *Natrium sulfuricum*-ი კი — „სიკოზი".

ხშირად გვეხმარება წამლების გამოყენებაში მათი მოქმედების მექანიზმებზე წარმოდგენა. მაგალითად, როგორ ახდენს *Natrium muriaticum*-ი, ჩვეულებრივი სუფრის მარილი სამკურნალო ეფექტს, მაშინ როდესაც ის ყოველდღიურ ჩვენს რაციონში შედის? მაღალპოტენცირებული *Natrium muriaticum* მოქმედებს ორგანოებზე როგორც არა ქიმიური საწყისი, არამედ ინფორმაციულად. მას შეუძლია ნატრიუმისა და ქლორის დარღვეული ცვლის დარეგულირება, მოწესრიგება.

როდესაც ადამიანი წლების განმავლობაში ჭარბად ღებულობს სუფრის მარილს, ხდება ორგანიზმის გამოშრობა. რასთანაც დაკავშირებულია სიგამხდრე, შეკრულობა, ტუჩების დასკდომა. ვინაიდან მზე კიდევ უფრო აშრობს, ხდება მდგომარეობის გაუარესება.

მრავალი ავტორი იძლევა ჰომეოპათიური პრეპარატების კლინიკურ დახასიათებას (შტროხი, ვარშავსკი, ონანოვი, ვავილოვა და სხვები). კლინიკური ჩვენებები არასოდეს არაა საკმარისი ჰომეოპათიური წამლების დასანიშნად, აუცილებლად უნდა მოხდეს

ინდივიდუალური, ზოგადი და ადგილობრივი სიმპტომების გათვალისწინება.

დამწყებ ჰომეოპათათვის უფრო სასარგებლოა მარტივი რეპერტორიუმებით (ბიორიკე, ჰერგარტი) სარგებლობა. კენტის რეპერტორიუმი ყველაზე სრულყოფილი სიმპტომოლოგიური ცნობარია. მასთან გაცნობა უნდა დავიწყოთ ზოგადი ნაწილით, რომელსაც უმთავრესი როლი ენიჭება ქრონიკული ავადმყოფების მკურნალობისას.

# დ ა ნ ა რ თ ი

## ძირითადი კითხვები ჰომეოპათიური საყრდენი ანამნეზისათვის

პაის და გრანჟორჟის სტატიიდან
„ძირითადი კითხვები, რომელთაც ექიმ-
ჰომეოპათი აძლევს ქრონიკულად დაავადებულ
ავადმყოფს", პარიზი, 1983 წელი.

0.01 – ექიმთან თქვენი მიმართვის მიზეზი?
0.02 – რა დროიდან გრძნობთ თავს ცუდად?
0.03 – რა ვითარებაში და რა მიზეზით დაეწყოთ ავადმყოფობა (ან სისუსტე, ტკივილები, პრობლემები და ა.შ.)? რასთან დაკავშირებით?
0.04 – რა მკურნალობა ჩაიტარეთ და მისი შედეგები?

## 1.00 – საერთო მონაცემები

1.01 – რომელ საათებში გრძნობდით თავს განსაკუთრებით ცუდად?
1.02 – წელიწადის რომელ დროს, რომელ სეზონს გრძნობთ თავს უარესად?
1.03 – როგორ იტანთ ამინდის ცვლილებას?
1.04 – როგორ გავლენას ახდენს თქვენზე ძლიერი სიცივე, სიცხე, მაღალი ტენიანობა, გვალვა და ა.შ.?
1.05 – როგორ გრძნობთ თავს მზეზე? თოვლში? ჭექა-ქუხილის დროს, მის წინ და მის შემდეგ?
1.06 – როგორ რეაგირებთ ჩრდილოეთის, სამხრეთის ქარზე ( საერთოდ ქარზე )? როგორ იტანთ ორპირ ქარს?

1.07 – როგორ რეაგირებთ სითბოზე: რადიატორის, ცეცხლის (ბუხარი, ღუმელი და ა.შ.), ოთახის სითბოზე, თბილ ლოგინზე?

1.08 – როგორია თქვენი რეაქცია უკიდურესად განსხვავებულ ტემპერატურაზე? ტემპერატურის უეცარ ცვლილებაზე?

1.09 – რა განსხვავებაა თქვენს ზაფხულის და ზამთრის ტანსაცმელს შორის?

1.10 – როგორ იფარებთ და რას, როცა გძინავთ?

1.11 – არიან ადამიანები, რომლებიც ხშირად ცივდებიან ზამთარში, სხვები გაზაფხულზე, ზოგიერთები კი ცივდებიან სეზონისაგან დამოუკიდებლად. თქვენ?

1.12 – როგორ გრძნობთ თავს დიდ სიმაღლეზე, ზღვის ნაპირზე? როგორ მოქმედებს თქვენზე სიმაღლის სწრაფი შეცვლა ასვლა–ჩასვლისას?

1.13 – გიყვართ თუ არა წყალი, ბანაობა, შხაპი, ზღვის წყალი? რა ტემპერატურისა?

1.14 – რა კლიმატი მიგაჩნიათ თქვენთვის ყველაზე დამღუპველად? სად ირჩევდით შვებულების გატარებას?

1.15 – კეტავთ თუ არა ღამით დარაბებს?

1.16 – რა მდგომარეობაა თქვენთვის ყველაზე მტკივნეული ან ყველაზე სასიამოვნო: ჯდომა, დგომა, წოლა, სიარული და ა.შ.? რატომ?

1.17 – როგორ იტანთ ხანგრძლივ სტატიკურ მდგომარეობას: ფეხზე დგომას (ტანსაცმლის მოზომებისას, რაიმე ცერემონიის დროს), დაჩოქილ ვითარებას (ბაღში მუშაობისას, ეკლესიაში)?

1.18 – რა ფიზიკურ ვარჯიშებს აკეთებთ, ან სპორტის რომელ სახეობას მისდევთ? როგორია თქვენი ამტანობა? როგორ გრძნობთ თავს ამის შემდეგ?

1.19 – როგორ იტანთ ტრანსპორტს? (მანქანა, ავტობუსი, მატარებელი, გემი . . .)

1.20 – როგორ გრძნობთ თავს ჭამისას, მანამდე, შემდეგ?

1.21 – როგორი მადა გაქვთ? რა მოგივათ, თუ დროზე ვერ შეჭამთ, ან გამოტოვებთ საჭმლის მიღებას რომელიმე ჯერზე?
1.22 – ხშირად გწყურიათ? როგორ სითხეებს სვამთ ჩვეულებრისამებრ – ცივს თუ ცხელს? რა რაოდენობით?
1.23 – რა პროდუქტებს ვერ იტანთ? რომელი მათგანი იწვევს თქვენში ავადმყოფურ მდგომარეობას და რატომ? (შაქარი, ტკბილეულობა, ნუგბარი, მლაშე, მჟავე, ცხიმიანი, კვერცხი, ხორცი, შებოლილი პროდუქტები, პური, კარაქი, ახალი და მშრალი ბოსტნეული, კომბოსტო, ნიორი, ხახვი, ხილი, რძე, სუნელები (საკმაზი), ძმარი და ა.შ.). როგორ იტანთ ლუდს, ყავას, ჩაის?
1.24 – რა შეგიძლიათ თქვათ თამბაქოს შესახებ? რა დამოკიდებულება გაქვთ თამბაქოს მიმართ? რამდენ სიგარეტს (სიგარას, ყალიონს) ეწევით დღეში? რას გრძნობთ მოწევის შემდეგ ან იმ შენობაში (ოთახში) ყოფნისას სადაც ეწეოდნენ ან ეწევიან?
1.25 – რომელ მედიკამენტებს ვერ იტანთ? რა რეაქცია შენიშნეთ თქვენში მათი მიღებისას? რა ვაქცინები და შრატები შეუყვანიათ თქვენთვის? როგორ გადაიტანეთ?
1.26 – რა მოხდება, თუ ჭრილობას მიიღებთ? რამდენ ხანს მოგდით ჭრილობიდან სისხლი? როგორ გიხორცდებათ?
1.27 – როგორ ეგუებით მაღალ საყელოს, შარფს, ჰალსტუხს, ქამარს, ვიწრო ტანსაცმელს?
1.28 – რა ვითარებაში დაგიკარგავთ გონება, წაგსვლიათ გული ან განგიცდიათ სხვა სახის სისუსტე? როგორ მოხდა ყოველივე ეს?

## 2.00 სულიერი მდგომარეობა

2.01 – მოგვითხრეთ ყველაზე უფრო ძლიერ გულისტკივილზე თქვენს ცხოვრებაში, ყველაზე მძიმე

განცდებზე. აგრეთვე სიხარულის, კმაყოფილების გრძნობის თაობაზე.

2.02 – დღე–ღამის რა პერიოდში შეიძლება მოგექალოთ სევდა, ნაღველი, პესიმიზმი, დათრგუნულობა და ა.შ.

2.03 – როგორ რეაგირებთ სიძნელეებზე, შეწუხებაზე, ბედის დაცინვასა და მოულოდნელ დარტყმებზე ყოველდღიურ ცხოვრებაში?

2.04 – რა შემთხვევაში ტირით? (სპექტაკლი, წიგნის კითხვა, დატუქსვა, შეურაცხყოფა, მუსიკის მოსმენა). დღის რომელ მონაკვეთში? ზოგი თავს იკავებს, ზოგი – ვერა, თქვენ? როგორ გრძნობთ თავს ტირილის შემდეგ?

2.05 – ხვდებით თუ არა და როგორ, რომ თქვენთვის მძიმე და რთულ პერიოდებში ინტერესდებიან თქვენით, გამშვიდებენ?

2.06 – ჩავარდნილხართ თუ არა სასოწარკვეთილებაში? ან ეჭვში?

2.07 – რა ვითარებაში გქონიათ საშინელების, საფრთხის, შიშის განცდა? ზოგს ეშინია სიბნელის, მარტოობის, ქურდობის, ბრბოსი, ზოგიერთი ცხოველის, სიკვდილის, ავადმყოფობის, გონების დაკარგვის (სულიერი ავადმყოფობა), უბედურების, სიღატაკის, ხმაურის, წყლის, ჭექა–ქუხილის და ა.შ. თქვენ რისი გეშინიათ?

2.08 – თქვენი ცხოვრების უარეს მომენტებში გებადებათ თუ არა ფიქრები სიკვდილზე, შიში, წინათგრძნობები აკვიატებული აზრები, ზიზღი ცხოვრებისადმი და ა.შ. ერთნი ფიქრობენ თვითმკვლელობაზე, მეორენი ლაპარაკობენ ამის თაობაზე, ზოგიერთები აპირებენ მის ჩადენას, არიან ისეთებიც, რომლებსაც გამბედაობა არ ჰყოფნის. თქვენ?

2.09 – როგორ გრძნობთ თავს ხალხით გადაჭედილ შენობაში, ოთახში? რა ადგილს იკავებთ ლექციაზე, კინოში, რელიგიურ ცერემონიაზე?

2.10 – განრისხებისას ფერს კარგავთ თუ წითლდებით? როგორ გრძნობთ თავს რისხვის შემოტევის შემდეგ?
2.11 – როგორ იტანთ ლოდინს (მანქანაში, ფოსტაში, ტელეფონთან, ექიმთან და ა.შ.)?
2.12 – რა რიტმში დადიხართ, ლაპარაკობთ, წერთ, ცურავთ? გახასიათებთ თუ არა ექსტიკულაცია?
2.13 – როგორ იტანთ მარტოობას?
2.14 – როგორ აისახა თქვენს ჯანმრთელობაზე გადატანილი მწუხარება, დატუქსვა, სიყვარულის გაცრუება, წყენანი, დამცირება, აღშფოთება, შიში, ცუდი ამბები და ა.შ.?
2.15 – ერთნი განიცდიან, თუ მათი ნივთები არაა დალაგებული წესრიგის მიხედვით, მეორეთათვის ეს სულერთია, თქვენთვის? როგორია თქვენი დამოკიდებულება ამისადმი?
2.16 – რა იცვლება თქვენს ხასიათში, განწყობაში მენსტრუაციის დროს, მანამდე და შემდეგ?

## 3.00 კუჭი

3.01 – კვების რომელი პროდუქტები არ გიყვართ? რომელი გიყვართ ძალიან?
3.02 – რომელი პროდუქტებია თქვენთვის სახიფათო, რომელი იწვევს თქვენში ავადმყოფურ რეაქციას?

## 4.00 ძილი

4.01 – რა მდგომარეობაში გძინავთ? რა დროიდან? როგორ დებთ თავს, ხელებს, ფეხებს?
4.02 – როგორ გძინავთ? არიან ადამიანები, რომლებიც ძილში ლაპარაკობენ, ყვირიან, მოძრაობენ, იცინიან ან

ტირიან, კბილებს აკრაჭუნებენ, სძინავთ პირღიად და გახელილი თვალებით. თქვენ როგორღა გძინავთ?
4.03 – რა სიზმრებს ან კოშმარებს ხედავთ ყველაზე ხშირად?
4.04 – რა დროს წვებით დასაძინებლად ჩვეულებისამებრ? როდის იძინებთ, როდის იღვიძებთ, როდის დგებით? როდის გაქვთ უძილობა ან ძილიანობა დღის საათებში? რითი ხსნით ამ მდგომარეობას?

## 5.00 მენსტრუაციები

5.01 – როდის დაგეწყოთ მენსტრუაცია?
5.02 – ამჟამად (თუ არ ჩავთვლით ჰორმონების მიღების დროს) როგორია მენსტრუაციათა პერიოდულობა, ხანგრძლივობა, რეგულარობა? რა სახე აქვს გამონაყოფს (ფერი, რაოდენობა, სუნი, კონსისტენცია)?
5.03 – დღე-ღამის რომელ მონაკვეთში გეწყებათ იგი და როდის არის განსაკუთრებით უხვი?
5.04 – როგორია თქვენი ფიზიკური და ფსიქიური მდგომარეობა მენსტრუაციამდე, მის დროს და შემდეგ?

## 6.00 ოფლიანობა

6.01 – როდის ოფლიანობთ? რა ვითარებაში; სხეულის რა ნაწილებზე გაქვთ ოფლი?
6.02 – როგორ გრძნობთ თავს ოფლდენის დროს, მანამდე, მის შემდეგ? როგორი ხასიათისაა თქვენი ოფლი, მისი სუნი, შესახედაობა?

## 7.00 განავალი

7.01 – დღეში ან კვირაში რამდენჯერ გაქვთ დეფეკაცია? რა არის არაჩვეულებრივი თქვენს განავალში: შესახედაობა, კონსისტენცია, სისხლი?

7.02 – იცით თუ არა ფალარათი? რამდენად ხშირად?

## 8.00 შარდი

8.01 – რამდენჯერ შარდავთ დღისით და ღამით. როგორია შარდი შეხსახედაობა, მისი სუნი მალევე მოშარდვის შემდეგ და რამდენიმე საათის შემდეგ? მისი რაოდენობა (მოცულობა)? რა შემთხვევაში ჩნდება ნალექი?
8.02 – გქონიათ თუ არა წყვეტილი შარდის გამოყოფა? წვა შარდის დროს? შარდის გაპარება? ზოგჯერ ხდება, რომ ადამიანს უჭირს შარდვის დაწყება.

## 9.00 Anamnesis Viate

9.01 – თქვენი გადატანილი დაავადებები? (ოპერაციები, ტრავმები) როდის და რა ჩივილები დაგიტოვათ?
9.02 – რა აწუხებდათ და აწუხებთ თქვენს წინაპრებს, მშობლებს, ძმებს და დებს, ბავშვებს?
9.03 – როგორია თქვენი სამუშაო და საცხოვრებელი პირობები?

ქვემოთ გთავაზობთ კენტის ჰომეოპათიური წამლების რეპერტორიუმიდან რუბრიკების დასახელებებს და მათ გვერდებს, რომელთა მიხედვით უნდა მოხდეს წამლების დიფერენციაცია და გადარჩევა. გამოყენებულია რეპერტორიუმის რუსული თარგმანი, რომელიც გამოიცა 1995 წელს ნოვოსიბირსკში, მოკლე რუბრიკებიდან მოყვანილია წამლების ჩამონათვალი ხარისხების მიხედვით.

# Дж.Т.Кент. Реперторий гомеопатических лекарств.Изд."Трипа". Новосибирск.1995г.

0.03 - подрубрики:"всвязи...","от..."

1.00 - ОБЩЕЕ (стр.564 - 596);

1.01 - Время (стр.564), მაგალითად: დილის 10 საათზე: *Natr.mur* - I ხარისხში და *Cimicifuga, Gelsemium, Nux-vom* - III ხარ.;

1.02 - Осенью(580), *Lach., Rhus ton.*- I ხარისხში, *Ant.tart., Calc.c., China, Kal.bichr., Stramon., Veratr.alb* - II ხარ. და კიდევ 10 პრეპარატი – III ხარ.;

Зимой(575), Весной(570), Летом(577);

1.03 - Перемена - от перемены погоды - хуже(581) *Dulc., Phosphor, Psorinum, Ran.bulbos, Rododendron, Rhus.tox., Silicea, Tubercul.* - I ხარისხში.

1.04 - Простывать тенденция в сухую холодную погоду(595) в сырую холодную погоду(595), сухая погода(593). Тепло /о него - хуже(593), Пасмурная погода(581), Туман(593), Солнце(590), Ясная погода(596);

1.05 - Солнце(590), Снег(590), Ненастье, шторм (гроза) (578) Страх во время грозы (52) *Phosphor* - III ხარ. და სხვ.

1.06 - Ветер(570), Воздух/Дунавение, сквозняк(570);

1.07 - Тепло(593) მაგალითად: ფეჩის სითბოს ვერ იტანენ: *Clonolnum, Secalecrn.* - I ხარ., *Ant.crud., Apis, Argent.nitr., Bryonia, Cocculus, Conium, Euphrosia, Jod., Kali Jodat., Lauroc., Mercur.Sol.* - II ხარ.; *Bufo, Mag.m., Natr.mur., Opium, Pulsat.* - III ხარ.;

1.08 - от жара и холода(595) перемена температуры(581)
1.09 - Одежда(579)
1.10 - Раскривание(586), от укутывания (593)
1.11 - იგივე, რაც 1.02
1.12 - Подъем(582) Высоко(582) *Calc. carb., Conv., Olnd., Spigelia* - II ხარ.; *Acon., Bryonia, Sulfur* - III ხარ.;

Высота(24) *Argent. nitric., Aurum, Sulfur* - II ხარ., *Cels., Pulsat., Sfaphisagr.* -I ხარ.

Страх высоты(49) *Arg. nitr.,* - II ხარ., *Pulsat., Staphisagr., Sulfur* - I ხარ.

1.13 - Купание(576),
1.16, 1.17 - Стоя(59), Сидя(587) Ходьба(594),
1.19 - Езда(574) მგზავრობას ვერ იტანს: *Colculus, Petrol., Sepia* და სხვები, უკეთ ხდება: *Ac. nitricum* და *Argen. album,* მგზავრობის შემდეგომ ცუდათ ხდება *Silicea* და *Ac. nitricum.*

1.20 - Еда(574) ჭამის წინ ცუდათ ხდება: *Jod, Nat.carb., Phosphor Anacard.* და სხვები, ჭამის დროს: *Carbo veget, Kal. carb., Ignatia, Lachesis* და სხვ., მის შემდეგ: *Aloe, Nux vomica, Pulsatilla* და სხვ.

1.21 - *Annemum* (217) მგელივით მადა: *Ammon. carb., Arg. met., Argen., Calc. carbon., Grapitis, Jod, Lycopod.* და სხვ.; მალე ძღება: *China, Lycopod, Platina* და სხვ., უმადობა: *Ferrum. met., Chinin. arsen., Silicea, Jgnatia* და სხვ., მუდმივად ჭამა უნდა: *Kal. bichrom., Merc. Soly Natr. carb., Natr. muriat.* და სხვ.;

Пустаты ощущение(233)
1.22 - Жажда(224); отсутствие жажды (225).
1.23 Пища - ухудшение(581); Тошнота (239); Несварение(228), ухудшение от пива, кофе(581), от чая(582);

1.24 Обоняние, чувствителен к запаху табака (163); Табак - ухудшение от него (593) -*Ars.*, *Ignatia, Pulsat.*, *Spigelia, Staphisagria* და სხვ;

1.25 - Вакцинация после него (570)

1.26 - Раны (585), Медленное срастание сломанных костей (577), Рубцы, шрамы (558), язвы (596), (560)

1.27 - Одежда(579)

1.28 - Обморок (578), Слабость (587).

## 2.00 - ПСИХИКА (17-57)

2.01 Горе (24) *Ignat., Aurum, Natr. muriat., Causticum* და სხვ;

Радость (44)- დილით: *Ac. fluor, Sulfur* და სხვ, საღამოს: *Lachesis, China* და სხვ.

2.04 Плач (42) -*Apis, Calc.carbon, Caustic Graphitis, Jgnatia, Kal. bichrom., Lycopod., Natrium. muriat., Platina, Pulgatilla, Sepia, Sulfur, Veratr. alf.* და სხვ;

ტირილი მუსიკის გამო: *Graphitis, Kreosotam, Natr. carb., Natr. Sulf., Nux. vom, Tuja*; ფორტეპიანოს ხმაზე: *Natr. carb.*

2.05 - Утешение (55) დაწყნარება უყვარს: *Pulsatilla*, ვერ იტანს მას: *Natr. muriat., Jgnatia, Sepia, Silicea* და სხვ;

2.06 - Ревность (46) - *Hyosciamus, Lachesis, Apis* და სხვ;

2.07 - Страх (49-51), Тревога (52-54), Беспокойство (18-19)

სიკვდილის შიში: *Aconit., Arsent. nitr., Argen. album, Calcium carb., Gelsem., Kal. carb., Phosphor, Platina, Pulsatilla* და სხვ;

სიბნელის შიში: *Acon., Phosphor, Pulsat., Stramonium* და სხვ.;

კლაუსტროფობია: *Acon., Arsent. nitr., Stramon.,*

თეატრში ან ეკლესიაში წასვლის წინ: *Argent. nitr., Argen. album, Kal. carb., Phosphor (Natr. mur)* და სხვ.;

2.08 Самоубийство, склонность к нему (47)-*Aurum, Anacardium, Stramon., Zinc.* და სხვ.;

Смерть (47)

2.09 Обморок в толпе (набитом людьми помещение) (579): *Lycopod., Natr. mur., Phosphor, Pulsat.,* და სხვ.; Помещение, полное людей (582)

Страх толпы (51) - *Acon., Natr. mur.,* და სხვ.;

2.10 - Бледность лица (181)- *Anac., Ant. tart., Arg. nitr., Argen., Calc. carb., Calc. phosphor, Camph., Carbo veg., China, Ferrum met., Graphitis, Natr. mur., Plumb., Sepia, Tabacum* და სხვ.;

Красное лицо (182)- *Acon., Apis, Bellad., Bryom., Lachesis, Melilotus, Phosphor, Sangvinarina, Aurum met., Stramon.,* და სხვ.;

Гнев (24) *Acon., Anacord, Ars., Bryomia, Chamomilla, Lycopod., Staphisagria, Sulfur* და სხვ.;

2.11 Торопливость (51), Беспокойство (суетливость) (18)

2.12 - Жесты (жестикуляция) (26), Ходит быстро (56)- *Arg. nitr.,* медленно- *Caj.;* Писать (42); Живой, подвижный (27), Медленность (36), Ответы (39).

2.13 Беспокойство в одиночестве (19) Страх остатся одному (50), Тревога в одиночестве (53), Общество (компания) (39).

2.14 Унижение, подавленная обида, болезнь от этого (55)- *Jgnat., Natr. mur., Ac. phosphor., Staphisagria* და სხვ.;

Горе (24) - Болезни от неразделенной любви (36)- *Hyosc, Jgnat., Natr. mur., Ac. phosphor.,* და სხვ;

Любовь с таким горем (36), Чахнет от любви(36) - *Ant. crud., Tilia,*

2.15 Добросовестный (педантичный), тщательный в мелочах (26) Порядок, не может успокоется, пока вещи не на своих местах (43): *Anacard., Argen.*

2.16- Менструации (321-324), Менструация / перед ней, вначале, во время нее, после нее (577)

# 3.00 - ЖЕЛУДОК (217-242)

3.01 - Отвращение к продуктам питания (228-229), Желания, хочется (225-226)

3.02 Несварение (228), Ухудшение от пищи (581), тошнота (239-242) Изжога (226), Отрыжка (229-232), Рвота (234-238), Еда (478).

# 4.00 - СОН (519-528)

4.01 - Положение, поза во сне (522)

4.02 - Беспокойный сон (519), Глубокий (520), Коматозный (521), Короткий (522), Прерывистый (522) Неосвежающий (522), Скрежетание зубами во сне (205): *Arsen., Bell, Cann. j., Cina, Tuberc.*

Рот открыт во сне (192), Крик во сне (36), Плачет во сне (42), Глаза открыты во сне (128).

4.03 - Сновидения (523)

4.04 - Сонливость днем (527)

# 5.00 - МЕНСТРУАЦИИ (321-324)

# 6.00 - ПОТЛИВОСТЬ (544-547)

# 7.00 - СТУЛ (281-284)

**7.01 - Полное (277), Позывы (276), Запор (274).**

# 8.00 - МОЧА (300-304)

**8.01 - Мочеиспускание (287), Задержка мочи (286)**

# 9.00 - Anamnesis vitae

**Ожирение (579), Исхудание (575), Карликовость (575), Опухание (579), Плетора, полнокровие (582), Грудной ребенок(572), Старость(590), Худой (596), Психика (17-57).**

# ს ა რ ჩ ე ვ ი


1. წინასიტყვაობა 3
2. შესავალი 6
3. სამუელ ჰანემანი და მსგავსების კანონი 12
4. ჰომეოპათიის ძირითადი პრინციპები 17
5. ქრონიკული დაავადებების ფორმები 19
6. ძველი ტრადიციული სამედიცინო სისტემები და „მიაზმების" თეორია 29
7. ადამიანის ბიოჰოლოგრაფიული მოდელი 35
8. ჰომეოპათიის პრაქტიკული შესაძლებლობები 41
    - ანაციდური გასტრიტი 42
    - პეპტიური წყლული 43
    - ეპილეფსია 44
    - ბრონქიალური ასთმა 46
    - ვირუსული ჰეპატიტი 47
    - ნაღველ-კენჭოვანი დაავადება 49
9. როგორ შევისწავლოთ ჰომეოპათია 55
10. დანართი. ძირითადი კითხვები ჰომეოპათიური საყრდენი ანამნეზისათვის (პაი, გრანჟორჟი). 61

მედიცინის დოქტორი ერემი
ექიმი-ჰომეოპათი

# ჰომეოპათიის ანბანი

მეხუთე შევსებული და გადამუშავებული
გამოცემა

1973 წელი

შტაუფენ-ფარმა გოპინგენ
მეცნიერების განყოფილება

# წინასიტყვაობა

როდესაც სახალხო უნივერსიტეტსა და ჰომეოპათიურ საზოგადოებებში ვკითხულობდი ლექციებს, ვსაუბრობდი პაციენტებთან და ექიმებთან, ხშირად მთხოვდნენ შემედგინა დამწყებთათვის რამე უბრალო და გასაგები ჰომეოპათიის სახელმძღვანელო. ამ მეთოდით დაინტერესებული ექიმებიც წუხილს გამოთქვამდნენ ასეთი სახელმძღვანელოს არარსებობის გამო. ანბანი, როგორც ცნობილია, ესაა წიგნი, რომლის მიხედვითაც სწავლობენ კითხვას. მას კი, ვინც უკვე აითვისა ანბანი, შეუძლია წაიკითხოს-უფრო რთული წიგნები.

სამკურნალწამლო საშუალებები მოყვანილია ანბანის მიხედვით. თითოეულ მათგანს, თუ გამოიყენებენ დროულად და აზრიანად, აქვს დიდი მნიშვნელობა.

ვიმეორებ: სამკურნალწამლო ნივთიერებათა ეს აღწერა განკუთვნილია დამწყებთათვის. ვფიქრობ, შეცდომები არაა დაშვებული. წინასწარ ვეთანხმები იმ აზრს, რომ ზოგიერთი აღწერილობა გამოვიდა გაწელილი, მაგრამ ეს გაკეთდა იმ მიზნით, რათა დავხმარებოდი დამწყებს შექმნა წარმოსახვაში ნათელი, დასამახსოვრებელი სურათი.

როგორც ცხვრის ფარა მოქალაქისათვის არის ერთნაირი ცხვრების ერთობლიობა, თუმცა მწყემსი იოლად ანსხვავებს თითოეულ ცხვარს, ასევე სწავლება ჰომეოპათიურ საშუალებებზე წარმოუდგება დამწყებს ასეთ ერთფეროვან ფარად: ყველა ნივთიერება ეჩვენება იმდენად მსგავსად, რომ ერთმანეთისაგან ვერ არჩევს.

მხოლოდ თანდათან შეძლებს გამოარჩიოს ისინი საერთო მასიდან, მოიშველიებს რა ზოგიერთ დამახასიათებელ თვისებას.

მე მინდა დავეხმარო მკითხველს გახდეს ისეთი მწყემსი, რომელიც იცნობს თავის ცხვრებს და იცის თვითოეულის ხასიათი. ამას რომ მივაღწიოთ, ვართ საჭირონი ორნი – მე და მკითხველი. იმედი მაქვს, რომ გამოვნახავთ საერთო ენას.

# ჰომეოპათიის ადგილი მედიცინაში

ჰომეოპათია მედიცინის ნაწილია. ჰომეოპათიით შესაძლებელია დაავადების მკურნალობა, ე.ი. თერაპია. სულ არსებობს მკურნალობის ხუთი მეთოდი:

1. მექანიკური, ე.ი. ქირურგიული მკურნალობა.
2. ჰაერი, სინათლე, წყალი და მზე, ე.ი. ბუნებრივი გამაღიზიანებლები, რომლებიც წარმოადგენენ ნატურალური თერაპიის საფუძველს. ეფექტი მიიღწევა გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე მოქმედების შედეგად.
3. დიეტა. მისი საშუალებით ეფექტი მიიღწევა ნივთიერებათა ცვლაზე ზემოქმედების შედეგად.
4. სულიერი ზემოქმედება.
5. მედიკამენტები.

მკურნალობის ეს გზები გამოიყენებიან ცალ-ცალკე ან ერთმანეთთან შერწყმული. მათი არჩევანი განპირობებულია, ერთი მხრივ, ავადმყოფობის, ხოლო მეორე მხრივ-ექიმის პიროვნებისა და მისი ოსტატობის გათვა-ლისწინებით.

ერთი შეხედვით, ჰომეოპათია მოგვევლინება მეხუთე პუნქტში აღნიშნული მედიკამენტოზური მკურნალობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილად, მაგრამ თუ თერაპიას განვიხილავთ არა მხოლოდ როგორც მკურნალობას, არამედ როგორც განკურნებას, მაშინ აღმოჩნდება, რომ მედიკამენტოზური მკურნალობით მიღწეული შედეგების უმრავლესობა მიღწეულია სწორედ ჰომეოპათიური მე-თოდით.

ჰომეოპათია – ეს არაა საშუალება ყველა ავადმყო-

ფიზიკისათვის. თუ ავადმყოფს აქვს მოტეხილობა, ჰომეოპათი გააგზავნის მას ქირურგთან. თუ თვალში უცხო სხეული აქვს, გააგზავნის ოკულისტთან. ჩვეულებრივ ექიმისაგან ჰომეოპათი იმით განსხვავდება, რომ ქირურგისა და ოკულისტის ქმედებას ამატებს თავის საშუალებებს, ისეთებს, როგორიცაა *Symphytum, Arnica, Silicea* და სხვა საშუალებანი. თუ საჭიროა, იყენებს ბუნებრივ გამაღიზიანებლებსაც – წყალს, ჰაერსა და მზეს.

ჰანემანი ისეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დიეტას, რომ მოშურნენი მისი თერაპიის წარმატებას მიაწერდნენ სწორედ დიეტას. დაბოლოს, ყველა კარგი ექიმი აუცილებლად იყენებს სულიერ ზემოქმედებას, ჩაუსახავს რა ავადმყოფს იმედს. ამდროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ექიმის პიროვნებას.

ჰომეოპათიასა და მედიკამენტოზური მკურნალობის სხვა მეთოდებს შორის არსებობს მთელი რიგი არსებითი განსხვავებანი. ჰომეოპათია ხელმძღვანელობს შემდეგი წესით: *Similia similibus curentur*, ე.ი. მსგავსი იკურნება მსგავსით. ყველა ჰომეოპატიური საშუალება არაერთგზის შემოწმებულია და მოწმდება ჯანმრთელ ადამიანებზე.

თუ გამოსაცდელების დიდ რაოდენობას რაიმე (მათთვის უცნობი) წამლისმიერი საშუალების მიღების შემდეგ აღენიშნებათ მშრალი სიცხის შეგრძნება, რომელსაც თან ახლავს სხეულის მოუსვენრობა და სულის აფორიაქება (ასეთი ცვლილებების გამოწვევა შეუძლია, მაგალითად, აკონიტს) – ე.ი. აკონიტი მსგავსების კანონის მიხედვით კურნავს იმ დაავადებებისაგან, რომელთა დროსაც აწუხებთ მშრალი სიცხის შეგრძნება, სხეულის მოუსვენრობა და სხეულის აფორიაქება.

ცდები ცხოველებზე, რომელთაც საუნივერსიტეტო,

მედიცინა ანიჭებს ასეთ დიდ მნიშვნელობას, ჰომეოპათი- სათვის ნაკლებად მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ სამკურნალო წამლით ნივთიერებათა შერჩევა მეტწილად განპირობებულია სულიერი სიმპტომებით, ხოლო ცხოვე- ლებზე ცდებისას ასეთი სიმპტომების გამოყოფა შეუძლე- ბელია. კიდევ ერთი განსხვავება, რომელიც ბოლოხანებში, სხვათა შორის, უფრო და უფრო ნაკლებ შესამჩნევი ხდება, მდგომარეობს მასში, რომ ჰომეოპათია იყენებს „ძლიერ განზავებულ" საშუალებებს. შეიძლება აღინიშნოს, რომ ეს საშუალებანი არა მხოლოდ განზავებულნი არიან, არამედ სხვანაირად მომზადებულნიც. ვიბრაციისა და სრესვის მეშვეობით, რომლებიც დღესაც შეადგენე ჰომეო- პათიური სამკურნალო წამლით საშუალებების მომზადების წესს, მათში თავისუფლდება ძალები, რომელთა გამოთა- ვისუფლება მხოლოდ უბრალო „განზავებით" შეუძლე- ბელია.

ქიმიური, მატერიალური საშუალებანი მოქმედებენ ადამიანის ორგანიზმის ქიმიურ, მატერიალურ ნაწილზე, მის სხეულზე. ის საშუალებანი კი, რომელთაც დაკარგეს თავიანთი მატერიალური ხასიათი (ნებისმიერ ჰომეოპა- *D6* დოზიდან, პრაქტი- კულად უკვე დაკარგული აქვს მატერიალური სუბსტანცია, შენარჩუნებული აქვს მხოლოდ ძალა) ზემოქმედებენ ორგანიზმის არა მატერიალურ ნაწილზე, ადამიანის სულზე, იმ ძალებზე, რომლებიც მართავენ მის სხეულსა და ნერვებს. ვინაიდან საუნივერსიტეტო მეცნიერება ძირითადად იკვლევს მატერიას, ჰომეოპათიას დღემდე არა აქვს მეცნიერული დასაბუთება. თუმცა, დიდი დრო არაა დარჩენილი იმ დრომდე, როდესაც ამ საქმეში მოხდება ძირეული შემობრუნება.

ჰომეოპათიას ხშირად საყვედურობენ, რომ ის, ვითომცდაც, კურნავს მხოლოდ სიმპტომებს. ეს ძირეულად არასწორია. რა თქმა უნდა, ჩვენ სუბიექტურ სიმპტომებს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. მაგრამ ისინი გვჭირდება როგორც ორიენტირი, რათა ავადმყოფს სწორად შეერჩეს სამკურნალწამლო საშუალება.

ჰომეოპათია კურნავს ავადმყოფს, და არა ავადმყო- ფობას, ან და სიმპტომს. მკაფიოდ გამოხატული „წამყვან" სიმპტომს შეიძლება ჰქონდეს გარკვეული მნიშვნელობა ამა თუ იმ სამკურნალწამლო ნივთიერების შერჩევის დროს. მაგალითად, თუ ავადმყოფს სიმპტომები უძლიერდება ღამით, ეს ნიშნავს, რომ საკარაუდოა მას ყველაზე მეტად მოუხდეს *Lachesis*, იმის მიუხედავად, თუ რა ავადმყოფობა აწუხებს.

თუ უფრო ზუსტი ვიქნებით, სიმპტომთა ერთობ- ლიობა გვაძლევს საშუალებას სწორად გამოვიცნოთ ავადმყოფობის ნიშან-თვისება, და არა თვით ავადმყოფობა, რომელზეც ჰანემანი ამბობდა, რომ ბოლომდე მისი შეცნობა შეუძლებელია.

უნივერსიტეტებში ჰომეოპათიას ასწავლიან ისევე იშვიათად, როგორც ბუნებრივ თერაპიას, ან აკუპუნქტუ- რას. ის ჯერ კიდევ იმყოფება ოპოზიციაში. მაგრამ თუ ყურადღებით მივადევნებთ თვალს ბოლო წლების სამეცნიერო ცხოვრებას, შევამჩნევთ ჰომეოპათიური მიდგომის შეღწევას საუნივერსიტეტო მედიცინაში.

ჰომეოპათიური საშუალებანი ნასესხები არიან ფლორიდან, ფაუნიდან და მინერალური სამყაროდან. წამლების მოსამზადებლად იღებენ ველურად მზარდ მცენარეებს, ვინაიდან მათი სამკურნალო პოტენციალი უფრო მაღალია. ტილჭირი (აკონიტი) იზრდება მთებში, თოვლთან მოსაზღვრედ, და არსებობს ქს უჩვეულო პირო-

ბები აძლევენ მას ძლიერ სამკურნალო ძალას. ასევე, ბუნებრივ მინერალებში ხშირად გვხვდება სხვა ელემენტების კვალი. აქ წამყვანი მნიშვნელობა, როგორც ჩანს, ენიჭება ამ ელემენტების ჰარმონიულ შერწყმას.

# კონსტიტუციონალური საშუალებანი

კონსტიტუცია წარმოადგენს ადამიანის ყველაზე მეტად გამორჩეული სხეულისა და სულისმიერი თვისებების ჯამს, მის დახასიათებას, ითვალისწინებს აღნაგობას, სიმაღლეს, სისრულეს, თმისა და კანის ფერს, ტემპერამენტს – ე.ი. პიროვნებას.

რომ გავარკვიოთ, თუ როგორ უნდა დაინიშნოს ასეთი საშუალებანი, მოვიყვან ერთ მაგალითს. ჩემთან მოვიდა ავადმყოფი ქრონიკული სახსროვანი რევმატიზმის იოლი ფორმით, ავადმყოფობდა რამდენიმე წლის განმავლობაში. მას რამდენიმე სახსარი ჰქონდა შეშუპებული, აღენიშნებოდა პატარა რიგიდობაც. საერთოდ სახსრების სამკურნალოდ ნიშნავენ *Acidum benzoic.*, *Calcium carb.*, *Colchium* ან სხვა მათდაგვარ საშუალებებს. ეს ქალი გამოირჩეოდა სიგამხდრით, კანის უსუფთაობით, სხეულზეც უსიამო სუნი უდიოდა. ამიტომაც მას გამოვუწერე წამალი, რომელიც შეესაბამებოდა მის კონსტიტუციას: *Sulfur D30* 7 წვეთი 8 დღის განმავლობაში, დილაობით. მკურნალობის შემდეგომ სახსრებში ტკივილი არ განმეორებია მრავალი თვის განმავლობაში.

*Sulfur*, გოგირდი, გამოიყენება საკმაოდ ხშირად. ავადმყოფის სხეულზე ყველა ხვრელი – წითელი ფერისაა. კანი შეხედვით ჭუჭყიანი ჩანს, გამონაყარებისადმი მიდრეკილი. აწუხებს ქავილი, ქავილის შემდეგომ წვა, განსაკუთრებით საწოლში. ტერფები უხურთ, იმდენად, რომ ავადმყოფი მათ ყოფს საბნიდან. ხელები აქვთ ცხელი, ავადმყოფი ცდილობს დაადოს ხელი ზეწრის ცივ ნაწილს, „სიცხის“ შეგრძნება თავში, გამოყელვა ბავშვებში,

ინტერტრიგო, ოფლიანობა, ხორციანი საკვებისადმი ზიზღი. ავადმყოფი ბევრს სვამს, ცოტას ჭამს. ეშინია ბანაობის. ვერტიკალურ მდგომარეობაში თვითგრძნობა უარესდება. დაახლოებით დღის 11 საათისათვის უჩნდება შიმშილის შეგრძნება, მან აუცილებლად რაღაც უნდა შეჭამოს, თორემ შიმშილისაგან დაეცემა. ამის მიზეზია – სისხლში შაქრის დონის მნიშვნელოვანი დაცემა. ღამობით საწო– ლიდან წამოაგდებს დიარეა. საერთოდ, „სულფურულ“ კონსტიტუციას ავღწერდი შემდეგნაირად: ეს გამხდარი, მოშვებული ადამიანია ჭუჭყიანი შესახედაობის კანით, უსიამო სუნის მქონე. ხასიათი აქვს ცოცხალი, ნევროზული, სულსწრაფი. მუშაობა მათ არ უყვართ, აგრეთვე ხშირად – სწავლაც. დიდად არაფრით ინტერესდებიან, არიან იპოქონდრიკები. თმები – უხეში, ქუთუთოები – მოწითალო, ყურები – წითელი. უყვართ ფილოსოფოსობა. ზამთარში ითლიას გადიან პალტოს გარეშე.

ახლა შევეცდები რამდენიმე სიტყვით დავხატო კონსტიტუციის სხვა ტიპები. *Sepia:* სიცოცხლისმოყვარე ქსანტიპა კლიმაქტერულ ასაკში, სახეზე მოყვითალო ლაქებით. *Pulsatilla* - სხეულითა და სულით დამყოლი ქალწული, მტირალა, რომელიც აგვიანებს ყველგან და ცხოვრებაშიც მათ შორის. *Platina* - ქედმაღალი ქალი, მკვეთრად გამოხატული ეგოისტური თვისებებით და საშოს ქავილით. *Calc. carb.* - ინერტული ბავშვი ცივი კანით და ფაშარი ქსოვილებით, რაქიტისადმი მიდრეკილებით, რომელსაც მუდამ სველი აქვს ბალიში თავის ძლიერი ოფლიანობის გამო. ამ დამახასიათებელი ტიპებისათვის (ან და დიაგნოსტიკური სიმპტომოკომპლექსისათვის) დიდი მნიშვნელობა ენიჭება გარკვეული დაავადებებისადმი მიდრეკილებას: ასე მაგალითად, *Sulfur* - ტიპი ხშირად იტანჯება ქავანა გამონაყარით. *Graphit* - ტიპი – სველი ეგზემით,

განსაკუთრებით ყურების უკან. *Sepia* - ტიპს ხშირად აქვს საშვილოსნოს გადახრა, ხოლო *Pulsatilla* - ს სისუსტე, მენსტრუაციის დაგვიანება და მისი მცირე მოცულობა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ დაავადება წარმოადგენს მოცემული ტიპის ხასიათის განუყოფელ ნაწილს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი სიმპტომოკომპლექსის არსებობა ქმნის ჰომეოპათიურ სამკურნალო წამლით ნივთიერებათა გარკვეულ ნაკრებს. ავადმყოფს ენიშნება რა კონსტიტუციით ნაკარნახევი საშუალება, ამით ჩვენ ვიქრებით მის პიროვნებაში და ამის შედეგად ვახდენთ ზემოქმედებას დაავადებაზე.

კიდევ ერთი დამახასიათებელი პორტრეტი: წარმოიდგინეთ მოწითალო სახის ფერის ყასაბი. მოკლე, სქელი კისერი, მთელი სხეული ჩამრგვალებული, უჩივის გულს, მკერდში მოჭერის შეგრძნებას და რაღაც შიშს, რომელიც „ზის" გულის არეში. წნევა მომატებული აქვს, გააჩნია მიდრეკილება ინსულტისადმი და აორტის გაფართოებისადმი. ღამით ტეხავს ძვლები. ზოგჯერ შეიგრძნობა სუნი პირიდან და ცხვირიდან. ეს – *Aurum* - ტიპია. ასეთ ადამიანს კარგად დაეხმარება მისი კონსტიტუციონალური საშუალება, *Aurum* (ოქრო).

ახლა წარმოიდგინეთ სავსებით განსხვავებული წყობის ადამიანი– გამხდარი ჩინოვნიკი, რომელიც ეწევა მჯდომარე ცხოვრებას. დილიდანვე მოდუნებულია, სამაგიეროდ საღამოს მხნედაა. უყვარს მბრძანებლობა, ვერ იტანს შეპასუხებას. ეს ტიპიური ოჯახის ტირანია, ბრაზობს ნებისიერი წვრილმანის გამო. აწუხებს კუჭის შეკრულობა, განიცდის რა ხშირ და უშედეგო ჭინთვას. აწუხებს ჰემოროიც. მიუხედავად თავისი ფეთქებადი ხასიათისა, მშიშარაა, განსაკუთრებით ხელმძღვანელობის წინაშე. ჭამის შემდეგ ხშირად ტკივა კუჭი. საერთოდ,

მისი ჩივილები ძლიერდება ჭამის შემდეგ, დილაობით და სიბრაზისას.

ერთხელ პირველად მიმიწვიეს ერთ სარკინიგზო ჩინოვნიკთან, რომელსაც უკვე მრავალი წელია აწუხებ–და იშიაზი, რის გამოც თვენახევარი გაატარა საწოლში. გამოვუწერე *Rhus tox.*, *Gnaphalium* და *Mercur.*, მაგრამ უშედეგოდ. როდესაც მე ვინახულე მეორეჯერ, მან დაუყვირა ცოლს: რას უდგეხარ, ქალო, მოუტანე ქინძის წყალი. ეს ჟღერდა ძალიან უხეშად, რაღაცნაირი ვითომდა მეოჯახე ტონით. მე გამოვუწერე *Nux vomica* სამი დღის შემდეგ ეს ადამიანი ჯანმრთელი იყო.

რომ დავასრულოთ *Nux vomica*–ს ტიპის დახასიათება, უნდა გავითვალისწინოთ კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი სიმპტომი: ავადმყოფის მდგომარეობა უარესდება დილით, გონებრივი დატვირთვისა და საკვების მიღების შემდეგ, ცივ ჰაერზე. საკვების მიღებიდან ერთი საათის განმავლობაში ავადმყოფი გრძნობს კუჭში სიმძიმის შეგრძნებას. ბოროტად იყენებს ალკოჰოლს, თამბაქოს და ყავას. ამრიგად, *Nux vomica* წარმოგვიდგება შესანიშნავ საშუალებად ნაბახუსევის სინდრომისათვის. კარგ შედეგს იძლევა აგრეთვე ბავშვებში პილოროსპაზმის დროს.

## პოტენცირება

ჰომეოპათიის საფუძველს წარმოადგენენ ჰომეოპათიური სამკურნალწამლო ნივთიერებები, რომლებიც მიღებული არიან სრესვით ან ვიბრაციით.

ასე მაგალითად, არნიკის საწყისი ნაყენი „განზავდება" სპირტით თანაფარდობით 1:10. შემდეგ საჭიროა

კარგად შენჯღრევა. ამრიგად „განზავებული“, ან უკეთესია ითქვას, ეს პოტენცია აღინიშნება როგორც *D1*. თუ ავიღებთ *D1*-დან 1/10 წილს, დავამატებთ მას 9/10 წილ სპირტს და კარგად შევანჯღრევთ, მიიღება *D2* პოტენცია. მყარი ნივთიერებანი გაისრისებიან რძის შაქართან თანაფარდობით 1:10, ქმნიან რა ამგვარი სახით პირველი რიგის პოტენციას. ამგვარად, *D1* პოტენცია შეიცავს საწყისი ნივთიერების 1:10-ს. *D2* 1:100, *D3* 1:1000 და ასე შემდეგ. მზა ჰომეოპათიური საშუალებანი ჩვეულებრივ გაიცემიან გრძნეულების (ბურთულების, აბების და ამპულების) სახით.

ამა თუ იმ პოტენციის დანიშვნა დამოკიდებულია საწყის სამკურნალო ნივთიერებებზე, პაციენტსა და მის დაავადებებზე, აგრეთვე ექიმის დამოკიდებულებაზე მაღალი და დაბალი პოტენციების მიმართ. ჰომეოპათიის ოქროს წესია: არ ხარ დარწმუნებული, დანიშნე *D6*.

ქრონიკული დაავადებების დროს ჩვეულებრივ ნიშნავენ მაღალ პოტენციას. ხშირად აღმოჩნდება, რომ პოტენცია *D30* ან *D200* გვაძლევენ ბრწყინვალე შედეგს. მას, კორფის მსგავსად თვლის, რომ „ეს არ შეიძლება მოხდეს იმიტომ, რომ არ შეიძლება მოხდეს არასდროს“, უარი უნდა თქვას მაღალი პოტენციის გამოყენებაზე. მათ დანიშნავს გამოცდილი ექიმი.

## კვება

როგორ უნდა იკვებებოდეს ავადმყოფი? ჩემს პრაქტიკაში გამოცდილი იქნა ერთი დიეტა, რომელიც მოგვაწოდა დოქტორმა *Rosendorff*-მა. შემდგომში ამ დიეტაში შევიტანე დამატებანი. ის გამოსადეგია ყველა მძიმე ავად-

მყოფისათვის, თუ რასაკვირველია, ავადმყოფს არა აქვს დანიშნული რაიმე განსაკუთრებული (მაგალითად, უმარილო) დიეტა. ჩვენი დიეტის უპირატესობა მდგომარეობს მასში, რომ ის წარმატებით შეუძლიათ გამოიყენონ ჯანმრთელმა ადამიანებმაც.

1. საკვების მიღებათა შორის შუალედი უნდა შეადგენდეს არა ნაკლებ 5 საათს (ბავშვებში 4,5 საათს).

2. საკვები უნდა მივიღოთ არა უმეტეს 3-ჯერ დღეში. შუალედში არაფერი არ უნდა ვჭამოთ! ხილი უნდა მივირთვათ საკვების მიღების წინ, და არა ბოლოს. 5 საათის შემდგომ ხილი საერთოდ არ უნდა ვჭამოთ.

3. უნდა ვჭამოთ რაც შეიძლება ნელა. ნუ იჩქარებთ. გულმოდგინეთ დაღეჭეთ საკვები, უხვად დაასველეთ ნერწყვით. ღეჭეთ მანამ, სანამ საკვები პირის ღრუში არ გადაიქცევა რბილ ფაფად, და მხოლოდ მაშინ გადაყლაპეთ.

4. ვახშმის მირთმევა საჭიროა დაძინებამდე 2 1/4 საათით ადრე. ვახშამი უნდა იყოს მოკრძალებული.

5. იკრძალება თეთრი ფქვილისგან გამომცხვარი პურფუნთუშეულის მირთმევა.

6. იკრძალება შოკოლადი და კაკაო, აგრეთვე ტკბილეულობაც.

7. ნატურალური ყავა და მაგარი ჩაი – მხოლოდ ექიმის ნებართვით.

8. იკრძალება სპირტიანი სასმელები. საგანგებო შემთხვევებში მათი მიღება დასაშვებია მხოლოდ ექიმის ნებართვით.

9. ხორცი, ფრინველი დასაშვებია გამოვიყენოთ საკვებად მხოლოდ მცირე რაოდენობით და ისიც დიდი რაოდენობის კარტოფილთან, ბოსტნეულთან და ხილთან ერთად. კვერცხი საკვებად გამოვიყენოთ იშვიათად.

10. თამბაქოს მოწევა აბსოლუტურად აკრძალულია.

თქვენ მწეველი ხართ და არ შეგიძლიათ თავის დანებება? თქვენ შეეცადეთ, და თავად შეამჩნევთ, როგორ მოგემატე–ბათ ძალა. მეტად ირწმუნეთ საკუთარი თავის.

11. მიირთვით რაც შეიძლება მეტი ხილ–ბოსტნეული, განსაკუთრებით წითელი ფერის, მაგრამ მხოლოდ დღის პირველ ნახევარში, სადილამდე. მიაქციეთ ყურადღება, რომ მათ არ განიცადონ ქიმიური დამუშავება. პური სასურველია ჭამოთ მსხვილად დაფქული ხორბლისაგან გამომცხვარი. რძის ნაცვლად დალიეთ არაჟანი, იოგურტი ან შრატი. ძალზე სასარგებლოა თაფლი. ნუ გამოიყენებთ თეთრ შაქარს, ჯობია ლერწმის. ნუ გამოიყენებთ კონსერვებს. რეკომენდირებულია მეტი რაოდენობით მჟავე კომბოსტო, ხაჭო.

12. ყველაზე სუსტი კუჭიც კი გადაამუშავებს მსხვილად დაფქული ხორბლისაგან გამომცხვარ პურს, ხილს, ბოსტნეულს, რძემჟავა პროდუქტებს, თუ კი თქვენ გულმოდგინეთ დაღეჭავთ და დაიცავთ ჭამათა შორის 5 საათიან შუალედს, ამასთანავე, თუ თქვენ საკვების ძირი–თად ნაწილს მიიღებთ დილით და შუადღეს, და არა საღამოს.

## *როგორ მივიღოთ*

ჰომეოპათიური საშუალებანი არ შეიძლება მივიღოთ ჭამის დროს. უკეთესია ისინი მივიღოთ ცარიელ კუჭზე, დილით ან ძილის წინ. შეიძლება მიღება დღის განმავლობაში ჭამამდე ნახევარი საათით ადრე. ბურთულები და აბები უნდა გალღვეს ენის ქვეშ. წვეთების მიღება შეიძლება წყალთან ერთად, შესაძლებელია ენაზე დაწვეთებაც.

შუქსა და სითბოში წამლები კარგავენ ძალას. ისინი

ისინი არ უნდა ეხებოდნენ ლითონებს და არ უნდა სხივდებოდნენ რენტგენით.

## *ჰომეოპათია ბავშვთა ასაკში*

დამტკიცებულია, რომ ზოგიერთი ჰომეოპატიური საშუალება გამოსადეგია მხოლოდ ბავშვთა ასაკში ან მათზე ზემოქმედებენ განსაკუთრებით ეფექტურად.

ქვემოთ ჩამოთვლილია ბავშვთა ასაკში უკვე გამოცდილი ჰომეოპატიური საშუალებანი და მოცემულია მათი მოკლე დახასიათება.

***Acidum phosphoricum.*** ბავშვი ყველაფრის მიმართ გულგრილია, არაფერს არ ითხოვს.

***Aethusa.*** ბავშვი ჭამის დამთავრებისთანავე აღებინებს რძეს სრულად.

***Alumina.*** შეკრულობა ბავშვებში. (***Magn.phosph.***) „მოხუცის სახე“. მშრალი კატარი, ძლიერი სისუსტე.

***Arsenicum.*** ბავშვი მალე წყვეტს წოვას (სისუსტისაგან).

***Barium carbonicum.*** ბავშვი გონებრივად განუვითარებე-ლია. კუნთები სუსტი, არა აქვს თამაშის ხალისი.

***Borax.*** ბავშვი ტირის მოშარდვისას (***Lycopodium***). პირიდან შეგრძნობა სუნი. წინ დახრისას და ქვევით დაშვებისას – თავბრუსხვევა.

***Chamomilla.*** ნევროზული, ადვილად აგზნებადი ბავშვი. ტირის უმიზეზოდ. ვერ იტანს ტკივილს.

***Cina.*** ბავშვი ჭირვეულია. არ სურს რომ უყურებდნენ, ელაპარაკებოდნენ, ეხებოდნენ. ღამით აკრაჭუნებს კბილებს. ჩიჩქნის ცხვირს. ადგილი აქვს ჭიებით ინვაზიას.

***Cypripedium.*** ბავშვს არა აქვს თამაშის და გართობის სურვილი.

***Gelsemium.*** ბავშვის გადაყლაპული საკვები გადმოსდის ცხვირიდან.

***Ipecacuanha.*** ფაღარათი, გულისრევის შეგრძნება. ბავშვთა კაპილარული ბრონქიტი (*Tart.Stib.*)

***Galapa.*** ბავშვი ტირის ღამით, ძინავს დღისით.

***Lycopodium.*** ბავშვი დღისით ტირის, ღამით ძინავს. თავი განვითარებული აქვს, მუცელი დიდი, ხელ–ფეხი კი სუსტი. ძალიან ბრაზდება, თუ გააღვიძებენ. მშობლებს იცილებს ხელისკვრით.

***Natrium muriaticum.*** ბავშვი იწონის ნორმაზე ნაკლებს, მორცხვია. არაფერი არ უნდა. როდესაც აწყნარებენ, ბრაზდება. თმების ზრდის მოსაზღვრე არეში დამახასიათებელია გამონაყარი. შეკრულობა. გამხდარი კისერი.

***Phosphorus.*** ბავშვს ეშინია ქარიშხლის და სიმარტოვის. სკოლის შემდეგ ტკივა თავი. გონებრივი დატვირთვისას სიმპტომები ძლიერდება. ძვლების ზრდა შეჩერებულია. სისხლნაკლებობა. სისხლის შედედების უნარი დაქვეითებულია.

***Rheum.*** კოლიკა,ფაღარათი.

***Sambucus.*** ბავშვი ვერ წოვს გაჭედილი ცხვირის გამო. სურდო. ღამით ასთმა, ბავშვი ლურჯდება. იღვიძებს ძლიერ გაოფლილი.

***Sarsaparilla.*** კანის ქრონიკული გამონაყარი. სკროფულოზი, რძის ფუფხი. გამონაყარი ძლიერ ქავანაა. ბავშვი გამხდარია, გამოფიტული.

***Silicea.*** ბავშვი მცივანაა, გამოფიტული, დიდი მუცლით და გამხდარი კიდურებით.

***Stramonium.*** ბავშვი ბალიშიდან უეცრად წევს თავს. ღამე ახასიათებს წამოყვირება, ძილი მოუსვენარი. ბორძიკით ლაპარაკობს. ეშინია სიბნელის და მარტოობის.

***Sulfur.*** სკროფულოზი, ლიმფური ჯირკვლების შესიება. ძირითადი საშუალებაა რძის ფუფხის სამკურნალოდ (აგრეთვე ***Calc.carb.***)

***Zincum metallicum.*** ფსიქოპათიური ბავშვები. ბავშვი თავით ეძრობა ბალიშზე. იქნევს ფეხებს, თავს მოუსვენრად ატრიალებს გვერდიდან გვერდზე.

## *სამკურნალწამლო საშუალებათა აღწერა*

### *Acidum benzoicum* – აციდუმ ბენზოიკუმ (ბენზოის მჟავა)

ავადმყოფს აქვს მუქი შარდი, რაოდენობა მცირე. სუნი– ცხენის შარდის მსგავსი. ავადმყოფი ძლიერ ოფლიანობს ღამით, განცდის ძლიერ ტკივილებს სახსრებში. სახსრები შეხებით არიან ცხელი, წითელი ფერის. გულისცემის შეგრძნება ღამით. შესანიშნავად მოქმედებს სახსროვანი რევმატიზმის დროს.

### *Acidum nitricum* – აციდუმ ნიტრიკუმ (აზოტმჟავა)

ავადმყოფები ჩვეულებრივ არიან შურისმაძიებელნი, გაღიზიანებულნი და ჭირვეულნი. ტიპი – გამხდარი, მუქი კანით. კანისა და ლორწოვანის საზღვარზე მუდამ რაღაც აწუხებს. ნახეთქები ტუჩის კუთხესთან, ანუსთან. ძლიერი ტკივილები ნორმალური კუჭის მოქმედების დროსაც კი. აქვს ხიჭვის შერჭობის შეგრძნება და ტკივილი (აგრეთვე *Arg.nitr., Hep.sulf., Silictf, Thuja* ). ყველა გამონაყოფი უსიამო სუნისაა და შეიცავს სისხლს. განსაკუთრებით ყარს შარდი. სხეულსაც უსიამო სუნი აქვს. ნაოფლი ადგილები ხშირად ღიზიანდება. დიზინტერია. ხანგრძლივი ფაღარათი. კარგი საშუალებაა „ბრტყელი" წყლულების დროს. *Merc.cyan* –სთან ერთად გამოიყენება დიფტერიის დროს.

### *Acidum phosphoricum* – აციდუმ ფოსფორიკუმ (ფოსფორმჟავა)

ავადმყოფი ყველაფრის მიმართ ინდიფერენტულია. განცდის ძლიერ სხეულის, გონების და სულისმიერ სისუსტეს. ღამით – უძილობა, დღისით – ძილიანობა. ძალზედ სწრაფი ფიზიკური ზრდა. ძლიერი ოფლიანობა, რომლის შემდეგაც ავადმყოფი არაქათგამოცლილია. უმტკივნეულო, წყლისმაგვარი ფაღარათი მუცელში ძლიერი ყურყურით. ქრონიკული ფაღარათი, რომელსაც თან სისუსტე არ ახლავს. შარდი მღვრიეა. სითბოსაგან მდგომარეობა უმჯობესდება, სიცივისაგან და სქესობრივი აქტისაგან – უარესდება.

## *Aconitum* – აკონიტი (ტოლჭირი)

სასარგებლოა მწვავე ფებრილური დაავადების დასაწყისში ოფლის გამოყოფის დაწყებამდე. მშრალი სიცხის შეგრძნება. მოუსვენრობა და სულიერი აფორიაქება. შემცივნება, სიცხე, რომელსაც თან ახლავს ძლიერი წყურვილის შეგრძნება. მაჯის ცემა სავსე, გაძლიერებულია. კანი გაწითლებულია, მშრალი; ავადმყოფი ამბობს, რომ მალე მოკვდება. რეკომენდირებულია აგრეთვე სახის ნერვის ტკივილის დროს, თუ ეს ტკივილი გამოწვეულია ქარიან ამინდში გაცივების შედეგად. (სასურველია მივიღოთ *Arnica* – სთან ერთად). ოფლის გამოყოფის შემდეგ აკონიტი აღარ შველის, ამიტომ მას არ ვაძლევთ *Belladonna* –სთან ერთად. ვწყვეტთ რა *Aconit* – ის მიღებას, გადავდივართ *Belladonna* – თი მკურნალობაზე.

## *Aesculus Hippocastanum* – ესკულუს ჰიპოკასტანუმ (ცხენის წაბლი)

შეგუბება კარის ვენაში. მუცლის ქვედა ნაწილში სისავსის შეგრძნება.

შეგრძნება. წელის რევმატიული ტკივილი, რომელიც ძლიერდება სკამიდან ადგომის დროს. ჰემოროი, შემაწუხებელი, როგორც დამსხვრეული მინის შეგრძნება სწორ ნაწლავში. საერთოდ კარგად მოქმედებს ვენებზე, ჰემოროი არასოდეს არ არის სისხლმდენი. სამაგიეროდ ძლიერ მტკივნეულია და თან ახლავს ყრუ ტკივილი წელის არეში. ნაჩვენებია ტვინის ვენების თრომბოზის დროს.

## *Aethusa*– ეტუზა (ძაღლის ქინძი)

ძირითადი საშუალებაა იმ პატარა ბავშვთათვის, რომლებიც ალებინებენ რძეს. ბავშვი ალებინებს მომჟავო რძის დიდ რაოდენობას, რის შემდეგაც იღლება და იძინებს. უნიშნავენ მოსწავლეებსაც ყურადღების და სიბეჯითის მოსამატებ–ლად.

## *Agaricus* – აგარიკუსი (შხამა სოკო)

ყბედობა (***Lachesis*** ). ჭირვეულობა. კანი წითელია, ექავება და ეწვის, როგორც მოყინული. კანზე სიცივისა და მსუბუქი ჩხვლეტის შეგრძნება. სახის კუნთების უნებლიე შეკუმშვა, განსაკუთრებით ქუთუთოების. მოყინვა. სიმეტრიული ჩივილები (***Lac.can.***). სიმპტომები მწვავდება სიცივეზე ყოფნის შემდეგ, ალკოჰოლის მიღების შემდეგ და სქესობ–რივი აქტის შემდეგ. უნდა გვეშინოდეს ანტიბიოტიკებზე რეაქციის. რეკომენდირებულია სტუდენტებისათვის ტვინის „გამოკვების“ მიზნით. მოყინვა (***Pulsat.***) მდგომარეობის გაუმჯობესება მშვიდი, ნელი მოძრაობის შემდეგ.

## *Alumina* – ალუმინა (ალუმინის ოქსიდი)

ავადმყოფი გამხდარია, ყველაფრით უკმაყოფილო, შეიგრძნობს სიმშრალეს. განწყობილება დათრგუნულია. სახის, თვალების, პირის, უკანა ტანის სიმშრალე. ავადმყოფს აქვს ცარცის, ნახშირის, ფქვილის, უმი კარტოფილის ჭამის სურვილი. გამონაყოფი უხვია, მწვავე. შეკრულობა ბავშვებში და ფეხმძიმეებში. ნესტოები დაფარულია წყლულებით და ფუფხებით. კიდურების კანკალი. ავადმყოფს აცივნებს. სიმპტომები მწვავდება სიცივეში და კარტოფილისაგან დამზადებული კერძების ჭამის შემდეგ. საუკეთესო საშუალებაა ანუსის ქავილისას, ქრონიკული შეკრულობისას.

## *Ambra grisea* – ამბრა გრიზეა (ვეშაპის ჯირკვლების გამონაყოფი)

სიმპტომები უარესდება, როდესაც ავადმყოფი მათზე ფიქრობს (*Acid. oxal* ) ნაჩვენებია მორცხვი, მფრთხალი ადამიანებისათვის. ავადმყოფს არ შეუძლია სხვისი თანდასწრებით მოშარდვა ან გამოყოფს შარდს მხოლოდ პორციებით. (*Natr. mur.*). სისხლდენა საშვილოსნოდან შეკრულობის ან ხანგრძლივი სეირნობის შემდეგ. კარგი საშუალებაა ნაადრევი სიბერის საწინააღმდეგოდ.

## *Antimonium crudum* – ანტიმონიუმ კრუდუმ (შავი სურმა)

ენა დაფარულია სქელი თეთრი ნადებით. რეაქცია სუსტი, განწყობილება ცუდი, ავადმყოფი ჭამს ბევრს, ჭირვეულობს, ყველაფრით უკმაყოფილოა. თუ ეს ბავშვია – არ უნდა, რომ მას უყურებდნენ ან ეხებოდნენ. შარდვა და კუჭის მოქმედება ერთდროულად ხდება. სიმპტომები უარესდება

როგორც სითბოსაგან, ასევე სიცივისაგან. ტერფებზე – გარქოვანება. საუკეთესო საშუალებაა ნირქოვანი გამონაყარისათვის.

## *Apis mellifica* – აპის მელიფიკა (ფუტკარი)

ფუტკრის ნაკბენზე ადამიანი განიცდის წვას და ჩხვლეტით ტკივილს. ამიტომ უნდა *Apis* გამოვიყენოთ წვის წინააღმდეგ. განსაკუთრებით კარგად მოქმედებს ქალებზე. მედ–მავი მოუსვენრობისა და ფუსფუსის შეგრძნება. ღამით ავადმყოფს ახასიათებს წამოყვირებები *Apis* კარგად მოქმედებს თირკმელებზე. ავადმყოფს საერთოდ არა აქვს წყურვილის შეგრძნება, თუმცა მას წყალმანკი აქვს. საუკეთესო საშუალებაა ანგინის დროს, განსაკუთრებით, თუ შეშუპებით მიმდინარეობს. ავადმყოფის მდგომარეობა უმჯობესდება სიცივეზე, ხოლო სითბოში – უარესდება. *Cantharis*–სთან და *Jodum*–თან ერთად *Apis* კარგად მოქმედებს საკვერცხის კისტის დროს (ასციტი, ენის შეშუპება, ექსუდაციური პლევრიტი). კარგად მოქმედებს უმიზეზო ქვით შეპყრობის ქალებზე. შეუთავსებელია *Rhustox*–თან.

## *Aranea diadema* – არანეა დიადემა (ობობა)

შემცივნება, ცივი კიდურები. სიმპტომები მწვავდება თბილ ამინდში (იხილეთ აგრეთვე *Natr.sulf.*, *Rhustox.*, *Rhododendron*, *Dulcamara* ). ხელები სქელი, შესიებული.

## *Argentum nitricum* – არგენტუმ ნიტრიკუმ (ლაპისი)

ავადმყოფს აქვს მკრთალი, მონაცრისფერო, „მოხუცის“

სახე. ის გამხდარია, მოუსვენარი, ერიდება ხალხის [illegible] (*Lach.*, *Lac can.*) მისთვის დრო მიედინება მეტისმეტად ნელა. ეშინია ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება, ფიქრობს რა, რომ მაინც არაფერი გამოვა. კარგი საშუალებაა ნევროზით დაავადებულთათვის, რომლებსაც აქვს მისწრაფება შაქრისადმი, თუმცა მისი მიღების შემდეგ ხდება ცუდად. საკვების მიღების შემდეგ სიმპტომები მწვავდება. აქვს თავბრუსხვევა, კიდურების კანკალი (*Gelsemium*), ან ეცლება ფეხები, ძლიერი სისუსტე, კანკალი. ქალის სასქესო ორგანოების სიმსივნე. კუჭის კატარი. კუჭის წყლული მკვეთრი, მწვავე ტკივილებით. გაფანტული სკლეროზი.

## *Arnica* – არნიკა (მთის არნიკა)

ძალიან გვეხმარება სივრცესთან ბრძოლაში. კარგად მოქმედებს აგრეთვე ტრავმების დროს, განსაკუთრებით დაქანცულობის დროს, სხეულში ტეხვის შეგრძნების დროს, დაღლილობა, სისუსტე- ურბილესი საწოლიც კი დაფასავით ეჩვენება. ბოყინი ლაყე კვერცხის სუნით. აიროები – ასევე ლაყე კვერცხის სუნით. ყველა გამონაყოფს აქვს სიდამპლის სუნი: ოფლის, განავალის, აირს, კუჭიდან ამონაქარვებს. ცნობიერებადაბინდული მდგომარეობაში – კუჭის უნებლიე მოქმედება და უნებლიე შარდვა. ავადმყოფს ეშინია, რომ მას შეეხებიან ან უბიძგებენ. ბავშვებში – ყივანახველა შეტევის დაწყებამდე ტირილით. თავბრუსხვევა ასაკოვნებში, მაღალი წნევა ყველა ასაკის პირებში. დიდი რაოდენობით პატარა მტკივნეული ფურუნკულები. სიმპტომების გამწვავება დაძაბული გონებრივი და ფიზიკური შრომის შემდეგ, აგრეთვე მაშინ, როცა ავადმყოფს ეხებიან.

მდგომარეობის გაუმჯობესება თბური პროცედურების

ნატარების და ცხელი საკვების მიღების შემდეგ. მიღებაზე ერთი ქალი უჩიოდა ძლიერ თავის ტკივილს და შეგრძნებას რომ დაფაზე ეძინა. მე გამოვუწერე *Arnica D15*. შემდეგ მისვლაზე მან მითხრა, რომ თავის ტკივილი და „დაფის" შეგრძნება უკვალოდ გაქრა. აფთიაქის თანამშრომელი ტვინის შერყევით სამი კვირის განმავლობაში იწვა სტაციონარში და მალულად ღებულობდა *Arnica D6* – ს რამდენიმე კვირის შემდეგ ჩემთან მოვიდა მსუბუქი თავის ტკივილის და გონების დაჩლუნგების შესახებ ჩივილით. არნიკას ორი მიღების შემდეგ *D30* პოტენციით ყველა ჩივილი მოეხსნა.

## *Arsenicum album* – არსენიკუმ ალბუმ (თეთრი დარიშხანი)

ბოშები ცხენის საკვებში ურევენ დარიშხანს, რათა მათ კანი უბზინავდეთ. ავადმყოფს პედანტურობამდე უყვარს წესრიგი. ლაპარაკობს სწრაფად. ღამით აწუხებს ასთმა. ძალიან კარგი საშუალებაა ზაფხულის ფაღარათისათვის, ხორცით მოწამვლისას, გულის ტკივილის დროს (*Angina pectoris*), მოუსვენრობისას და შიშების დროს. ნაჩვენებია აგრეთვე ძლიერი დაღლილობისას და გამოხატული სისუსტისას, აგრეთვე სასიცოცხლო ძალის უეცარი დაცემისას. კარგია აგრეთვე წვის შეგრძნებისას. ავადმყოფს აწუხებს წყურვილი, მაგრამ ერთ ჯერზე სვამს ცოტას. კანი მშრალია, იქერცლება, „იწვის". სიმპტომების გაძლიერების პერიოდულობა. ავადმყოფი ჩივის, რომ „სისხლი უდუღს ძარღვებში". სითბოსაგან მდგომარეობა უმჯობესდება, წვა სუსტდება. სიმპტომები მწვავდებიან შუაღამისას და სიცივისაგან. – თუ როგორი მნიშვნელობა აქვს თითქოსდა უმნიშვნელო სიმპტომს, შემიძლია გაჩვენოთ

შემდეგ მაგალითზე: მე ვმკურნალობდი 70 წლის ქალს, რომელსაც აწუხებდა ძლიერი ხველა და ლორწოვანი ბრონქიტი. მას შემდეგ, რაც მიიღო *Tartarus stib.*, *Jpecac.*, *Conium* და სხვა საშუალებანი, მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა, მხოლოდ დარჩა წამოხველება. ერთხელ პაციენტმა მითხრა, რომ ხველა ეწყება მაშინ, როდესაც დაწვება. მე მას გამოვუწერე *Ars. alb. D12*, და ორი დღის შემდეგ ხველა გაქრა.

## *Aurum* - აურუმ (ოქრო)

იხილეთ „კონსტიტუციონალური საშუალებანი“. ითვლება გამაახალგაზრდავებელ საშუალებად. ავადმყოფის ტიპი: სქელი, მშიშარა მელანქოლიკი კლიმაქტერულ ასაკში. ქალები მუდმივად შეიგრძნობენ თავის საშვილოსნოს. საშვილოსნოს გამკვრივება. ფიქრები თვითმკვლელობაზე (*Natr. sulf.*). შიშის შეგრძნება, უსიამო შეგრძნება მკერდის ძვლის ქვემოთ. მომატებული წნევა. კარგი საშუალებაა საშვილოსნოს მიომატოზის დროს, პროსტატის ჰიპერტროფიის და ძვლის კარიესის დროს.

## *Barium carbonicum* - ბარიუმ კარბონიკუმ (ბარიუმის კარბონატი)

კარგად მოქმედებს როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილ ასაკში. ნაჩვენებია ფიზიკურ ზრდაში ჩამორჩენილი ბავშვებისათვის, შენელებული აღქმის უნარით. დიდი თავი ჩია სხეულზე. პატარა ტანის მოხუცები, სუსტნი სხეულითა და სულით. რეკომენდირებულია კიდურების კანკალის,

თავბრუსხვევის, მოხუცებულობაში მხედველობის დაქვეითებისას. ავადმყოფები არ ენდობიან არც გარშემომყოფებს, არც თავის თავს. ხშირად აქვთ გლანდების ანთება (ამიტომ ზოგჯერ უკეთესი მოქმედება აქვს *Barium muriaticum*-ს). სიმპტომები მწვავდება ნესტიან, ცივ ამინდში. ნაჩვენებია ცხიმგროვების, ჰიპერტონიის, არტერიოსკლეროზის დროს.

## *Belladonna* - ბელადონა

ჰანემანის თანამედროვე და იმ დროისთვის ცნობილი ექიმი, *Hufeland*-ი, ამბობდა, რომ *Belladonna* მოქმედებს მხოლოდ ჭკვიან ადამიანებზე. ავადმყოფს აქვს მაღალი სიცხე, კანი ნამიანი. ბავშვი წყნარად წევს საწოლში, ხშირად გახევებულიც კი. განსაკუთრებით კარგად მოქმედებს ბავშვებზე, რომლებიც ჩვეულებრივ მდგომარეობაში დამჯერნი არიან, ხოლო სიცხიანნი, აუტანელნი ხდებიან. კანი გაწითლებული აქვთ, გუგები გაფართოებული. თავში აქვთ პულსაციის შეგრძნება, თითქოს ურტყამენ ჩაქუჩს. ყელში სიმშრალე. ყლაპვისასზეწოლის შეგრძნება. კანი ნამიანი. ავადმყოფი მიდრეკილია კრუნჩხვებისაკენ.პირში სიმშრალე, სიცხის შეგრძნება, წყლის დალევით ეს შეგრძნებები არ ქრება. ავადმყოფი შეიძლება უეცრად წამოხტეს საწოლიდან, დაიწყოს სიცილი და ლაყბობა. მოუსვენარი ძილი ბავშვებში. მათ ხშირად ძინავთ ნახევრადგახელილი თვალებით, ლაპარაკობენ ძილში (*Apis, Calc, phosph.*). კანი აწითლებულია. (საერთოდ ძირითადი საშუალებაა ქუნთრუშის დროს). კარგად მოქმედებს კრუნჩხვების დროს, განსაკუთრებით იმ ავადმყოფებში, რომლებიც ვერ იტანენ ვერავითარ „სიმძიმეს“ სხეულზე, პერანგსაც კი. სიცხისაგან, განსაკუთრებით კი მზის სხივებისაგან, სიმპტომები მწვავდება. მწვავდება აგრეთვე

სხეულზე მსუბუქი ზეწოლის დროსაც, ხოლო ძლიერ ზეწოლას, პირიქით, ხშირად მდგომარეობის შემსუბუქება მოჰყვება. *Belladonna* არასოდეს არ უნდა მივცეთ *Aconit*-თან ერთად. უნდა მიეცეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დავამთავრებთ *Aconit*-ის მიღებას.

## *Berberis vulgaris* – ბერბერის ვულგარის (კოწახური)

ავადმყოფს აღენიშნება სიმპტომების სწრაფი ცვლა. ტკივილი თირკმლების არეში, რომელიც ძლიერდება მჯდომარე მდგომარეობაში. შარდი მღვრიეა, ნალექით, შეიცავს თვალით შესამჩნევ წვრილ ნაწილაკებს. ბუშტში სიცივის შეგრძნება. ტკივილი წელსა და კიდურებში, რომელიც ძლიერდება სიარულისას და წარმოიშობა შარდ-სასქესო ორგანოებისა და თირკმლის ჩივილებთან ერთად.

## *Bryonia* - ბრიონია (ლეშურა)

ავადმყოფი გაღიზიანებულია, მშიშარა, ვერ იტანს შეპასუხებას. შესანიშნავი საშუალებაა რევმატიზმის საწინააღმდეგოდ. ავადმყოფის მდგომარეობა უარესდება უმცირესი მოძრაობის შემდეგ, აგრეთვე სითბოში, განსაკუთრებით დილით. ტკივილი მცირდება ზეწოლის შედეგად, ავადმყოფ მხარეზე წოლისას, სიმშვიდეში და ნესტიან ამინდში. ავადმყოფს ყველაფერი მშრალი აქვს: ლორწოვანი — განსაკუთრებით პირის ღრუში, ტუჩები, ხველა, განავალი. განწყობილება — გაღიზიანებული. ავადმყოფს აწუხებს ძლიერი ოფლიანობა, მჩხვლეტავი ხასიათის ტკი-

ვილი მკერდში, მუცელში ან მუხლებში. ხველა აქვს მშრალი, მწვავდება თბილ შენობაში შესვლის შემდეგ. ავად-მყოფი განიცდის ძლიერ წყურვილს, მას უნდა დალიოს მეტი რაოდენობით ცივი წყალი. შეკრულობა. პირში სიმჟავის შეგრძნება, სიმწარე. ავადმყოფობის მიზეზი: გაღიზიანება რამეზე ან ვინმეზე. კუნთები დაჭიმულია და მტკივნეული.

## *Cactus grandiflorus* - კაქტუს გრანდიფლორუს

საგულე საშუალებაა. ნაჩვენებია გულის არესა და მკერდ-ში ზეწოლის შეგრძნების დროს („თითქოს თოკებით გაუ-კოჭავთ"). ძლიერი ჩხვლეტა გულის არეში. სისხლდენა გულით ავადმყოფებში. საერთოდ ზეწოლის შეგრძნების დროს სხეულისათვის უმნიშვნელოვანეს ორგანოებზე, გან-საკუთრებით გულზე. გამწვავება ღამით. ავადმყოფს არ შეუძლია ჭამა, თუ წყალი არ დააყოლა.

## *Calcium carbonicum* - კალციუმ კარბონიუმი (ჰანემანის)

ბავშვებში კალციუმის ცვლის დარღვევას თან სდევს რაქიტის განვითარებაც. ითვლება, რომ კალციუმი ჰომეოპათიური დოზებით მოქმედებს ძირითადად კალციუმის ცვლის ცენტრებზე. ჩვენება: პასტოზური, შეშუპებული, ფერმკრთალი, ინერტული, ზარმაცი ადამიანი. ყველაფერი მოდუნებული აქვთ. დამახასიათებელია დეპრესია. კანი ცივი, მოშვებული. ფეხები ცივი. ავადმყოფი ვერ იტანს სიცივეს, განსაკუთრებით კი ცივ ჰაერს. ქალებს მენსტრუ-აციის დაწყების წინ აქვთ გონების დაკარგვის შიში. ამონა-

ქარვი მჟავეა, სხეულს აქვს მომჟავო სუნი. ფაღარათისას განავალი მომჟავოა. ახასიათებთ თავის ოფლიანობა, განსა–კუთრებით დიდთავიან ბავშვებს. აქვთ გაბერილი სხეული (ბაყაყისებური მუცელი). კბილების ამოჭრა დაგვიანებულია. ავადმყოფი არ სვამს რძეს, სამაგიეროდ უყვარს კვერცხი. ოდნავი დატვირთვის დროსაც კი ოფლიანობს. რძის ფუფხი. კანის დაავადებანი, რომელთა სიმპტომებიც უარესდებიან ცივი წყლისაგან. ყბისქვეშა და საზარდულის ლიმფური ჯირკვლების შესიება (*Conium, Barium*).

ქალებში: მენსტრუაცია მეტად ნაადრევი, მეტად ძლიერი, მეტად ხანგრძლივია. ავადმყოფის მდგომარეობა უარესდება ცივ ამინდში, სავსე მთვარის დროს. კარგი საშუალებაა გადაღლის დროს.

## *Calcium fluoratum* - კალციუმ ფლუორატუმ
## (კალციუმის ფტორიდი)

ავადმყოფი ფულის გულისათვის ყველაფრისთვის მზადაა. სიხარბის ჰიპერმობილურობა. ნაჩვენებია დაბერებისას ან და ნაადრევი სიბერის ნიშნებისას. ხშირად უნდება ჯიბ–ლიბო. ჰემოროი, ვენების ვარიკოზული გაგანიერება, ვენე–ბის ანთება, განსაკუთრებით ქრონიკული. კბილების კარიე–სი. მგრძნობიარობა ნესტიანი, ნისლიანი ამინდისადმი და ელექტრული ველებისადმი. ავადმყოფი ყოველგვარი მორი–დების გარეშე ყვება ინტიმური წვრილმანების შესახებ. (განსხვავებით *Phosphor* - ტიპისაგან, რომელსაც გახდაც ერცხვინება).

## *Calcium phosphoricum* - კალციუმ ფოსფორიკუმ
## (კალციუმის ფოსფატი)

ცოცხალი დაუდეგრომელი, მკალიწვრილი ბავშვები, რომელთაც ცოტათი ადრიათ აღიზრდა: ყველაფერს ხელს სტაცებენ, ძვრებიან მაგიდის ქვეშა უჯრაში. ადვილად იღლებიან სულიერად და ფიზიკურად. ხერხემალი აქვთ სუსტი. თუ კი ბავშვს აქვს მისწრაფება შაშხის ჯამისაკენ, მიეცით მას შაშხი და კალციუმ ფოსფორიკუმი. სკოლის შემდეგ ბავშვებს ტკივათ თავი. ეს იმითაა გამოწვეული, რომ სისუსტის მიუხედავად, ისინი ჭკვიანები და პატივმოყვარენი არიან. აქედან გამომდინარეობს შეუფერე–ბელი დატვირთვა სუსტ თავზე.

ბავშვები არიან გამხდრები, ავადმყოფური შესახედა–ობის სწორლში მოკუნტული წვანან. რევმატიზმი თავს იჩენს ამინდის ცვალებადობისას. ერთ–ერთი საუკეთესო საშუალებაა ცხვირ–ხახაში ადენოიდური წარმონაქმნების სამკურნალოდ.

## *Cantharis* - ქანთარის (შპანკა)

ამ ნივთიერებას ღებულობენ ერთ–ერთი რუსული ხოჭოსაგან. შესანიშნავი საშუალებაა შარდის ბუშტის ანთების დროს. ავადმყოფი შეწუხებულია, შარდვისას გრძნობს მწვავე მჭრელი ხასიათის ტკივილს. შარდი გამოიყოფა ხშირად, მცირე პორციებით, ზოგჯერ თან ახლავს სისხლი. ავადმყოფი ჩვეულებრივ შეიგრძნობს ძლიერ წყურვილს. კანის გამონაყარი ბუშტუკოვანი ტიპისაა. სქესობრივი ლტოლვა დაუოკებელი სწრაფვის სახეს იღებს (***Platina, Murex***). კარგად მოქმედებს პლევრიტის დროს. ძილის დროს ავადმყოფის მდგომარეობა უმჯობესდება. ერთხელ გამომიძახეს სკოლის 78 წლის ჭაღარა მასწავლებელთან. მას ჰქონდა ხშირი მოშარდვის მოთხოვნილება, მაგრამ გამოდიოდა მხოლოდ რამოდენიმე სისხლიანი წვეთი.

ამასთან ერთად ის უჩიოდა მწვავე ტკივილს საშარდე გზებში. მე დავუნიშნე *Cantharis D6* ყოველ საათში მისაღებად. შემდგომ ღამით მე კვლავ სასწრაფოდ გამოიძახეს მასთან. მას დაეწყო მწვავე ტკივილი შარდის ბუშტის არეში. ეგონა, რომ კვდებოდა. მე დავაწყნარე და შევუწყვიტე პრეპარატის მიცემა. შემდეგ დღეს პაციენტს ტკივილი ჩაუცხრა, ხოლო კიდევ ერთი დღის შემდეგ ჯანმრთელი იყო. წამალი დანიშნული იყო სწორად, მხოლოდ პოტენცია აღმოჩნდა ზედმეტად ძლიერი.

## *Carbo vegetabilis* - კარბო ვეგეტაბილის
## (წიფლის ნახშირი)

სისუსტე, ავადმყოფი იმყოფება თავისი სასიცოცხლო ძალების გამოფიტვის ზღვარზე. კანი აქვს ცივი, სუნთქვა ცივი, სახის ფერი მოლურჯო. ავადმყოფს არ ყოფნის ჰაერი. ის თხოულობს, გაალონ ყველა ფანჯარა. კანი, განსაკუთრებით წვივებზე, ცივია. შინაგან ორგანოებში მწველი ტკივილი, „თითქოს ნახშირი იწვის". წყლულის მწვავე ტკივილი. კარგად მოქმედებს მოხუცებზე, რომლებსაც აქვთ ცივი ქვემო კიდურები. იხმარება აგრეთვე, როგორც დამატებითი საშუალება სიმსივნისაგან გამოწვეული ტკივილების დროს.

## *Carduus marianus* - კარდუუს მარიანუს
## (ნარშავი)

კარგი საშუალებაა ღვიძლის დაავადებების დროს. განსაკუთრებით ნაჩვენებია სრული, პიკნიური ტიპის ადამიანებისათვის. შეკრულობა, მომწარო გემო პირში. ღვიძლი გადიდებული, განსაკუთრებით ალკოჰოლიკებს. კარის ვენა

გადავსებულია, შეშუპებული. ჰემოროი, რომელიც იწვევს წვას და ქავილს. კარგად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე, განსაკუთრებით ვენურ სისტემაზე. სიყვითლე ყრუ თავის ტკივილით (*D3 - D6*). შაკიკი ქალებში, რომლებთაც აქვთ უხვი მენსტრუალური გამონადენი და ღვიძლით ავადმყოფებში. კარის ვენის შეშუპების დროს კარგია აგრეთვე *Aescul., Nux vom., Sulfur.*

## *Causticum* - კაუსტიკუმი

ავადმყოფს ეშინია მოახლოებული უბედურების, სიბნელის. კარგი საშუალებაა ქალებში საშარდე ბუშტის სისუსტის დროს, როდესაც შარდი მცირე პორციებით უნებლიეთ გამოიყოფა ხველის, სიცილის დროს.

ზემოქმედებას ახდენს ხველებაზეც, საშარდე ბუშტზეც. ნაჩვენებია ხველის დროს, რომელსაც თან ახლავს სასუნთქ გზებში წვა. საერთო სისუსტე. დამბლა, განსაკუთრებით ინსულტის შემდგომი. სახის კანი უსუფთაო. სახეზე მეჭეჭები. ხმის ჩახლეჩა, რომელიც ძლიერდება დილით. შეკრულობა. კუჭის მოქმედება შესაძლებელია მხოლოდ ფეხზე დგომის დროს. რევმატიზმი. ყბების გახევება. მწვავე ტკივილები. მყესების და-ჭიმვა მაგ: დიუპიუიტრინის კონტრაქტურის დროს. მშრა-ლი სიცივისაგან სიმპტომები მწვავდება. სითბოში მდგომარეობა უმჯობესდება.

## *Ceanothus americanus* - ხეანოტუს

ნაჩვენებია ელენთის შესიების დროს (*Ferrum*), ღვიძლის შესიების დროს და მალარიის შემდგომ.

ერთი შვიდი წლის ყმაწვილი საავადმყოფოში ჩათ-

ვალიეს უიმედო ავადმყოფად და გაწყრეს სახლში. ელენთა ძლიერ ჰქონდა გადიდებული. მე დავუნიშნე *Ceanothus D6.* ორი თვის შემდგომ პაციენტი თითქმის ჯანმრთელი იყო.

## *Chamomilla* - ხამომილა (გვირილა)

ესაა საშუალება მხოლოდ და მხოლოდ ქალებისა და ბავშვებისათვის. საუკეთესო საშუალებაა ჩვილბავშვთა ნებისმიერი ჩივილის დროს. გადაჭარბებული ჩივილები და ტკივილი. მოუსვენრობა, ჭირვეულობა გაღიზიანებადობა. ერთი ლოყა გაწითლებული აქვს, მეორე კი მკრთალი. ბავშვი გამუდმებით ითხოვს რაღაცას, ხოლო მიიღებს რა – ისვრის შორს. ყვირის უმიზეზოდ. კრუნჩხვა. მომწვანო ფერის განავალი ლორწოთი და მუცლის არეში ტკივილით. განავალი მოგვაგონებს დაკეპილ კვერცხს. ყურის ტკივილი ბავშვებში. კბილების ამოჭრის პერიოდი. სითბოში მდგომარეობა უარესდება. სიცივეს არ მოაქვს შვება. სიმპტომები მწვავდება საღამოთი და ღამით.

ბავშვის მდგომარეობა უმჯობესდება, თუ კი ხელში აიყვანენ. ხამომილას ზემოქმედება ხანმოკლეა, ამიტომ ის უნდა მიეცეს დროის ხანმოკლე შუალედების შემდეგ.

## *Chelidonium* - ხელიდონიუმ (ქრისტესისხლა)

საუკეთესო საშუალებაა გასტრიტის დროს. ზემოქმედებას ახდენს ღვიძლსა და ნაღვლის ბუშტზე. ტკივილი მარჯვენა ბეჭის ქვედა ნაწილში. სახის ფერი მკრთალი ყვითელი. ენა დაფარულია მოყვითალო ფერის ნადებით, კიდეებში წითელია, კბილების ნაჭდევით (*Merc.*,

პირში მომწარო გემო (*Natr. sulf., China, Nux vomica, Bryon.*). კუჭის დისფუნქცია. შეკრულობა და ფაღარათი, რომლებიც ერთმანეთს ცვლიან. გუნება-განწყობა უმჯობესდება საკვების მიღების, განსაკუთრებით ცხელი საკვების მიღების შემდეგ.

## *China* - ხინა (ქინაქინის ხე)

ავადმყოფი სიტყვაძვირია, ჯიუტი, სხვების აზრის ანგარიშს არ უწევს. სისუსტე მნიშვნელოვანი რაოდენობით სისხლის ან სითხის დაკარგვის შემდეგ, სისხლნაკლულობა. ოფლიანობა უმცირესი მოძრაობის დროს. მუცლის გადავ-სების შეგრძნება,განსაკუთრებით მის ზედანა წელში. ავადმყოფს აქვს სურვილი მხოლოდ ჩამოჯდომის ან წამო-წოლის. შეტევების გამეორება ყოველ ორ-სამ დღეში. ჩივილები მეტეორიზმზე, აირები ძლიერ უსიამო სუნით, განავალში – საკვების გადაუმუშავებელი ნაწილები. ბეჭებს შორის სისუსტის შეგრძნება. ოდნავი შეხებაც კი მტკივნეული ეჩვენება, ხოლო ძლიერი ზეწოლა – სამკურ-ნალო. ავადმყოფის გუნება-განწყობა უარესდება შეხებით და ცივი ჰაერით. შესანიშნავი საშუალებაა ელენთის, ღვიძლის და ნაღვლის ბუშტის მუშაობის ქრონიკული დარღვევების დროს.

## *Cimicifuga* - ციმიციფუგა

ჩამრგვალებული ქალი პრეკლიმაქსურ ასაკში. მხდალი. აწუხებს რევმატიზმი. პერიოდულად იპყრობს სევდა. ლაქლაქაა (*Lachesis, Paris*). ეს სპეციფიური ქალური საშუალებაა. განსაკუთრებით კარგად მოქმედებს საშვილოსნოზე, რევმატიზმზე. ყველა სიმპტომი მწვავდება

მენსტრუაციის დაწყების წინ, შემდგომ სუსტდება. მშობიარობის შემდგომი მანია. რევმატიზმი თითების სახსრებში. კლიმაქსის დადგომასთან ერთად – ტკივილი სარძევე ჯირკვლებში. შვებას იძლევა მშობიარობისას, ისევე, როგორც *Pulsatilla* ან *Caulophyllum.*

## *Cocculus* - კოკულუს

ავადმყოფი გონებადაფანტულია, აზროვნება ნელია. ვერ იტანს შეპასუხებას. სიცარიელის შეგრძნება თავსა და კუჭში. თავბრუსხვევა ღებინებით, განსაკუთრებით დილით. უძილო ღამის შედეგები. თავის ტკივილი, რომელიც გადაეცემა კისერში და კეფაზე. ტრანსპორტით მგზავრობის აუტანლობა, მაგალითად, ავტომობილით მგზავრობა. ხელები ღამით შეჰდება, სივდება. *Bar. jodat.* -სთან ერთად ითვლება თავბრუსხვევის საწინააღმდეგო კარგ საშუალებად. ნაჩვენებია ღამის ცვლაში მომუშავე მედ. დებისათვის.

## *Coccus cacti* - კოკუს კაქტი

სადებავი, რომელიც ამ მწერისაგან მიიღება, ადრე გამოიყენებოდა სხვადასხვა კერძებისათვის ფერის მისაცემად. ნაჩვე-ნებია ყივანახველის დროს, როდესაც შეტევები ძლიერდება შუაღამის შემდეგ. ხველის შეტევები მთავრდება ღებინებით წებოვანი, მინისმაგვარი ლორწოთი, რომელიც ტუჩის კუთხეებიდან გადმოედინება თხელი ძაფების სახით. განსაკუთრებით ყივანახველას ბოლოსტადიაში. ჰანემანის თანამედროვე და პარაცელსის მიმდევარი, *Rademacher,* თვლიდა ამ საშუალებას ძირითადად თირკმელების დაავადების დროს.

## *Colocynthis* - კოლოცინტის (მწარე კვახი)

ავადმყოფი გაღიზიანებულია, ბრაზობს წვრილმანების გამო. კოლიკა, რომელიც ქრება მოხრილ მდგომარეობაში ან ავადმყოფ ადგილას ზეწოლის დროს. ფაღარათი კოლიკით. სახის ნევრალგია, იშიაზი. *Rus tox.*-თან და *Gnaphalium*-თან ერთად შეადგენს ტრიადას იშიაზის სამკურნალოდ. მეოთხე საშუალებად ითვლება *Nux vom.*, რომელიც ნაჩვენებია შეკრულობის თანდართვის დროს. კარგი საშუალებაა ბავშვებში ჭიპის კოლიკის დროს.

## *Conium* - კონიუმ (კონიო)

ავადმყოფი ბუზღუნაა, არაფრით არ ინტერესდება, დეპრესიაშია. კარგი საშუალებაა გასათხოვარი ქალებისა და უცოლო მამაკაცებისათვის. მოხუცებულების ხველა. ჯირკვლების გამკვრივება, მათ შორის მკერდის, განსაკუთრებით თუ ეს მდგომარეობა გამოწვეულია ბიძგით ან ზეწოლით. ხველა მშრალი, ძლიერდება მწოლიარე მდგომარეობაში; თავბრუსხვევა, რომელიც ძლიერდება მწოლიარე მდგომარეობაში ან საწოლში გვერდის ცვლისას. გამკვრივება ან ჩაზრდა შემაერთებელი და ჯირ–კვლოვანი ქსოვილის, ხშირად ცრუ სიმსივნის შეგრძნებით. პროსტატის ადენომა. სისუსტე, კუნთების კანკალი.

## *Cuprum* - კუპრუმ (სპილენძი)

ავადმყოფი შეპყრობილია იდეა–ფიქსით, ამ საშუალებას ძალიან აფასებდა პარაცელსი. კარგად გვეხმარება კრუნჩხვებისა და სპაზმების დროს. წვივის კუნთების კრუნჩხვა, ეპილეფსიური, ურემიული გულყრა. სპაზმოფილია.

ნაჩვენებიააგრეთვე ყივანახველას დროს, როდესაც სხეული ხვდება და სახე ლურჯდება. კრუნჩხვისას ცერი მუჭშია მომწყვდეული. სიმპტომები მწვავდება ღამით და სუფთა ჰაერზე.

## *Drosera rotundifolia* - დროზერა როტუნდიფოლია (ცვრიანა)

ცხვრები, რომლებიც ჭამენ ცვრიანას, ხშირად ავადმყოფობენ სპაზმური ხველით. ჩვენება: სპაზმური ხველა, ტკივილი მკერდის ძვლის არეში, ავადმყოფი მუდმივად იდებს ხელს მკერდზე. ხველა ძლიერდება შუაღამის შემდეგ. ხველა ღრმაა. ხველის შემდეგ ხშირია ღებინებაც. ყივანახველა, რომლის დროსაც ბავშვები ტკივილისაგან ხელს იჭერენ მკერდზე. დროზერა თავის დროზე დაგვეხმარა აღგვეკვეთა ბევრი ეპიდემია.

## *Dulcamara* - დულკამარა (ძაღლყურძენა)

ზაფხულის ფაღარათი. სიმპტომები მწვავდება ფეხების გაცივების, ცივი სასმელების მიღების შემდეგ, ნესტისაგან, ცივ სკამზე ჯდომის შემდეგ.

განსაკუთრებით ნაჩვენებია ქალებისათვის, რომელთაც ცივ ადგილზე ჯდომის შემდეგ უმწვავდებათ საშარდე ბუშტის ანთება, რევმატიზმი ან ფაღარათი. შარდს უდის უსიამო სუნი. ენას ვერ ატრიალებს. ლაპარაკისას ეს სიმპტომები მწვავდება. ნესტიან ამინდში გაცივება იწვევს ავადმყოფურ ღებინებას ან ფაღარათს.

## *Ferrum phosphoricum* - ფერუმ ფოსფორიკუმ (რკინის ფოსფატი)

ნაჩვენებია იმ ავადმყოფთათვის, რომელთაც მოთმინება არ შეუძლიათ. ესაა მინერალური ცვლილების საწინააღმდეგო საშუალება. იხმარება ანთებისას, რომელიც მიმდინარეობს მუქი სიწითლით, ე.ი. სისხლის შეგუბებით. იხმარება სისხლდენის საწინააღმდეგოდ. იხმარება მხრის რევმატიზმის დროს, განსაკუთრებით მარჯვენა მხარის მიმდინარე დაზიანებისას. პულსი სავსეა, რბილი. თვითშეგრძნება უარესდება გადახურების შემდეგ, ცივი დუშისა და მოძრაობის შემდეგ. სისხლდენა მკვეთრი ალისფერი სისხლით, რომელიც დედდება კოლოიდისმაგვარ მასად. ღებინება საკვების ნაწილაკებით. კანი სწრაფად წითლდება და სწრაფადვე ფითრდება.

## *Gelsemium* - გელზემიუმ (ჟასმინი)

ავადმყოფს აქვს ძლიერი დაღლილობის და მოთენთვის შეგრძნება. კუნთთა ატონია. დამბლა, თავბრუსხვევა. კარგი საშუალებაა კიდურების კანკალის დროს. კარგი საშუალებაა გრიპის დროს. ზედა ქუთუთოები დამძიმებუ–ლია, ფვალები – ნახევრად დახუჭული. თავის ტკივილი, რომელიც სარტყლისებურად ვრცელდება თხემიდან შუბლამდე და რომლის ინტენსივობაც მცირდება მოშარ–დვის შემდეგ. ავადმყოფს ეჩვენება, რომ გული უჩერდება. გამოიყენება *Kal. phosph.* - თან ერთად დიფტერიის შემდგომი დამბლის სამკურნალოდ. კარგად გვეხმარება ბავშვთა დამბლის დროს და ხელის მტევნების სპაზმის დროს.

## *Graphites* - გრაფიტის (გრაფიტი)

ნაჩვენებია მსუქანი ქალებისათვის. ჩვენებანი: ჰიპოთირეოზი

სიმსუქნე, სიზარმაცე, შეკრულობა, მსუნაგობა, ლაყბობა. არაიშვიათად აღენიშნება გამონაყარი კანზე, საიდანაც გამოიყოფა წებოვანი, თაფლის მაგვარი სითხე, შემდეგომში წარმოიქმნება ფუფხები. განსაკუთრებით ყურების უკან, ანუსის ირგვლივ, სახსრების მომხრელ ზედაპირზე, თვალების ირგვლივ. ფრჩხილები მყიფეა. მენსტრუაცია სუსტი. ატონიური შეკრულობა. ქალებში – მიდრეკილება უხასიათობისაკენ, ყოყმანისაკენ. ყველაფერი ხდება შენელებულად, სიყვარულიც კი.

## *Hepar sulfur* - ჰეპარ სულფურ

ჭირვეულობა, გაღიზიანებადობა, ბუზღუნი, სკანდალური ხასიათი. ბავშვობის ასაკში აწვალებს ძმას (დას) და სკოლის ამხანაგებს. სახის ფერი მოყვითალო, თვალების ირგვლივ – მოლურჯო წრე. ნებისმიერი ჭრილობა ჩირქდება. *Hepar sulfur* დაბალ დოზებში აჩქარებს დაჩირქებას, მაღალი პოტენციით (ე.ი. მინიმალური კონცენტრაციით)–აღკვეთს ან ასუსტებს მას. სიმპტომები მწვავდებიან შეხებით, ცივი ქარით და მშრალი ამინდით. ავადმყოფი განიცდის ტკივილს უმცირესი შეხების შემდეგ. მას აწუხებს ასთმა, მდგომარეობა უმჯობესდება ნესტიან ამინდში. მას სურს შეჭამოს რაიმე მჟავე. აქვს მშრალი ხველა, განსაკუთრებით დილით.

ერთ ავადმყოფს, სხვა ჩივილებთან, ერთად ჰქონდა ხველის ძლიერი შეტევა, რომელიც წარმოიშობოდა მაშინვე, როგორც კი ავადმყოფი საბნიდან ხელებს ამოყოფდა. ვინაიდან სიცივეში მისი სიმპტომები მწვავდებოდა, მე მას მივეცი *Hepar sulfur D12*, ხველამ გაიარა მეორე დღესვე.

## *Hydrastis* – ჰიდრასტი (ძირყვითელა)

ავადმყოფი მავნებლური ხასიათით. კარგად მოქმედებს ლორწოვან გარსზე. ლორწო არის ყვითელი ფერის, წებოვანი. ავადმყოფს აწუხებს ტკივილი მუცლის არეში, ძლიერი სისუსტე. შარდში – წებოვანი ლორწო. საშოდან გამონადენი არის ყვითელი, წებოვანი, მწვავე. საშვილოსნოს ყელის ეროზია. სინუსიტი, სურდო, ბრონქიტი მოხუცებულობაში.

## *Ignatia* – იგნაცია

ნაჩვენებია ადამიანებისათვის, რომელთაც აქვთ რაიმე გაუმხელელი მწუხარება დიდი ხნის განმავლობაში. აქვთ ყელზე ლუკმის დადგომის შეგრძნება, ვერ იტანენ თამბაქოს სუნს და ხმაურს. განსაკუთრებით ქალებში – ცალმხრივი თავის ტკივილი, თავში ჩაჭედილი ლურსმანის შეგრძნება, რომელსაც თან ახლავს გულისრევა და ღებინება. ცალი ლოყის გაწითლება. ნაჩვენებია სულის გამწარების და დაბნეულობის შეგრძნების დროს. აგრეთვე ბავშვებში სწორი ნაწლავის გამოვარდნის დროს.

## *Ipecacuanha* – იპეკაკუანა

ძირითადი საშუალებაა ღებინების დროს. სისხლდენა ალისფერი სისხლით. გულის წასვლა სისხლის დანახვისას. მსუბუქი ხიხინი, სტვენა გულმკერდის არეში, ზოგჯერ ამოხველება. ბრონქიტი გულისრევით. კაპილარული ბრონქიტი პატარა ბავშვებში. განავალი ლორწოვანია, ხშირად სისხლით. ასთმა, განსაკუთრებით პროფესიონალური. ენა თითქმის ყოველთვის სუფთაა და წითელი. ხშირად გვეხ–

მარება ხიხინისა და ოპიუმის ბოროტად გამოყენების შემ–თხვევაში.

## *Iris versicolor* – ირის ვერზიკოლორ (ზამბახი)

კარგი საშუალებაა მსუბუქი შაკიკის დროს. საერთოდ კარგად მოქმედებს შაკიკის დროს და თავის მარცხენამხრივი ტკივილების დროს. ნაჩვენებია აგრეთვე ყელში წვის შეგრძნების, ღებინების, გულისრევის დროს. თავის ტკივილს თან ახლავს მჟავე, იშვიათად მოტკბო გემოს მქონე ღებინება.

## *Kalium bichromicum* – კალიუმ ბიხრომიკუმ

რევმატიზმი, მონაცვლეობითი ტკივილებით კუჭში, კარგი საშუალებაა ლორწოვანი გარსისათვის. ლორწო წებოვანია, ბლანტი ან მომწვანო – მოყვითალო ფერისაა, ცუდად გამოიყოფა. ღრმა „ამოტვიფრული“ წყლული. მშვენიერი საშუალებაა კუჭის წყლულისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის დროს. მჩხვლეტავი ტკივილი მკაფიო ლოკალიზაციით, რომელიც წარმოიშობა და ქრება უეცრად: ცხვირში ფუფხები. ავადმყოფს სურს ლუდი, მაგრამ მისი დალევის შემდეგ კუჭში ტკივილი ძლიერდება. საშვილოსნოს ყელის ეროზია.

## *Kalium carbonicum* – კალიუმ კარბონიკუმ (კალიუმის კარბონატი)

ავადმყოფს ეშინია კანზე შეხების. ყველაფრით უკმაყოფილოა. კანი მკრთალი. კონსტიტუცია ჰიდროგენულია. ჰაბიტუსი პასტოზური, მკერდი შეშუპებული. მოხეტიალე

მჩხვლეტავი ტკივილი. ოფლიანობა, ტკივილი ზურგში. ზედა ქუთუთოებზე გამოსახულია „ტომრები", ცხვირთან ახლოს. კარგად მოქმედებს გულისა და საშვილოსნოზე, ნაჩვენებია თვითნებური აბორტის დროს. სიმპტომები მწვავდება ღამით, პირველისა და სამ საათს შორის. ამ პერიოდში ავადმყოფი ჩვეულებრივ იღვიძებს. ავადმყოფი ვარდება დეპრესიაში, ადვილად აღგზნებადია (იგივე ვრცელდება ყველა კალიუმის პრეპარატზე).

## *Kalium phosphoricum* – კალიუმ ფოსფორიკუმ (კალიუმის ფოსფატი)

ავადმყოფს არ უყვარს წვეულებებში ყოფნა. ვარდება დეპრესიაში, მტირალაა, ნევროზული. მეხსიერების დაქვეითება. მძიმე დაავადებათა შედეგები. ღია სივრცის შიში. საერთოდ შიშის შეგრძნება, ნერვული სისტემის ფუნქციონირების დარღვევა. საერთო სისუსტე (ნებისმიერი კალიუმის მარილი). სამუშაო, რომელიც საჭიროა შესრულდეს ერთი დღის განმავლობაში, ავადმყოფს უზარმაზარ ტვირთად ეჩვენება. ძირითადი საშუალებაა ნევროტიკებისათვის.

## *Kreosotum* - კრეოზოტუმ (ტყის წიფელი)

მარაზმული შესახედაობა. სისუსტე, სიგამხდრე. გამონაყოფები სუნიანი, მწვავე, ზოგჯერ სისხლნარევი. ღრძილები დაავადებულია. შარდი გამოიყოფა მხოლოდ მწოლიარე მდგომარეობაში. სიმპტომები მწვავდება სიცივესა და სიმშვიდეში. კარგად აწყნარებს ძლიერ ტკივილებს კუჭის სიმსივნის დროს. კარგი საშუალებაა საშოდან სუნიანი, სისხლიანი გამონადენის დროს. ამ დროს ხშირად

ზიანდება კანი. გვეხმარება აგრეთვე ცერის ართროზული დეფორმაციისას.

## *Lachesis* - ლახეზის (გველი კუფია)

შესანიშნავი საშუალებაა, განსაკუთრებით მაშინ, თუ მკაფიოდაა გამოხატული ძირითადი სიმპტომები. ავადმყოფი იძინებს, და მისი მდგომარეობა უარესდება. მოქმედებს მთლიანად სხეულის მარცხენა ნაწილზე. ავადმყოფი ლაქლაქაა, აზროვნებს სწრაფად. ვერ იტანს ყელზე ზეწოლას. ნესტიან თბილ ამინდში სიმპტომები მწვავდება. მზეზე თავის ტკივილი ძლიერდება. ჰიპერემია გარდატეხის ასაკში. სეპტიური დაავადებები. გამონაყოფს აქვს ლპობითი სუნი. ნაჩვენებია ემბოლიის დროს. რეკომენდირებულია მიეცეს ვარიკოზით დაავადებულ პაციენტებს ოპერაციის წინ, რათა თავიდან ავიცილოთ ემბოლია. ტკივილი ყელის არეში, კისერში მარცხენა მხარეს.

*Sepia* - სთან ერთად ძირითადი საშუალებაა გარდატეხის ასაკში, კლიმაქტერიული მოვლენებისას და ა.შ. ერთხელ მე ვმკურნალობდი 80 წლის მოხუცს, რომელსაც ყოველ ნახევარ საათში ეწყებოდა მსუბუქი ემბოლია. *Lachesis D30* ხუთი ბურთულის მიღების შემდეგ ყოველ საათს უმჯობესდებოდა მისი მდგომარეობა.

## *Lilium tigrinum* - ლილიუმ ტიგრინუმ (ვეფხვის შროშანი)

*Pulsatilla* - ს ტიპის ადამიანების ერთი წყება. სექსუალურად ორიენტირებული ქცევა. „დაწვის“ შეგრძნება. ავადმყოფს ეჩვენება, რომ საშვილოსნო სადაცაა ჩამოვარდება საშოდან (*Sepia*). გამონაყოფი თხევადია, მწვავე-

ტკივილი გულის არეში – ზეწოლის, სიმძიმის, ჩხვლეტის შეგრძნება. გულზე ჩივილის შერწყმა „დაწვის" შეგრძნებასთან (ნახეთ *Cimicifuga*-რევმატიზმსა და საშვილოსნოზე ჩივილის შერწყმა). თვითშეგრძნების გაუმჯობესება სუფთა ჰაერზე. გაუარესება ღამით და სითბოში.

## *Lycopodium* - ლიკოპოდიუმი

ჩივილი ღვიძლის გამო, სიმძიმის შეგრძნება ჭამის შემდეგ. ტყუილი ქინთვები. შარდში მოწითალო ნალექი. ავადმყოფს არ სწამს საკუთარი ძალების. ერცხვინება ლაპარაკი (*Gelsemium, Strophanth*). თვლის რომ ყველაფერში მართალია. ერთი ფეხი (ჩვეულებრივ მარჯვენა) ცივია, მეორე – თბილია. მომატებული მჟავიანობა.
*Licopodium*-ი კარგად ეხმარება იმ ადამიანებს, რომლებთაც აქვთ ჩივილი მეტეორიზმის გამო, ხოლო აირები უსუნოა. მუდმივად განიცდიან შიმშილის გრძნობას. სახე მოყვითალოა, გამხდარი, დანაოჭებული. განწყობილება მელანქოლიური, დათრგუნული. განსაკუთრებით კარგად მოქმედებს გამჭრიახი გონების და სუსტი კუნთების ადამიანებზე, ბავშვებსა და მოხუცებულებზე. მდგომარეობის გაუარესება 16–დან 20 საათამდე, გადაძაბვისას, სითბოში, კომბოსტოსა და ცერცვის ჭამის შემდეგ, აგრეთვე შემოტმასნილი კაბის ჩაცმისას, გადამეტებული კვებისას და ცივი საკვების მიღების დროს. მდგომარეობის გაუმჯობესება მოშარდვისას, თბილი სასმელების დალევისას.

## *Magnesium carbonicum* - მაგნეზიუმ კარბონიკუმ

ძირითადი საშუალებაა კატარაქტისა და პროსტატის გადიდებისას. ნაჩვენებია მოუსვენარი, გონებრივად და

ფიზიკურად ჩამორჩენილი ბავშვებისათვის. მუდმივი შემცივნება. ავადმყოფი ფეთქებადია, აგრესიული, ძალიან აქტიური, მაგრამ მხდალი. იოლად ვარდება დეპრესიაში. ფაღარათი მომწვანო ფერის, ხშირად ქაფით და უსიამო სუნით. გულისრევის შეგრძნება დილით. მარჯვენა გვერდზე წოლისას ტკივილი ღვიძლის არეში (იხ. *Mercur.*). სიმპტომები მწვავდება სიცივეში, ცხიმიანი საკვების მიღებისას (აგრეთვე *Pulsatilla* და *Carbo vegetabilis*). თვითშეგრძნების გაუმჯობესება წინ და უკან სიარულის დროს. ჩივილები ახლდება ყოველ სამ კვირაში.

## *Magnesium phosphoricum* -
## მაგნეზიუმ ფოსფორიკუმ

კარგად გვეხმარება ნებისმიერი ტკივილისას, განსაკუთრებით კრუნჩხვითი ტკივილების დროს. კოლიკა ქვებით გამოწვეული. ხელის მტევნების სპაზმი (წერის დროს). მენსტრუალური კოლიკა. ნაჩვენებია პატარა ბავშვებში მეტეორიზმისა და კოლიკის დროს (*Chamomilla, Colocynthis*). განწყობა უმჯობესდება სითბოში და ზეწოლის შემდეგ.

## *Mercurius solubilis* - მერკურიუს სოლუბილის (ვერცხლისწყლის ნაერთი)

ავადმყოფი დეპრესიაშია, თავს დაღლილად გრძნობს. ძირითადი საშუალებაა ყბაყურის დროს. ტიპი: ქერა, ლიმფატიკური. განსაკუთრებით კარგად მოქმედებს პირის ღრუსა და ჯირკვლებზე. ღრძილები შეშუპებულია, ფაშარი მსუბუქად სისხლმდენი. ენა შესიებული, მასზე ჩანს კბილების ნაჭდევები, რაც განპირობებულია საჭმლის მონელების

დარღვეული გამო. პირიდან უსიამოვნო სუნი. ძლიერი ნერწყვდენა. პირის ღრუში ლითონის გემო, სპილენძის-მაგვარი (თუ შეიგრძნობა თითბერისმაგვარი გემო, საჭიროა მივიღოთ *Iris.*). ძლიერი ოფლიანობა ღამით, რომელსაც შვება არ მოაქვს. ოფლი ცხიმიანია, მოყვითალო, ცუდი სუნის. სიმპტომების გამწვავება ღამით, განსაკუთრებით ლოგინის სითბოსა და მარჯვენა გვერდზე წოლისას. ფაღარათი ხშირი ჭინთვით. განავალი თხიერია, სისხლით და უხვი ლორწოთი.

*Mercurius* არ შეიძლება მივიღოთ *Silicea* - სთან ერთად. სხვა ვერცხლისწყლის პრეპარატებს ახასიათებთ მსგავსი მოქმედება. მაგრამ არის განსხვავებაც. მაგ, *Merc. jod.* უნდა მივიღოთ შუა ყურის ანთების დროს, ხოლო *Merc. sulf.* (=*cinnabaris*) - შუბლის წიაღის დაზიანების დროს. *Merc. cianatus* ინიშნება დიფტერიის დროს.

### *Moschus* - მოშუს

გულის წასვლა. მიდრეკილება გულის წასვლისადმი. მომატებული სექსუალური აღგზნებადობა. დაუკმაყოფილებლობა. უხვი მენსტრუაცია. სპაზმური სიცილი და ტირილი. ბავშვებში სახმო იოგების სპაზმი (იხ. *Spongia*).

### *Natrium muriaticum* - ნატრიუმ მურიატიკუმ (სუფრის მარილი)

შესანიშნავი მაგალითია ალოპათიური საყლიეს ჰომეოპათიურ პავლედ გარდაქმნისა. პირის ღრუში სიმშრალის შეგრძნება. ავადმყოფი უქეიფოდაა, ნებისმიერი დაწყნარება მას კიდევ მეტად თრგუნავს. მომავლის შიში. ავადმყოფს უნდა მარილი. ძლიერი წყურვილი. პურისადმი ზიზღი.

გამოსატული სიგამხდრე, განსაკუთრებით კისრის და მკერდის, კარგი მადის მიუხედავად. გამონადენი დია ფერი— საა, გამჭვირვალე. საშოდან გამონადენი მწვავეა, ტოვებს კანის დაზიანებას. ავადმყოფს არ შეუძლია სხვისი თანდასწრებით მოშარდვა. შეკრულობა მყარი, მშრალი განავალით. ტკივილი ზურგში, რომელიც სუსტდება, თუ ავადმყოფი მიეყრდნობა მაგარ საგანს. თმისა და კანის საზღვარზე გამონაყარი. თმის ცვენა. ზიზღი გონებრივი შრომისადმი. განწყობა უარესდება დილის 9 საათიდან 11-მდე. ოფლის გამოყოფას მოაქვს შვება.

## *Natrium sulfuricum* - ნატრიუმ სულფურიკუმ (ნატრიუმის სულფატი)

ზემოქმედებს ორგანიზმში წყლის ცვლაზე. ავადმყოფის თვითშეგრძნება უარესდება ტენიან ამინდში, საერთოდ ნესტისაგან. კარგი საშუალებაა ღვიძლისათვის. პირში მომწარო გემო. ტკივილი, რომელიც მოიცავს მკერდის მარცხენა ნაწილს. ფაღარათი ღვიძლში ტკივილით, რომელიც ძლიერდება ნესტიან ამინდში. თვითშეგრძნების გაუმჯობესება თბილ, მშრალ ამინდში. კარგი საშუალებაა ასთმის სამკურნალოდ ბავშვებში. ორსულთა ღებინება ***(Sepia)***. შარდმჟავა დიათეზი.

## *Nux moschata* - ნუქს მოშატა (ჯავზი)

ავადმყოფი საშინლად უხასიათოდაა. დაღლილობის გამო თითის განძრევაც კი უძნელდება. პირის სიმშრალე. წყურვილის შეგრძნება არა აქვს. საკვების მიღების შემდეგ მუცელი ებერება. ავადმყოფს აწუხებს აირები ბოყინი. ცივ ნესტიან ამინდში გუნება გამოუკეთდება, ავადმყოფს

უჩნდება ძლიერი მოთხოვნილება, შეიძლება წაუვიდეს გული.

## *Nux vomica* - ნუქს ვომიკა (ქუჩულა)

გონებრივი შრომისადმი ზიზღი. იხ. თავი „კონსტიტუციონალური საშუალებანი“. განწყობილება ძალიან გაღიზიანებული. ესაა დაორგუნული მოხელე, მჯდომარე ცხოვრების წესის მქონე, რომელიც დაღლილია გაღვიძებისთანავე. საკვების მიღების შემდეგ ტკივილი მუცლის არეში, რომელიც ყველა მიმართულებით ვრცელდება. შეკრულობა ტყუილი ჭინთვებით. ავადმყოფი ეტანება ალკოჰოლს, ყავას და თამბაქოს (განსაკუთრებით ნაბახუსევს), თუმცა ეს ნივთიერებანი მასზე ცუდად მოქმედებენ. ჰემოროი. ჩვილ ბავშვებში პილოროსტენოზი. ინიშნება ნარკოტიკული ნივთიერებების და ალოპათიური მედიკამენტების ბოროტადგამოყენების შემთხვევაში, როგორც ანტიდოტი. ავადმყოფის გუნება-განწყობა უარესდება დილაობით და საკვების მიღების შემდეგ. განწყობილება უმჯობესდება ბოყინის შემდეგ, სიმშვიდეში, შენობაში.

## *Phosphorus* - ფოსფორი

ტიპი: მაღალი, გამხდარი ადამიანები, რომლებსაც უყვართ მსჯელობა მაღალ მატერიაზე. ზუსტად ასეთ ადამიანებს უწოდა პროფ. *Stiegele*-მ „ნევრასთენიკები“. მათ არა აქვთ ძალა, რათა მშვიდად იყვნენ ან დაისვენონ. მუდმივად აქვთ ჭამის სურვილი, განსაკუთრებით ღამით. მათ უხურთ ზურგი ბეჭებს შორის, უხურთ ხელები, საერთოდ ყველაფერი უხურთ. მათ ეშინიათ მარტოობის და სიბნელის. მომატებული სქესობრივი ლტოლვა, რომელსაც თან ახლავს სქესობრივი სისუსტე. ოფლიანობა დაძინებისას.

პატარა ჭრილობები ძლიერ სისხლმდენია. ღრძილები სისხლმდენია. ფაღარათი გახანგრძლივებული, მაგრამ უმტკივნეულო. ნაწყენებია ხერხემლის გამრუდების დროსაც. ავადმყოფის განწყობა უარესდება, როდესაც მარცხენა გვერდზე წევს. გაუმჯობესება სიბნელესა და სითბოში. ზიზღი ანალოგიური რძისადმი. სასარგებლო საშუალებაა ბავშვებში სიყვითლის დროს.

## *Platinum metallicum* - პლატინუმ მეტალიკუმ

საუკეთესო საშუალებაა მაღალი ჩინის ხელმძღვანელის პირადი მდივნებისათვის. ეგოიზმი, ქედმაღლობა, თავის თავზე დიდი წარმოდგენა. დაუოკებელი ლტოლვა, გამოხატული როგორც კაცებში, ისევე ქალებში. სასქესო ორგანოების ქავილი, მენსტრუალური გამონადენი უხვი. ზოგჯერ უჩნდებათ საკუთარი შვილის მოკვლის სურვილი. (ამ საშუალებას წარმატებით აძლევენ დედა – ღორებს, რათა არ შეჭამონ საკუთარი გოჭები). სასქესო ორგანოებთან შეხება იწვევს მათ კრუნჩხვით შეკუმშვას. ყველა საგანი ავადმყოფს უფრო პატარა ეჩვენება, ვიდრე ისინი არიან სინამდვილეში.

ჩემთან მოვიდა 35 წლის ქერა ქალი. თავი დედოფა–ლივით ეჭირა, უჩიოდა საშოს ქავილს და უხვ მენსტრუა–ლურ გამონადენს. მკურნალობის დაწყებიდან ნახევარი წლის შემდეგ ისევ მოვიდა მიღებაზე, ოღონდ სხვა მი–ზეზით. მენსტრუაცია უკვე ნორმალურად მიმდინარეობდა, ქავილმა დიდი ხანია გაუარა, და საერთოდ, თავს გაცილე–ბით უკეთ გრძნობდა. არც ქედმაღლურად საუბრობდა. თავიდან მას დავუნიშნე მკურნალობა *Platina* $D_{30}$ 5 წვეთი დღეგამოშვებით. მიღების წინ საჭირო იყო შენჯღრევა.

## *Plumbum* - პლუმბუმ (ტყვია)

გარკვეული ჯგუფის კუნთების ატროფია. სისხლძარღვოვანი სპაზმები. სპასტიური კოლიტი. დამბლა. მუცელი შევარდნილი, – ან ავადმყოფს ეჩვენება, რომ თოკებით შეუწიეს. საერთოდ შეკრულობა. თირკმელების ანთება, შეჭმუხნული თირკმელი, მომატებული სისხლის წნევა სახის სიფერმკრთალის ფონზე. არტერიოსკლეროზი. ტკივილი ჭიპის მარჯვნივ. ერთხელ მე ვმკურნალობდი ერთ უცხოელს ამ უკანასკნელი სიმპტომით შეწუხებულს. ის რამოდენიმე თვის განმავლობაში დადიოდა ექიმებთან ჩივილით, რომ ტკიოდა ჭიპის მარჯვნივ. მე გამოუწერე მას *Plumbum D15* მხოლოდ ერთი მიღება, და მას ყველა ჩივილმა გაუარა.

## *Pulsatilla* - პულსატილა (მედგარი)

სიცივის მოყვარულია, სითბოში ცუდად ხდება. ჩვეულებრივ – მტირალა, ცისფერთვალება ქალწულია ფერმკრთალი სახით და ღია ფერის, ზოგჯერ წითური თმებით. ძალიან ქალურია, დამთმობი, გულკეთილი. სიმპტომები ცვალე–ბადი. მიდრეკილება კატარისადმი. ყველგან აგვიანებს, მათ შორის პაემანზეც. მენსტრუაციაც კი შეფერხებით აქვს. გამონაყოფი აქვს სქელი, რბილი. სურდოს დროს ცხვირიდან გამონადენი თხიერია, საშოდან გამონაყოფიც ასევე. ხილის ჭამას მოყვება ფაღარათი – ღვიძლში ჩხვლე–ტის შეგრძნება. მტკივნეული ვარიკოზული ვენები. ნაწვე–ნებია მოყინვის დროს. ფეხების დასველება იწვევს მენსტრუაციის შესუსტებას, საერთოდ მენსტრუაცია სუსტია, ავადმყოფური, შეფერხებითი. ყნოსვის და გემოვნების დაქვეითება. გოგონებში ღამით შარდის შეუკავებლობა

გემოვნების დაქვეითება. გოგონებში ღამით შარდის შეუკავებლობა. კარგად მოქმედებს კუჭზე. განსაკუთრებით ცხიმიანი საკვების მიღების შემდგომში ტკივილის დროს. ცხიმისადმი ზიზღი. ავადმყოფი ხშირად ტირის, განსაკუთრებით დღესასწაულებზე და გამგზავრებისას. განწყობა უარესდება სითბოში, თბილ შენობაში, ცხიმიანი საკვების მიღების შემდეგ, საერთოდ სიცივისაგან და ქუჩაში. მშვენიერი საშუალებაა ფეხმძიმობის დროს, იძლევა შვებას მშობიარობის დროს (*Caulophyllum* - თან ერთად). ძირითადი საშუალებაა წითელას დროს.

## *Psorinum* - ფსორინუმ (სათანადო ნოზოდი)

უიმედობის, სასოწარკვეთის შეგრძნება. ავადმყოფს მუდმივად ცივა. ამ ტიპს მიეკუთვნებიან ქალები, რომლებიც იმის მიუხედავად, რომ აცვიათ თბილად, ცივათ ზაფხულშიც კი. უოფლიანდებათ ხელები, გამონაყარი კანზე ძლიერი ქავილით. ავადმყოფები თავს თვლიან მძიმე და განუკურნებელ ავადმყოფად. ოფლის აქვს ძლიერ უსიამო სუნი. ნაჩვენებია აგრეთვე მძიმე ავადმყოფობის შემდგომი სისუსტის დროს (*D200*). სიმპტომების გამწვავების წინ აღინიშნება დროებითი გაუმჯობესება. ზამთრის პერიოდში სიმპტომები მწვავდება.

## *Pyrogenium* - პიროგენიუმ

კბილის ძვალი ანთების, დაჩირქების დროს – *D30* ერთ მიღებაზე. გამეორება არაა საჭირო!

## *Rhus toxicodendron* - რუს ტოქსიკოდენდრონი (შხამა–თუთუბო)

ავადმყოფის განწყობა უარესდება სიმშვიდეში, მოძრაობის დაწყებისას, ნესტიან ამინდში. გაუმჯობესებას ადგილი აქვს მოძრაობის გაგრძელებისას, თუ წყნარი ტემპისაა, აგრეთვე სითბოში. გამონაყარი კანზე, ბუშტუკები, ქავილი, კანის გაწითლება. ფაღარათი ლორწოთი, ზოგჯერ სისხლ-ნარევი. ავადმყოფი მოუსვენრადაა, წრიალებს საწოლში, ხელ–ფეხი უსივდება. მთელი სხეული დაჟეჟილივით აქვს. ენის წვერი წითელი აქვს. მშვენიერი საშუალებაა რევმატიზმის დროს. გაციების შედეგები, განსაკუთრებით თუ გაციება გამოწვეულია სხეულის დასველებით, ფიზიკური გადაძაბვა, სიმძიმეების აწევა. საუკეთესო საშუალებაა შორ მანძილზე ფეხით მოსიარულეთათვის. ***Rhus tox***-ს არ აძლევენ *Apis*-თან ერთად.

## *Sanguinaria* - სანგვინარია

შაკიკი – მარჯვენა თვალის ზემოთ ტკივილი. მარჯვენა ხელის რევმატიზმი, რომელიც ღამით მწვავდება. ტკივილი მკერდის მარჯვნივ. საერთოდ ეს საშუალება კარგად მოქმედებს მარჯვენა მხარეზე. ლორწოვანი მშრალი. სახე წითელი, განსაკუთრებით კლიმაქსის პერიოდში. წვა მკერდში, ხელისა და ფეხის გულებში.

## *Sepia* - სეპია (მელანთევზი)

სითბოს მოყვარული, სიცივის მიმართ მგრძნობიარე ტიპი. ესაა ახირებული, იოლად აღიგზნებადი, ეგოისტი ქალი –

ური სიტყვით, ქსანტიპა. ზიზღი ოჯახის საქმისა და ოჯახისადმი. ჰიპერემია კლიმაქტერიულ ასაკში. შაკიკი. ფრიგიდულობა. საშო „იწვის სიცხისგან“. ციკლის დარღვევა, მენსტრუაცია საერთოდ სუსტია. ცხვირი მშრალი (აგრეთვე *Natri muriaticum* ). საშვილოსნოს დაწევა. შეგრძნება, რომ ყველაფერი „ეშვება“. კანი პირის ირგვლივ და ცხვირის ფუძესთან მოყვითალო ყავისფერისაა. ავადმყოფი დილაობით მოთენთილი, საღამოს კი გახალისებულია. გამონადენი მძაფრია, ყვითელი. ეს კარგი საშუალებაა მრეცხავი ქალებისათვის. მდგომარეობა უმჯობესდება სითბოში და მოძრაობისას, აგრეთვე ცეკვის დროს. გაუარესება – ცივ ჰაერზე, რეცხვის დროს, ფეხზე დგომისას, ბევრ ადამიანებს შორის.

შემთხვევა: გამომიძახა 35 წლის მომსუქნო ქალბატონმა, რომელსაც არ შეეძლო არაფრის ყიდვა, ვინაიდან ეშინოდა ადამიანთა თავშეყრის ადგილების. ის აღარ ზრუნავდა თავის ქმარზე, არც თავის წლინახევრის გოგონა აინტერესებდა. ეს უკანასკნელი ძალიან უსუფთაოდ და მოუვლელად გამოიყურებოდა. მე მივეცი *Sepia D12* დღეში ორჯერ. ორი კვირის შემდეგ ცოლ–ქმარს შევხვდი ქალაქში. მათ უკან მოჩანდა სუფთა საბავშვო ეტლი, რომელშიც ძალიან სუფთად ჩაცმული ბავშვი იჯდა. ორივე გასხივოსნებული იყო, – მეც აგრეთვე.

## *Silicea* - სილიცეა

(მთის ბროლიდან მიღებული კაჟბადის მჟავა)

მფრთხალი, მხდალი, მგრძნობიარე, უმოქმედო, წარუმატებლობის შიში. მგრძნობიარე სიცივის მიმართ. სულ ცივა, იყინება, იფუთნავს თავს, იოლად ცივდება. სკამი ხშირად უკან უსრიალდება. თავის ტკივილი ეწყება კეფ–

დან და გაღვიძების წინ. ფეხის აუტანელი ოფლიანობა. თავის ოფლიანობა. ნუშისებრი ჯირკვლის დაჩირქების შემთხვევაში ამოკვეთა ყოველთვის არ არის საჭირო. ფისტულები, მათ შორის ანალური ფისტულებიც. ძვლების დაჩირქება. შუა ყურის ქრონიკული დაჩირქება. საერთოდ – დაჩირქების დროს (*Hep.sulf*-ის შემდეგ). ეფექტურია კელოიდების გამწოვად (*Graphit, Badiaga*). გამოაქვს უცხო სხეულები, მაგ: ჭურვის ნამსხვრევები. მდგომარეობა უარესდება სიცივესა და სიცხეში. უმჯობესდება სითბოში. *Silicea* ვერ ეთავსება *Mercur.*-ს.

## *Spongia tosta* - სპონგია ტოსტა (დამწვარი ზღვის ღრუბელი)

ხველა მშრალია, ღრმა, თითქოს და ხრუტუნით. აგრეთვე კრუპოზული ხველა. ძლიერდება სიმღერისა და ლაპარაკისას. ავადმყოფი შუაღამისას იღვიძებს შეგრძნებით, თითქოს ახრჩობენ. კარგი საშუალებაა ჩიყვის დროს, თუ ჩიყვი იწვევს ხუთვის შეგრძნებას, და თუკი შეგრძნება ძილის შემდეგომ არ იხსნება. *Spongia* შეიცავს იოდს. სათესლის შესიება, სიმსივნე. ჯირკვლების გამკვრივება.

## *Stannum metallicum* - სტანნუმ მეტალიკუმ (კალა)

ავადმყოფი დეპრესიით არის შეპყრობილი, არ უყვარს ხალხში ყოფნა. არ უყვარს, როცა ამშვიდებენ. სახე მკრთალი აქვს, თვალები ჩაცვენილი, სახის ნაკვთები წაწვეტებული. ძლიერად გამოხატული სხეულისა და სულის სისუსტე. ნახველი მოტკბო გემოსია. ავადმყოფი გულმკერდში გრძნობს სისუსტეს, ისე, რომ ძლივს ლაპარაკობს.

სიმპტომები ძლიერდება ან სუსტდება თანდათანობით, აქვს შეგრძნება, რომ შეიძლება გამოვარდეს სწორი ნაწლავი ან საშო. ბრონქიტი და ართრიტი ერთმანეთს ენაცვლებიან.

## *Staphysagria* - სტაფიზაგრია

გვეხმარება წუხილის დროს, რომელიც გამოწვეულია რაიმე უსამართლობით ან მისი შეურაცხყოფით. კბილები შავია, კარიესული, მტკივანი. ტკივილი შარდის ბუშტში შარდვისას და მის შემდეგომ. სქესობრივი სისუსტე მომატებული ლტოლვის ფონზე (აგრეთვე *Phosphor* ).

## *Stramonium* - სტრამონიუმ (ლემა)

ძირითადი საშუალებაა ჰალუცინაციების დროს. ნაჩვენებია ბავშვებისათვის, რომლებსაც ახასიათებთ ღამით წამოყვირება. ენაბლუობა. ბოდვა ყვირილით, სიმღერით, ლანძღვით, სიცილით. რელიგიური მანია. გადაჭარბებული ლაქლაქი. წყლის, და საერთოდ, ყველაფერი თხევადის შიში. სიბნელის შიში. ერთ ბავშვს, რომელიც ყვირილით იღვიძებდა ყოველ ღამით, მე დავუნიშნე *Stramonium D30* 4 ბურთულა, ღამით მისაღებად სამ-ოთხი დღის განმავლობაში. ორი კვირის შემდეგომ მოვიდა შეშფოთებული დედა და თქვა, რომ ბავშვი აღარ ყვირის ღამით, მაგრამ ამჟამად ლაპარაკობს ენის ბორძიკით. მე მას ვუთხარი, რომ წამალს აძლევდა ხანგრძლივად. რამაც გამოიწვია კიდევ ენა-ბლუობა. ბავშვს შეუწყდა *Stramonium*-ის მიცემა; ენა-ბლუობამ გაუარა სამი კვირის შემდეგ.

## *Sulfur* - სულფურ (გოგირდი)

იხილეთ თავი „კონსტიტუციონალური საშუალებანი". კანის ქავილი და წვა. მოქავება იწვევს ქავილის შემსუბუქე–ბას და იწვევს წვას. სიცხის შეგრძნება. ავადმყოფს აქვს „წვის" შეგრძნება ტერფებში, ამიტომ ყოფს მას გარეთ საბნიდან. ავადმყოფს ძინავს გორგალივით მოკუნტულს. გამოიყენება როგორც სათადარიგო საშუალება, როდესაც შესაფერისი (იდეით) საშუალება არ გვეხმარება. განწყობი–ლება უარესდება ღამით, თბილ საწოლში და ხანგრძლივი დგომისას. მდგომარეობა უარესდება აგრეთვე ბანაობისას. გაუმჯობესება წინ და უკან ნელი სიარულისას.

## *Tabacum* - ტაბაკუმ (თამბაქო)

თავის ტკივილი ძლიერი ღებინებით. კიდურების კანკალი, თავბრუსხვევა. ცივი ოფლი (*Veratrum album*). გულისცემის შეგრძნება. ღებინება ყურებში ხმაურით და თავბრუსხვევით. მდგომარეობის გაუმჯობესება სუფთა ჰაერზე. ესაა სურათი, რომელიც წააგავს პირველად მოწეული სიგარეტით მოწამვლას. გამოცდილი საშუალებაა გულის ასაკობრივი ცვლილებების დროს, გულის არეში მოჭერითი ხასიათის ტკივილების დროს.

## *Tartarus stibiatus* - ტარტარუს სტიბიატუს (იგივე: *Antimonium tartaricum, Tartarus emeticus*)

ბრონქიტი ლორწოს უხვი გამოყოფით და ხიხინით, განსაკუთრებით თუ ლორწოს მოცილება გაძნელებულია. ენაზე სქელი ნადები. გულისრევა, სუნთქვისას ჩხვლეტის შეგრძნება. ოფლიანობა. *Barium carb*-თან ერთად არც

თუ იშვიათად უნარჩუნებს სიცოცხლეს იმ ბავშვებს და მოხუცებს, რომლებიც იხრჩობიან ლორწოს გამოყოფით. ძირითადი საშუალებაა ჩირქოვანი გამონაყარის და ჩუტყვავილას დროს.

## *Thuja* - ტუია

ტიპი: მსუქანი პაციენტი კანზე გამონაყარით, განსაკუთრებით სამოსით დაფარულ ადგილებზე. მუსიკა ხდის სენტიმენტალურ პიროვნებად. თავის თავს თვლის მინასავით მყიფედ. მეჭეჭები, პოლიპები, კონდილომები. ინიშნება ყვავილის აცრის შემდეგ (რომ არ მოყვეს ნეგატიური რეაქცია). ოფლიანობა ღამით სხეულის სამოსით დაუფარავი ნაწილის. ოფლის გამოყოფას მოაქვს შვება (განსხვავებით *Mercur*-ის ტიპის ავადმყოფებისაგან). სხეული გამოსცემს უსიამოვნო სუნს. კანი ცხიმიანია, ავადმყოფს ეჩვენება, რომ სხეულის შიგნით რაღაც მოძრაობს, დაცოცავს. ფრჩხილები მტვრევადია. ღამით თავის ტკივილი. სასქესო ორგანოების ოფლიანობა. განწყობილება უარესდება საღამოს და ღამით, აგრეთვე ნესტიან, ცივ ამინდში.

## *Terebentina* - ტერებენტინა (სკიპიდარი)

შარდის შეკავება. მოშარდვის განუწყვეტელი სურვილი, შარდი სისხლნარევი. საუკეთესო საშუალებაა ნევრიტის დროს. ენიშნება მოხუც მამაკაცებს, რომლებსაც აწუხებთ წინამდებარე ჯირკვლის გადიდება, *Sabal serrulata* და *Magnesium*-თან ერთად.

## *Veratrum album* - ვერატრუმ ალბუმ (თეთრი შხამა)

ნაჩვენებია სექსუალური და რელიგიური ხასიათის მანიაკალური მდგომარეობის დროს, ფსიქიური დარღვევებისას და ამენორეის დროს. ავადმყოფს აქვს სურვილი დახეთოს ტანსაცმელი, ავადმყოფს აქვს უიმედობის შეგრძნება. კანი ცივი, მოლურჯო. შუბლზე – ცივი ოფლი. ძლიერი სისუსტე. კოლაფსი. ქალებში – გულის წასვლა მენსტრუაციის დაწყების წინ. კუჭის აშლა. ფაღარათი ღებინებით. სახის სიფერმკრთალე. წვივების კრუნჩხვითი შეკუმშვები. სიმპტომები მწვავდება ცივი სასმელისა და სასმელისაგან, ნესტიან, ცივ ამინდში და ლოგინში გათბობის შემდეგ.

1950 წლის შემოდგომით გამომიძახეს ჩემს ერთ 76 წლის ავადმყოფთან, რომელსაც 12 საათის შემდეგ ჰქონდა ძლიერი ფაღარათი, კუჭის მოქმედებებს შორის ინტერვალი არ აღემატებოდა რამოდენიმე წუთს. იმდენად შეცვლილი იყო, რომ ძლივს ვიცანი. ცხვირი, ხელები ჰქონდა ცივი, ხმა სუსტი. მასთან მყოფმა მედდამ აღნიშნა, რომ მას შუბლზე ასხავდა ცივი ოფლი. მე მას მივეცი ერთი მიღება *Veratrum album D6*. ათი წუთის შემდეგ პაციენტი პირდაპირ გამოცოცხლდა, როდესაც მეორეჯერ მოვინახულე, ის უკვე ბოსტანში მუშაობდა.

## *Vipera Berus* - ვიპერა ბერუს (გველი)

ნაჩვენებია ემბოლიის, ვენების ვარიკოზული გაგანიერების დროს. ავადმყოფს აქვს შეგრძნება, თითქოს მისი ვენები სადაცაა გასკდებიან. შესანიშნავი საშუალებაა ქრონიკული ფლებიტის დროს.

ალქიმიკოსები მას უწოდებენ „მინერალურ ოპიუმს". ნაჩვენებია ნერვული სისუსტის დროს. კანკალი კიდურებში, ძლიერი მოუსვენრობა ფეხებში. უძილობა. ბავშვი კრთება ძილში ან თავს მოუსვენრად ატრიალებს აქეთ-იქით. ღვინო მნიშვნელოვნად აუარესებს მდგომარეობას.

1950 წლის გრიპის დამარცხება შესაძლებელი გახდა *Zn*-ის მეშვეობით. პაციენტებს კეფაში ტკივილი ეხსნებოდათ *Zn D30* დოზით ორ-სამჯერ მიღების შემდეგ. *Zn*-ის გამოყენების იდეა გაჩნდა მას შემდეგ, რაც რამდენიმე პაციენტმა დაიჩივლა, რომ ვერაფრით ვერ აჩერებენ საწოლში ფეხის კუნთების კრთომას.

# ჰომეოპათია სხვადასხვა შემთხვევისათვის

მოცემულ თავში გადმოცემული რჩევები არ უნდა გაიგოთ სიტყვა-სიტყვით. მაგალითად: თუ ბავშვს ატკივ-და ყელი, დედამ მას მაშინვე არ უნდა მისცეს ყველა წამალი, რომელიც ჩამოთვლილია პუნქტში „ყელი“. ეს ჩამონათვალი უნდა გაიგოთ შემდეგნაირად: თუ გტკივა ყელი, პირველ რიგში უნდა წაიკითხოთ ყურადღებით, თუ რა არის დაწერილი აპისის, ბელადონის და მერკურიუს სოლუბილის შესახებ და მათგან შეირჩეს ამ შემთხვევი-სათვის შესაფერისი.

## ნუ გამოიყენებთ ყველაფერს, რაც შესაძლებელია და ნუ გადადებთ ექიმთან ვიზიტს !

ქვემოთ შემოთავაზებული განსაკუთრებით გავრცე-ლებული ჩივილების ჩამონათვალი და ჰომეოპათიური საშუალებების რეკომენდირება ძირფესვიანად ეწინააღმდე-გება ჰომეოპათიის ძირითად პრინციპებს იმიტომ, რომ წამლები საერთოდ უნდა დაინიშნოს ყველა სიმპტომის გათვალისწინებით, აქ კი წამლები რეკომენდირებულია მხოლოდ ერთი - ერთადერთი პრინციპით ან კიდევ უბრალოდ ავადმყოფობის დასახელებით. თუ მე მაინც გადავწყვიტე შემექმნა ასეთი სია, მხოლოდ ზემოთ მოყვანილი გაფრთხილებების გათვალისწინებით, და კიდევ იმად, რომ პირველი დახმარების გაწევისათვის საჭიროა უბრალო და მარტივი რჩევები.

აირები: *Carbo veg., Lycopodium*
ატროფია კუნთების: *Plumb.*
გამოყვლევა ბავშვებში: *Sulf.*
გაცივება ყოველი თმის შეჭრის შემდეგ: *Belladonna*
გაცივება მშრალი ცივი ქარისაგან: *Aconit, Caustic.*
გაცივება ნესტიან ამინდში: *Rhus tox.*
დამბლა: *Caustic., Gelsemium, Arg. nitr.*
დამბლა ენის: *Dulcam., Caust.*
დაჟეჟილობა: *Arnica.*
დიფტერია: *Merc. cyan., Acid. nitr.*
დიფტერიის აცრაზე რეაქცია: *Apis.*
დაჭიმვა: *Rhus tox.*
პირის ღრუს ლორწოვანის ეროზია: *Acid. nitr., Borax, Hep. sulf.*
ეჭვიანობა: *Apis, Jgnatia, Hyoscyamus.*
ვენების ანთება: *Lachesis, Carbo veg.,Calc. fluor, Vipera ber.*
ზღვის ავადმყოფობა: *Cocculus. Petroleum.*
თავბრუსხვევა: *Cocculus.*
თირკმელების ანთება: *Terebenth., Apis, Merc. corr.*
ისტერიული ტირილი: *Ignatia, Moschus.*
იშიაზი: *Rhus tox., Gnaphalium, Colocynth.*
კანზე გამონაყარი: *Sulf., Graphit., Rhus tox., Ars. album.*
კისტა სათესლის: *Apis, Jodum.*
კუჭ–ტკივილი ცივი სასმელის მიღების შემდეგ: *Ars. alb.*
მენსტრუაციული ციკლის დარღვევა: *Pulsatilla, Aristolochia, Nux moschata.*
მეჭეჭები: *Thuja, Causticum, Acidum nitricum.*
მორცხვობა,გაუბედაობა: *Ambragr., Arg.nitr.*
მოუსვენრობა: *Aconitum, Rhus tox., Ars. album.*

~~მუცელი-ტკივილი ცხიმიანი საკვების მიღების შემდეგ: *Pulsatilla.*~~

მუცელი-ტკივილი: *Colocynthis, Nux vom., Pulsatilla.*

მშობიარობა: *Pulsatilla, Caulophyllum* (მშობიარობამდე)

მწერის ნაკბენი: *Ledum, apis.*

ნაბახუსევის სინდრომი: *Nux vomica.*

ნახეთქები ანუსზე: *Acid. nitr., Graph., Alum.*

ოფლიანობა თავის: *Calc.carb. Silicea.*

რადიკულიტი: *Rhus tox., Bryonia, Acid. from.*

რეაქცია ყვავილით აცრაზე: *Acid. nitr., Thuja.*

რევმატიზმი სახსროვანი: *Acid. benz., Bryonia.*

რქოვანას გამკვრივება: *Ant. crudum.*

საშვილოსნოს დაწევა: *Sepia, Lilium tigr.*

სისხლდენა ცხვირიდან: *Natr.nitr., Hamamelis, Arnica.*

სისხლდენა ღრძილებიდან: *Phosph., Kreosot.*

სისხლნაჟღენთები: *Arnica.*

სლოკინი: *Nux vomica, Acid. sulf.*

სიმსივნე: *Thuja.*

სპაზმური ხველი: *Moschus.*

ტემპერატურა: *Aconit,* შემდეგ *Bellad.,* შემდეგ *Ferrum phosph.*

უძილობა: *Zinc.val(D4), Coffea, Formica rufa.*

~~[illegible]~~ ღრძილებიდან: *Ars.alb., Aethiops. Antim., Ipecac.*

ფეხების ოფლიანობა: *Sillicea.*

ფისტულა: *Sillicea.*

ქუნთრუშა: *Belladona.*

ღებინება: *Jpecac.*

ყელის ტკივილი: *Apis, Bellad., Merc.sol.*

ყივანახველა: *Drosera, Coccus caeti., Lx Pertussin D200.*

შარდის ბუშტი – ანთება: *Cantharis, Dulcamara.*
შარდის ბუშტი – სისუსტე: *Causticum.*
შიში: *Aconit,Ars.alb., Kal. phosph.*
ჩიყვი: *~~Sillicea~~. Spongia, ~~Lapis alb., Hedera helix.~~*
~~შარდის ბუშტი – სისუსტე: *Causticum.*~~
~~შიში: *Aconit,Ars.alb., Kal. phosph.*~~
ჩიყვი: *Spongia, Lapis alb., Hedera helix.*
ჩუტყვავილა: *Tart. stib.*
ჩხვლეტა გვერდში: *Ferrum phosph., Bryonia.*
ძილი, რომელიც აუარესებს განწყობას: *Lachesis.*
წითელა: *Pulsatilla*
წამოქაფვა: *Nux vomica.*
ჯიბლიბო: *Staphysagria, Pulsatilla, Platana occid.*
ჰემოროი: *Nux vom., Sulf., Aescul. Paeonia.*
ჰიპერემია: *Sepia, Lachesis, Pulsatilla.*

# LIGA MEDICORUM HOMEOPATHICA INTERNATIONALIS

საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის 51-ე კონგრესზე, რომელიც ჩატარდა 1996 წლის ოქტომბერს კარპში, გაწევრიანებული იქნა ტრადიციული მედიცინის საქართველოს ლიგის ჰომეოპათიური ჯგუფი. საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრები გახდნენ:

1. გუჯაბიძე ნიკოლოზი — ტმსლ პრეზიდიუმის წევრი, *LMHI* ეროვნული წარმომადგენელი საქართველოში, ექიმ-ტოქსიკოლოგი, ჰომეოპათი; მუშაობს თბილისის N15 პოლიკლინიკაში, ხეთაგუროვის ქ. N6 (96 98 04);

2. თორნიკე ალაშვილი — ტმსლ პრეზიდენტი, ექიმ-თერაპევტი, ჰომეოპათი, ირიდო-ლოგი, ფიტოთერაპევტი, რეფ-ლექსოთერაპევტი, მუშაობს, თბილისის N13 პოლიკლინიკაში, ალ. ჭავჭავაძის ქ. N2', კაბ. N22

(ტრადიციული მედიცინის და ჰომეოპათიის კაბინეტი);

3. ალექსანდრე ბექელაძე — ტმსლ პრეზიდიუმის წევრი, ექიმი-ჰომეოპათი, ფიტოთერაპევტი, რიდოლოგი, მუშაობს ქ. ქუთაისის აღდგენითი მკურნალობის საავადმყოფოში, მალხაზ დევალიშვილის ქ. N12;

4. თემურ ყენია — ტმსლ პრეზიდიუმის წევრი, ექიმი-თერაპევტი, ჰომეოპათი, ფიტო-თერაპევტი, ირიდოლოგი; მუშაობს ნატუროპატთა საერთაშორისო ცენტრში;

5. ლია სირაძე — ტმსლ პრეზიდიუმის წევრი, ექიმი-პედიატრი, ჰომეოპათი; მუშაობს რუსთავის N2 სამკურნალო-დიაგნოსტიკურ ცენტრში;

6. ნატაშა ბოსტოღანაშვილი — ტმსლ პრეზიდიუმის წევრი, ექიმი- პედიატრი, ჰომეოპათი, ფოლისტი; მუშაობს ქ. რუსთავში (მეგობრობის გამზირი N10);

7. ანა ვაჩეიშვილი — ტმსლ წევრი, ექიმი-პედიატრი, ჰომეოპათი; მუშაობს რუსთავის N2 სამკურნალო-დიაგნოსტიკურ ცენტრში;

8. თინათინ ჩუკურიშვილი — ტმსლ წევრი, ექიმ-პედიატრი, ჰომეოპათი;

9. თამარ ხინჩაგაშვილი — ტმსლ პრეზიდიუმის წევრი, ექიმ- რევმატოლოგი, ჰომეოპათი; მუშაობს ტრადიციული მედიცინის ცენტრში, უზნაძის ქ. N49 (კარდიო-რევმატოლოგიური დისპანსერის შენობა);

10. ანი ჩიქობავა — ტმსლ წევრი, ექიმ-თერაპევტი, ჰომეოპათი, საქართველოს წითელი ჯვრის უბნის ექიმი და სამედიცინო ფირმა „კარდუ"-ში (93 11 08);

11. მაკა ხაბურზანია — ტმსლ წევრი, ექიმ-ნევროპათოლოგი, ჰომეოპათი, მუშაობს რკინიგზის N2 პოლიკლინიკაში და სამედიცინო ფირმა „კარდუ"-ში (93 11 08);

12. ჯანგული ჯიქიძე — ტმსლ წევრი, ექიმ-სტომატოლოგი, ჰომეოპათი, მუშაობს სტომატოლოგიურ კლინიკა „დენტექსში", რ. ლიაღიძის ქ. (ყოფილი ლუნაჩარსკის ქ.) N8;

13. თეა სხირტლაძე — ტმსლ წევრი, ექიმ-პედიატრი, ჰომეოპათი;მუშაობს ქ. თბილისის N1 სამკურნალო-პროფილაქტიკურ ცენტრში ბავშვთა ინფექციონისტად და სამედიცინო ფირმა „კარდუ“-ში (93 11 08);

14. მარინა კერვალიშვილი — საქ. ჰომეოპატთა საზოგადოების წევრი, ექიმ-ინფექციონისტი, ჰომეოპათი.

საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის 52-ე კონგრესის მასალებში ცალკე თავია გამოყოფილი საქართველოს შესახებ. ვიცე პრეზიდენტი ჟაკ იმბრეხტი მოახსენებს საქართველოში ვიზიტის შესახებ (1996 წლის 24–27 აგვისტო). ის აღნიშნავს, რომ გაეცნო ტრადიციული მედიცინის საქართველოს ლიგის მოღვაწეობას, მისაღებს თვლის ქართველი ექიმების მკურნალობას.

მიღებული გვაქვს მოწვევა საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის 53-ე კონგრესზე, რომელიც ჩატარდება ვაშინგტონის შტატში 1997 წლის მაისში. საჭიროა სპონსორის დახმარება, რათა საქართველოდან სამი წევრი მაინც დაესწროს ამ საერთაშორისო ფორუმს.

ჰომეოპატთათვის 1996 წელი აღსანიშნავი იყო ერთი უდიდესი მიღწევითაც – ალტერნატიული ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა საერთაშორისო ჰომეოპათიური აკადემიის დამაარსებელი ბერძენი ჰომეოპათი ჯორჯ ვითულკასი.

# ს ა რ ჩ ე ვ ი


| | | |
|---|---|---|
| 1. | ჰომეოპათიის ადგილი მედიცინაში | 79 |
| 2. | კონსტიტუციონალური საშუალებანი | 84 |
| 3. | პოტენცირება | 87 |
| 4. | კვება | 88 |
| 5. | როგორ მივიღოთ | 90 |
| 6. | ჰომეოპათია ბავშვთა ასაკში | 91 |
| 7. | სამკურნალწამლო საშუალებათა აღწერა | 94 |
| 8. | ჰომეოპათია სხვადასხვა შემთხვევაში | 136 |